ლელო
გამოიცემა 1934 წლიდან
№ 224 (12 599) 24 სექტემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კუპერის პირველი სამშაბათი

## მუხლჩაუხრელი შრომა ნაკრებისთვის



3

# სანიკიძემ გადაწყვიტა: ტარტუ როკი

## ბოისა ბალეარის კუნძულებზე

11



ვიქტორ სანიკიძე



ვლადიმერ ბოისა

# სპონსორმა ხელი დაუქნია

## ვითა კვლავ ტკბილ მოგონებაში გადადის?



11

ლეგიონერები

# ოთხი ქართველიდან მხოლოდ მათემ ითამაშა



მათე ღვინიანიძე

გუშინ გერმანიის თასის მეთექვსმეტედფინალის რამდენიმე მატჩი გაიმართა. ჩვენებურთა სამი გუნდიდან ორმა წარმატებით ითამაშა.

**ლევან კობიაშვილს და ლევან ყენიას** „ხუმარათა“ ჰოლანდიელმა თავკაცმა **ფრედ რუტენმა** წინასამატჩო შეკრებაზე კი უხმო, მაგრამ „ჰანოვერთან“ არც ერთი ათამაშა. „შალკემ“ შინ უქართველებოდ მოიგო 2:0 და მერვედფინალში გავიდა.

**მათე ღვინიაძის** „მიუნხენ 1860“ „დუისბურგთან“ ძირითად და დამატებით დროში უგოლო ფრის გარდა ვერაფერს გამორჩა, პენალტების სერიაში კი 5:4 იმარჯვა. ღვინიანიძეს, რომელმაც სრულად ითამაშა, თერთმეტმეტრიანი არ დაურტყამს.

**ოთარ ხიზანეიშვილის** „აუგსბურგი“ შინ დამარცხდა „ლევერკუზენთან“ 0:2. ხიზანეიშვილს არ უთამაშია.

დღეს მეთექვსმეტედფინალის დანარჩენი შეხვედრები გაიმართება. **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი“ „ჰოფენჰაიმს“ მიიღებს, **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ კი „ოფენბახს“ ესტუმრება.

**დავით თავართქილაძე**

# ყვითელი სათარიგოთა სკამზე



თემურ ქეცბაია

**თემურ ქეცბაია** თანაბრად წარმატებულია, როგორც საგარეო, ასევე შინაურ ასპარეზზე – კვიპროსის ჩემპიონატის დაწყებიდან სულ სამი ტური გავიდა, მაგრამ ფამაგუსტას „ანორთოსისი“, რომელსაც ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი წვრთნის, ქულათა მაქსიმუმით უკვე ერთპიროვნული ლიდერია. მესამე ტურში „ანორთოსისმა“ 2:1 დაამარცხა „ეთნიკოსი“. უცანურია, მაგრამ **კლიმენტი ნიტაიშვილმა** ისე მიიღო მსაჯისგან ყვითელი ბარათი, რომ სათადარიგოთა სკამს არ გასცილებია. არ უთამაშია „ეთნიკოსის“ ფორვარდ **ლევან ქებაძესაც**. ამ ტურშიც ჩაიშალა ერთი თამაში – **ლევან მაღრაძის** „აპოლონი“ შინ 0:2-ს აგებდა „ომონიასთან“, როცა მისმა გიჟმაჟმა ფანებმა იმდენი ქნეს, მსაჯმა შეხვედრა შეწყვიტა. მაღრაძე პირველ ტურში მიღებული წითელი ბარათის გამო ტოვებდა შეხვედრას. „ეთნიკოსი“ 4 ქულით მე-7 ადგილზეა, „აპოლონს“ 3 ქულა აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# უბრძოლველად გუნდს ვერ გამოვადგები

## ბუბა დაუშვილი: არც პირლო, არ დავიდსი, კანკავა მომწონს

ბუბა, იგივე მურთაზ დაუშვილი, უმაღლესი ლიგის გუნდში სულ რაღაც მეორე წელია თამაშობს და უკვე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ყურადღება დაიმსახურა.

შეიძლება ითქვას, “ზესტაფონის“ საყრდენი ნახევარმცველი მეორე გოგუაა, ჯიგრიანი მებრძოლი “ენერჯაიზერი”, დაუღალავი. თუკი ის ნელნელა კლასსაც შეიძენს, საქართველოს მაღალი დონის საყრდენი ნახევარმცველი ეყოლება.

ბუბა დაუშვილმა გუშინ ექტორ რაულ კუპერის ხელმძღვანელობით იმ ფეხბურთელთა შორის ივარჯიშა, რომლებიც ეროვნული ნაკრების კანდიდატებად განიხილებიან.

**- გარკვეული პრობლემები არსებობდა შენსა და “ზესტაფონს” შორის და მაინც დაბრუნდი - წასვლა გადაიფიქრე თუ გადაგაფიქრებინეს?**

- ჩემი სურვილი იყო, ახალი კონტრაქტი გამეფორმებინა. პირადად კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას ვესაუბრე და დარჩენა მთხოვა. არ ვიყავი წინააღმდეგი, ერთწლიანი კონტრაქტი მეც მაწყობდა და კლუბსაც. თუ სხვა შემოთავაზებები იქნება, ვნახოთ, “ზესტაფონის” პრეზიდენტი როგორ გადაწყვეტს. საქართველოში თუ დავრჩები, ჯერჯერობით, “ზესტაფონის” გარდა სხვაგან თამაშს არ ვაპირებ. ნეტავ, მქონდეს უცხოური ვარიანტები, დიდი სიამოვნებით წავიდოდი.

**- კი მაგრამ სეზონის დაწყებამდე ხომ “სიონში” ვარჯიშობდი?**

- ვარჯიშით არა, მაგრამ მოლაპარაკება და ინტერესი არსებობდა. საბოლოოდ, ისევ „ზესტაფონი“ ვარჩიე.

**- ძნელი წარმოსადგენი არაა, კუპერმა ნაკრების კანდიდატებში რომ დაგასახელა როგორ გაგიხარდებოდა. წლის დასაწყისში ხომ, ფაქტობრივად, “ზესტაფონის” ძირითადშიც ვერ ხვდებოდი და უცებ – ნაკრების პერსპექტივა.**

- რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებისთვის ეს დიდი სტიმულია. გამოძახება საკმაოდ მოულოდნელი იყო. ნაკრების კანდიდატი კი არა, ბევრჯერ ახალგაზრდულშიც არ მითამაშია. ხშირად მიწვევდნენ, მაგრამ ტრავმების გამო ვერ ვითამაშე. რამდენჯერმე მომეცა შანსი და ვითამაშე ლატვიასთან, ესპანეთსა და პოლონეთთან.

**- ტრავმები ახსენე და არც გამკვირვებია – სულ წითელი ბარათის ზღვარზე თამაშობ. მწვრთნელები არ გსაყვედურობენ?**

- პირიქით, მავალებენ, მაგრად იბრძოლეო. ეს ჩემი ერთადერთი პლუსია, თორემ სხვა არ მაქვს? დიდი ტექნიკით და პასებით მე არ გამოვირჩევი. ბრძოლაც თუ დამეზარა, მოედანზე ჩემს ყოფნას რა აზრი ექნება?

**- პოლ კესანის მადლიერი უნდა იყო, “ზესტაფონში” რომ დარჩენილიყო, ალბათ, ძირითადში არ გათამაშებდნენ.**

- მის წასვლაზე გული დამწყდა. კი, ამით თამაშის მეტი შანსი გამიჩნდა, მაგრამ “ზესტაფონს” ძალიან დააკლდა. ის ძალიან მომწონდა, სასარგებლო ფეხბურთელი იყო. შეიძლება, მინდორზე ჩემს გამოჩენას რალაცით ხელს უშლიდა.

**- შენნაირი სტილის ფეხბურთელებს ბულდოგს უწოდებენ, ეს ხომ არ გალიზიანებს?**

- არ მალიზიანებს. სტილია ასეთი და სხვა რა უნდა დაგვიძახონ?

**- შენ უფრო დავიდსივით მებრძოლი საყრდენი ხარ, ვიდრე, ვთქვათ, პირლოსავით ბურთის გამნაწილებელი.**

- არანაირი დავიდსი და პირლო, ბავშვობიდან ვცდილობდი, ჯაბა კანკავასავით მეთამაშა.

**- როგორ, დავიდსი და პირლო არ მოგწონს?!**

- არა, ასე არ მითქვამს, დავიდსსა და პირლოს ჩემი დასაწუნი რა სჭირთ, მაგრამ კანკავა ბავშვობიდან მომწონდა. თბილისის “დინამოს” აკადემიაში რომ ჩავირიცხე, ჯაბა “დინამოს” ძირითადში მაშინ აიყვანეს, გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა და კანკავა მაშინ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო. ხომ გახსოვთ, რა გულიანად და მონდომებით თამაშობდა? ფეხბურთში ეს თვისებები ჩემთვის მთავარია და არ მინდა, სხვანაირი ვიყო.

**მერაბ მამულაშვილი**



ბუბა დაუშვილი

# გატუზო, ამბროზინი და ლეონარდო საქართველოს სოლიდარობას უცხადებენ





**კახა კალაძის** ფონდი KALA Foundation company 29 სექტემბერს მილანში აწყობს „საქართველოს სოლიდარობის“ საღამოს. კახა ამ საღამოს „დონ გნოკის ფონდთან“ ერთად ჩაატარებს. საღამოს მიზანი საქართველოში დაზარალებულთათვის დახმარების შეგროვება და შემდგომში საქართველოში გამოგზავნაა. კახას გარდა საღამოში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ „მილანის“ ფეხბურთელები **ამბროზინი** და **გატუზო**, აგრეთვე კლუბის მარკეტინგის შეფი, წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი **ლეონარდო**. ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობა უკვე განაცხადეს შოუბიზნესის და მოდის ცნობილმა წარმომადგენლებმა. საღამოს ცნობილი ჟურნალისტები **მაქს ბრიგანტე** და **პაოლო ბრერა** წაიყვანენ, მუსიკოს **დარიო ბლადან ბემბოს** აკომპანემენტის თანხლებით.

სტუმრებს შესაძლებლობა მიეცემათ შეიძინონ ცნობილი ფეხბურთელების მაისურები მათივე ხელმოწერებით. მთელი თანხა საქართველოში რუსული აგრესიის დროს დაზარალებულებს მოხმარდებათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

ნომრის მორიგე რედაქტორი
დავით თავართქილაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუპერის გამოცდა: ჯერ უნარ-ჩვევები, მერე სპეციალობა



ექტორ კუპერი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ღია ვარჯიშის დასრულების მერე ერთ-ერთი მოქმედი ქართველი მწვრთნელი გაგვენდო: **კუპერი** ისეთ ვარჯიშებს ატარებს, საფეხბურთო ანბანი რომ ჰქვიაო. რა ვქნათ, მწარე რეალობას უნდა შევეგუოთ: ჩვენი ფეხბურთი იმდენად ჩამორჩა თანამედროვე მოთხოვნებს, „საბრალო" კუპერს ნულიდან უწევს საქმის დაწყება. გუშინ მნიშვნელოვანი დღე იყო - საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა პირველი ღია ვარჯიში ჩაატარა. ეგ კი არა, რაც ნაკრებში დაინიშნა, საერთოდაც პირველად ვნახეთ აქაურ სამუშაო გარემოში; პირველ შთაბეჭდილებებზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი ერთ უცნაურობაზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ; ეტყობა, ქართველ მწვრთნელთა ნაწილს საკუთარი თავი ფეხბურთის ისეთ მცოდნედ წარმოუდგენია, რომ ცნობილი არგენტინელი მწვრთნელის ღია ვარჯიში არც აინტერესებს. აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე მიმდინარე ვარჯიშს თითო-ოროლა ქართველი მწვრთნელი თუ ესწრებოდა...

... სამაგიეროდ, ქართულმა მასმედიამ გამოიჩინა დიდი ინტერესი ამ ვარჯიშის მიმართ; ეგ კი არა, იმაზეც არ ვწუხდებით, კუპერი სათოფეზეც რომ არ გვიკარებს... პირიქით - ოღონდ საქმე გააკეთოს და საერთოდ არ შევაწუხებთ. თანაც, მწვრთნელმა ჯერ საქმე უნდა აკეთოს და ტელეკამერების წინ მერე უნდა იპოზიოროს...

... 1999 წელს საქართველოს ნაკრებში პირველი უცხოელი მწვრთნელი დანიშნეს - ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი**. მაშინდელი ექსპერიმენტიც გვინდა გავიხსენოთ - ამხანაგურ მატჩში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებები რომ ერთმანეთს შეაჯიბრა. მერე, იმ შეხვედრიდან რამდენიმე ფეხბურთელი ამოარჩია და საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახა. მოულოდნელზე მეტი იყო ჩვენს უპირველეს გუნდში ყველასათვის უცნობი, 17-18 წლის **ზურაბ ხიზანიშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის** გამოჩენა; ამას გარდა, ნაკრებში ისეთი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ, სხვა შემთხვევაში რომ ვერც იოცნებებდნენ - **ბადრი ახვლედიანი, დავით ქიქვეიშვილი, ვალტერ გუჩუა, თენგიზ სიჭინავა**; მას მერე საქართველოს ნაკრებში ლამის ათამდე მწვრთნელი შეიცვალა, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყურადღებას აღარც აქცევდნენ. კუპერის წინამორბედზე ხომ, ალბათ, აღარც ღირს ლაპარაკი - ქედმაღლური განცხადებების პატრონს საქართველოს ჩემპიონატისკენ გამოხედვაც არ სურდა. „მანდ საინტერესო ფეხბურთელები არ თამაშობენ" - წამდაუწუმ გაიძახოდა და კიდევ კარგი, კუპერიც ამ გზას არ დაადგა. საქართველოს ნაკრებმა არგენტინელის ხელმძღვანელობით სამი შეხვედრა ჩაატარა და კუპერიც მიხვდა, რომ ჩვენს გუნდს გაძლიერება სჭირდებოდა. ჯერ აქ დაიწყო კანდიდატების შერჩევა: ჩემპიონატისა თუ თასის თამაშებზე, მარტო თუ თანაშემწეებთან ერთად, თბილისსა თუ რუსთავში, გორსა თუ ბოლნისში, - მუდამ ფეხბურთელებს აკვირდებოდა. ისიც ბევრჯერ დავწერეთ: საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთათვის კუპერის ფაქტორი დამატებითი სტიმული უნდა გამხდარიყო. ასეც მოხდა და გუშინ არგენტინელი მწვრთნელის რჩეული 18 ფეხბურთელი, ალბათ, „სხვანაირად" მიუდგება თავის საქმეს. ჰო, სხვანაირად - აი, რასაც თანამედროვე ფეხბურთის ელემენტები ჰქვია...

ამ თვრამეტი ფეხბურთელიდან ბევრს კუპერი უკვე კარგად იცნობდა: **როინ კვასხვაძე, ლექსო კვახაძე, უჩა ლობჟანიძე, ზაალ ელიავა, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, ბექა გოცირიძე** და **რატი ალექსიძე** უელსთან, ირლანდიასა და იტალიასთან სანაკრებო შეკრებაზე ჰყავდა; აი, დანარჩენები კი საქართველოს ჩემპიონატისა თუ თასის მატჩებზე მოეწონა და, ეგრეთ წოდებულ, ღია ვარჯიშზეც მოიპატიჟა: **გიორგი ლომაია, გრიგოლ ბედიაშვილი, დავით გიგაური, ნოდარ მაჭავარიანი, გურამ კაშია, გიორგი სეთურიძე, ლუკა რაზმაძე, მურთაზ დაუშვილი და გიორგი გაბედავა**. არ დავმალავთ, ამ ფეხბურთელთაგან ზოგიერთის გამოძახება ქართველი ჟურნალისტებისთვის დიდი სიურპრიზი იყო, მაგრამ მწვრთნელის თვალი ხომ სხვა არის. სამწუხაროდ, ფატალურად არ გაუმართლა „ოლიმპის" 21 წლის ცენტრალურ მცველს ნოდარ მაჭავარიანს, ვინც ბოლო ტურში, „მესხეთთან" მატჩში ტრავმა მიიღო. ბოლომდე ვერ დაასრულა ვარჯიში „ზესტაფონის" საყრდენმა მურთაზ დაუშვილმაც - ყოველთვის ხისტად მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ერთ-ერთი კომპონენტის დამუშავების პროცესში იაქტიურა და ტრავმაც მიიღო. ეს ეპიზოდი ვარჯიშის ბოლოსკენ იყო, მანამდე კი საათნახევრიანი საინტერესო სანახაობაც ვიხილეთ.

ექტორ კუპერმა და მისმა თანაშემწემ **ხოსე ფანტაგუციმ** მოედნის ცენტრში 14 ფეხბურთელი შეკრიბეს და დაახლოებით 15 წუთი მოთელვები და მოკლე მანძილზე აჩქარებები აკეთებინა; გიორგი ლომაია, როინ კვასხვაძე და გრიგოლ ბედიაშვილი კი მეკარეების მწვრთნელის, **მამუკა აბუსერიძის** განკარგულებაში აღმოჩნდნენ. აბუსერიძემ (ვისაც **დავით გვარამაძე** ეხმარებოდა) საკმაოდ დიდი ხანი ავარჯიშა სამივე მეკარე; ამ დროს კი ფანტაგუციმ და კუპერმა შვიდ-შვიდი ფეხბურთელი დაიტოვეს და ერთი საათის განმავლობაში რამდენიმე ტაქტიკურ ელემენტს ხვეწდნენ. ფანტაგუციმ მოედნის ერთ ნახევარზე მცველები და „ჩამშლელი" ნახევარმცველები შეკრიბა: დავით გიგაური, ლექსო კვახაძე, უჩა ლობჟანიძე, ზაალ ელიავა, გურამ კაშია, ლუკა რაზმაძე და მურთაზ დაუშვილი; ჩვენი ნაკრების მეორე მწვრთნელი ფეხბურთელებს ხაზზე თამაშის დახვეწაში, ურთიერთდაზღვევაში და ადგილმონაცვლეობაში ავარჯიშებდა. კუპერის შვიდეული კი შეტევით კომბინაციებს ხვეწდა: შეტევას ცენტრალური ნახევარმცველი იწყებდა, მერე ბურთის გადაწოდება ფლანგზე, ცენტრფორვარდთან გათამაშებული კედელი და ბოლოს ყველაფერი ფლანგური გამჭოლი გადაცემით სრულდებოდა. ამ კომპონენტის დახვეწაში მონაწილეობას ექვსი ფეხბურთელი იღებდა, ანუ კუპერი თავისი საყვარელი ტაქტიკური სქემის მოთამაშეებამდე მიტანას ცდილობდა. უნდა ითქვას, რომ შვიდივე შემტევი (რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი სეთურიძე, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, გიორგი გაბედავა) მაქსიმალურად ცდილობდა მწვრთნელის მითითებების შესრულებას. ერთსაათიანი ტაქტიკური ელემენტების დამუშავების მერე უკვე მეკარეებიც შეუერთდნენ საერთო ჯგუფს. ამ ჯერზე შეტევა-თავდაცვის ორი ვარიანტი ვიხილეთ: ორი შემტევი ერთი მცველისა და სამი შემტევი ორი მცველის წინააღმდეგ. სამივე მეკარე მაქსიმალურად დაიტვირთა და უნდა ითქვას, რომ სამივე ჩინებულად გამოიყურებოდა.

აი, ასეთი იყო კუპერის პირველი ქართული სამუშაო დღე; თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეორე ასეთი ღია ვარჯიშიც მალე ჩატარდება. თანაც, ნურავის გაუკვირდება, კუპერის რჩეულთა შორის კიდევ რომ ვიხილოთ ახალი სახეები...

**გია ტუხაშვილი**

# ეს დიდი სტიმულია

## კუპერმა ტაქტიკური დავალებები მოგვცა

**გუშინ** მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეკრებილ მოთამაშეთა შორის ბევრი იყო საზოგადოებისთვის უცნობი მოთამაშე.

ექტორ რაულ კუპერის მიერ ეროვნული ნაკრების კანდიდატებად შერჩეული ფეხბურთელების ნაწილს ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ.

**გიორგი გაბედავა (გაგრა):** ჩემთვის დიდი სიურპრიზიც იყო და რა თქმა უნდა, სასიხარულოც, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გუნდის ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების კანდიდატთა შორის აღმოვჩნდი. ცხოვრებაში პირველად მომცეს სტიმული, რომ შეიძლება დიდი ფეხბურთი ვითამაშო. აქამდე მხოლოდ ერთხელ მიმიწვიეს სინჯზე, მაგრამ 19-წლამდელთა ნაკრებში არ დამტოვეს. რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვიყავი და კუპერმა მოულოდნელად დიდი სიხარული მომანიჭა.

ახლა ყველაფერი ჩემზე იქნება დამოკიდებული, თუმცა ერთი კი ვიცი, რომ გაორმაგებული მონდომებით ვივარჯიშებ. ეს ფეხბურთელისთვის ყველაზე მთავარია. უიმედოდ ძნელია თამაში.

**ნოდარ მაჭავარიანი (ოლიმპი):** სამწუხაროდ, დღეს ვარჯიში ვერ შევძელი, რადგან ჩემპიონატში ახალციხის „მესხეთთან" დავშავდი და დაახლოებით ათი დღე დასვენება დამჭირდება.

ადგილობრივებში შერჩეულთა შორის რომ აღმოვჩნდი, სწორედ ამ ტრავმის შემდეგ შევიტყვე და გული ძალიან დამწყდა. იმედია, შანსი ისევ მომეცემა.




დავით გიგაური

„ოლიმპის" დამსახურებაა, ნდობით რომ მეკიდებიან და თამაშის საშუალებას მაძლევენ. რუსთავში რომ არ მეთამაშა, კუპერი ვერ შემნიშნავდა.

**დავით გიგაური, (გაგრა):** თბილისის „დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ მითხრეს, რომ კუპერის ასისტენტს მოვეწონე და ერთ კვირაში ნაკრების კანდიდატებს გვავარჯიშებდა.

რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ არც მჯეროდა. არ ვთამაშობ ლიდერ გუნდში, ჩვენთან კი კანდიდატებს ყოველთვის ამ პრინციპით არჩევდნენ. თანაც, თბილისის „დინამოდან" „მერანში" გადასვლის შემდეგ, ახალგაზრდულ ნაკრებშიც აღარ მიწვევდნენ. გოჩა ტყებუჩავა მენდობოდა, რალფ მინგე და პეტრ შეგრტი კი ყურადღებას არ მაქცევდნენ. თუმცა მაშინ არც მქონდა დიდი პრეტენზია - „მერანში" ფორმიდან აშკარად ამოვვარდი.

სულ რაღაც ერთი თვეა, „გაგრაში" ვვარჯიშობ და უკეთესობას ვგრძნობ. თუმცა ჯერ კიდევ არ ვარ ოპტიმალურ ფორმაში. გარკვეული დრო მჭირდება, მაგრამ კუპერის მიწვევამ იმხელა იმედი გამიჩინა, არ ვაჭარბებ, დიდი მონდომებით ვივარჯიშებ.

დღეს ტაქტიკური დავალები მოგვცა, რომელზეც ყურადღება კლუბებში უნდა გავამახვილოთ. თითქოს ელემენტარული ვარჯიშებია, მაგრამ ჩვენ ძალიან გვჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფიფამ თბილისი დაამტკიცა

ის, რასაც სფფ-ის ხელმძღვანელობის პირით ვიცოდით, გუშინ ფიფამ ოფიციალურად გამოაცხადა – საქართველო მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ მატჩებს ოქტომბერში თბილისში უმასპინძლებს. *„საქართველო 11 ოქტომბერს კვიპროსის ნაკრებს და 15 ოქტომბერს ბულგარეთს თბილისში, „ბორის პაიჭაძის" სტადიონზე უმასპინძლებს. ფიფა ახლო კონტაქტში იქნება სფფ-სთან, მაგრამ დღეისათვის საშიში არაფერია, მატჩების უსაფრთხო გამართვას არაფერი ემუქრება"*, - ნათქვამია ფიფას ოფიციალურ პრესრელიზში. შეგახსენებთ, რომ რუსული ოკუპაციის გამო საქართველოს ნაკრებმა პირველი შესარჩევი მატჩი ირლანდიასთან ნეიტრალურ მოედანზე, გერმანიაში გამართა, რადგან ფიფამ საქართველოში მატჩის ჩატარება მეტად სარისკოდ მიიჩნია. მაშინ ფიფას გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** და არგენტინელმა თავკაცმა **ექტორ რაულ კუპერმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

# ჩემი კომფორტი ცენტრშია

## კლინსმანს ვერდერი კვირად დაუსვეს

თუ ბოლო სამ მატჩს ავიღებთ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ყველაზე უფროსი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილია, ვინც ოქტომბერში 31 წლის ხდება. ის უელსთან, ირლანდიასა და იტალიასთან ჩრდილში არ ყოფილა, რამდენჯერმე კარგად გაამწვავა თამაში და დაგვანახვა, რომ კვლავაც საჭირო ფეხბურთელია ეროვნული გუნდისთვის. ოღონდაც ეგ არის, რომ იაშვილი ყოველთვის საკამათო თემა იყო - რომელი პოზიციაა მისთვის ზედგამოჭრილი? ამაზე ნაკრების არცერთ მწვრთნელს უმტვრევია თავი და ეს ალბათ ექტორ კუპერსაც არ ასცდება.

იაშვილს გუშინ შევეხმიანეთ კარლსრუეში.

**- რამდენად კმაყოფილი ხარ საკუთარი თამაშით ნაკრების ბოლო სამ შეხვედრაში? როგორ შეეგუე მარცხენა გარემარბის პოზიციას? „კარლსრუეშიც" მარცხნიდან თამაშობ, თუმც კლუბში მწვრთნელი ალბათ კუპერისგან განსხვავებულ დავალებებს გაძლევს...**

- რადგან „კარლსრუეშიც" მარცხნივ ვთამაშობ, ეს პოზიცია არც ნაკრებში იყო ჩემთვის უცხო. მიუხედავად იმისა, მწვრთნელმა რა კონკრეტული დავალება მომცა. ირლანდია-იტალიასთან წავაგეთ და საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვერ ვიქნები, თუმც საერთო ჯამში ნაკრებმა ისეთი თამაში აჩვენა, უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა.

**- „კარლსრუეში" დაცვითი ფუნქციები არ გაკისრია, ნაკრებში კი ხშირად გიწევდა საკუთარ ნახევარზე გადმოსვლა...**

- იტალიასთან ჩემს ფლანგზე ძამბროტა მოქმედებდა, რომელსაც უყვარს შეტევაში ჩართვა და ამის გამო მიწევდა უკან დახევა. მეორე ტაიმში თამაში გამოვასწორეთ, შედარებით უკეთ შევუტიეთ და ძამბროტაც ისე ველარ მიდიოდა წინ. მოკლედ, გააჩნია როგორ მეტოქეს ეთამაშები - ხან ნაკლებად მოგიწევს უკან ჩამოსვლა, ხან მეტად.

**- ზოგ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ნაკრებში ალექსანდრე იაშვილმა, ასე ვთქვათ, მეორე თავდამსხმელად უნდა ითამაშოს, წინწაწეული ფორვარდის უკან. ეთანხმები ასეთ აზრს? ფაქტია, ნაკრების ბოლო სამ მატჩში, როცა ცენტრისკენ ინაცვლებდი, უფრო სახიფათო იყავი, მაგალითად, მეორე ტაიმში იტალიასთან...**

- ზოგადად, ამ პოზიციიდან უფრო სახიფათო ხარ მეტოქისთვის, უფრო მეტი საშუალება გაქვს კარში დასარტყმელად, გოლის გასატანად. მე და ლევან ყენიას მწვრთნელმა დაგვავალა, რომ ხანდახან ფლანგები გაგვეცვალა, ან ცენტრისკენ შეგვეწია. ცოტა არ იყოს ხინჯად მრჩება ის, რომ იტალიასთან პირველ ტაიმში თამამად ვერ ვითამაშე.

**- ერთი სიტყვით, წინწაწეული ფორვარდის უკან ყველაზე კომფორტულად გრძნობ თავს.**

- ეს ბუნებრივია, „კარლსრუემდე" თითქმის ხომ სულ ამ პოზიციაზე ვთამაშობდი. მაგრამ ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- სხვა თემაზე გადავერთოთ. ალბათ, უყურე „ვერდერი"-"ანორთოსისის" მატჩს. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თემურ ქეცბაიას გუნდმა?**

- ჩემპიონთა ლიგის ამ შეხვედრას ტელევიზორში ვუყურე. „ვერდერს" ოთხი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმც მიუხედავად ამისა, შეიძლება იმის თქმა, რომ „ანორთოსისმა" მეტოქეს არაფერი დაუთმო. „ვერდერი" შემტევ ფეხბურთს თამაშობს და ყველა მეტოქესთან ქმნის არანაკლებ ოთხ საგოლე მომენტს. 0:0 „ვერდერთან" ქეცბაიას გუნდისთვის მაგარი შედეგია. თემურიც მატჩის შემდეგ გახარებული ჩანდა.

**- თანაც „ანორთოსისის" შემდეგ „ვერდერმა" ბუნდესლიგაში სტუმრად „ბაიერნს" 5:2 მოუგო, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა...**

- ბავარიელთა დამრიგებელი იურგენ კლინსმანი ამის გამო მაგრად გააკრიტიკეს. მან „ბაიერნში" გუნდის მომზადების სტილი და ვარჯიშები მკვეთრად შეცვალა და ერთი შეცდომაც კი იმად უჯდება, რომ დიდი ზეწოლის ქვეშ მოჰყვეს.

**დავით თავართქილაძე**



წლევანდელი იტალია-საქართველო. ალექსანდრე იაშვილი და მაურო კამორანეზი

# ტოპმიოლერი და კუპერი

## თაღლითი და კაცი ღარიბი ქვეყნიდან



კლაუს ტოპმიოლერი

თვალი ხედავს და თვალი ჭამს - **რევაზ ძოძუაშვილმა** რიგაში ქუჩაში შენიშნა პატარა ბიჭი, რომელიც ერთ წელიწადში ქვეყნის ეროვნული ნაკრების ლამის შეუცვლელ მოთამაშედ აქცია - მისი გვარი გახლდათ **დუკაშევიჩი**.

**ანდრო ჟორდანიამ** გეგეჭკორის (ამჟამინდელი მარტვილის) რაიონის სოფელ ბანძაში მსოფლიო ფეხბურთს მარგალიტი აღმოუჩინა - შემდგომში საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი და ლიდერი.

გადახედეთ თუნდაც საქართველოს ნაკრების შემადგენლობას - ძალიან ბევრი მოთამაშე ბავშვობაში დაიწუნეს და ლამის თამაში აუკრძალეს: **კახა კალაძე** სამტრედიის გუნდიდან დაითხოვეს, **დათო კვირკველია** - ლანჩხუთში, **ოთარ ხიზანეიშვილსა** და **ზურაბ ხიზანიშვილს** „დინამოში" არ ენდობოდნენ, **გიორგი ფოფხაძეს** უთხრეს, წადი, შვილო სახლში, არაა შენი საქმე ფეხბურთიო, **გოგიტა გოგუა** წელიწად-ნახევარი მუხიანში ქუჩაზე ატარებდა დროს, **დათო სირაძე** „დინამოდან" გაუშვეს, **ზურაბ მენთეშაშვილი** არც აიყვანეს... კიდევ ჩამოვთვალოთ?

ვფიქრობ, საკმარისია, რადგან ქართულ ფეხბურთში, ხშირად, მეგობრის შვილის აყვანა უფრო ფასობდა, ვიდრე ნიჭიერი ბავშვების. ერთხელ ფედერაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, **დავით კვინიკაძემ** 16-წლამდელთა ნაკრების თამაში რომ ნახა, მისთვის ჩვეული იუმორით თქვა, ორი გოგო მყავს, თორემ მათაც აიყვანდნენო.

დიახ, ქართული ფეხბურთი იმდენად შეეჩვია პატივისცემით ცხოვრებას, რომ დასაფასებლები, ხშირად, დაუფასებლები რჩებოდნენ.

**კლაუს ტოპმიოლერი** იმიტომ კი არ გვალიზიანებდა, რომ შედეგი არ ჰქონდა - სამწუხაროდ, წარუმატებლობები აღარ გვიკვირს - არამედ იმიტომ, რომ ეროვნული ნაკრები უსამართლობის ბუდედ აქცია: იწვევდა უთამაშებელ **გიორგი მაკარიძეს** და ფსიქოლოგიური სტრესისთვის წირავდა, **გიორგი ლომაიას** უთამაშებლობის დროს მიანდო კარი და შეცდომებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია; **ვასილ გიგიაძე**, უკრაინის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი ნაკრებში მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე, საყრდენ ნახევარმცველადაც კი (!) ათამაშა (გაიხსენეთ, ალბანეთთან 0:0 დასრულებული ამხანაგური შეხვედრის მეორე ტაიმი).

კლაუს ტოპმიოლერი უსამართლობის მოსიარულე რეკლამა გახლდათ. შოტლანდიაში არ ათამაშა საუკეთესო ფორმაში მყოფი დავით კვირკველია, გიორგი ლომაიას და **მიხეილ აშვეთიას** იენის „კარლ ცაისში" გადასვლას ხელს უშლიდა მისი თანაშემწე **რალფ მინგე**. მანვე 2007 წლის მაისში მეორე ბუნდესლიგელი „კობლენცის" მწვრთნელს **სანდრო იაშვილის** აყვანა არ ურჩია.

**ნუკრი რევიშვილს** ჰერ კლაუსი „მიუნხენ 1860-ში" გადასვლას დაჟინებით სთავაზობდა, რაზეც უარი უთხრა და შემდეგ კარგა ხანი ნაკრებში აღარ გამოჩენილა.

ეს ჩვენი ნაკრების ისტორიის თეთრი ლაქებია. სამწუხაროდ, ქართველებს იმხელა გამოცდილება არ აღმოგვაჩნდა, ნიჭიერი, მაგრამ გაქნილი ტოპმიოლერის გეგმები ამოგვეცნო. ჩეხები განზრახვას უცებ მიუხვდნენ ისინი მზად იყვნენ, 1,5 მილიონი ევრო გადაეხადათ, მაგრამ ტოპმიოლერმა რალფ მინგეს და ძმის, ჰაინცის დახმარებაც რომ მოითხოვა, ეგრევე „დაახვევინეს".

ცხოვრებაში ბევრი რამაა გამოცდილებაზე დამოკიდებული, რაც ქართველებს არ გვეყო. ტოპმიოლერმა საქართველო ისე გააცურა, ერთად აღებული, ჩვენთან ორი კვირა არ უცხოვრია.

ვინც ტოპმიოლერს ამხელდა, ლამის ერის მტრად აცხადებდნენ. არადა, გერმანელი მიუნჰაუზენის ყალთაბანდობის მხილება საჭირო იყო.

საქართველოში ახლა **ექტორ რაულ კუპერი** ჩამოიყვანეს. უცხოელი სპეციალისტების დანიშვნა დიდ რისკს უკავშირდება, უპირველესად, მისი პიროვნული თვისებების არცოდნის გამო.

თუმცა არგენტინელმა უკვე აჩვენა ის, რასაც უცხოელისგან ველოდით - არ თაკილობს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დასწრებას, ალმაცერად არ იყურება დანგრეული ტრიბუნების დანახვაზე და უთქვამს კიდეც - მე სილარიბე და ცუდი სტადიონები არ მიკვირს, თქვენზე არანაკლებ ღარიბი ქვეყნიდან ვარო.

ასეთი მწვრთნელი უფრო მისალებია, მას უფრო მიუტევებს გულშემატკივარი. მან სამშაბათობით გადაწყვიტა ყველა საინტერესო მოთამაშესთან მუშაობა, მისცა დავალებები და ფაქტობრივად, მეორე ნაკრებს აყალიბებს.

რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრები ამის შემდეგაც წააგებს, მაგრამ ის მაინც გვეცოდინება, რომ მწვრთნელი გულით მუშაობდა და მეტი არ გამოუვიდა.

თუმცა კეისარს კეისრისა მიეგება და იქნებ, ასეთი გულიანი მუშაობისთვის კუპერმა თავის წილად ბარაქიანი მოსავალი მიიღოს.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი დევდარიანთან

# საერთო ენა ვერ გამოვნახეთ

**ბავშვთა ფეხბურთი, ასაკობრივი ნაკრებები, კლუბები და ეროვნული ნაკრები - ამ კომპლექსში საქმე კარგად რომ არ მიგვდის, არაერთი პრობლემის ბრალია. ამ ჯაჭვში თითოეულ რგოლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გიორგი დევდარიანი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ეს ნაკრები არ მონაწილეობს არც ერთ შესარჩევ ტურნირში, ის იმისთვის შეიქმნა, რომ ასაკობრივ ნაკრებებს მოუმზადოს ფეხბურთელები. დევდარიანი ჯერ ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობდა, შემდეგ უმაღლესი ლიგის „თბილისი" ჩაიბარა და 2003-2004 წლებში მართლაც თითით საჩვენებელი გუნდი შექმნა - სწრაფი, მოქნილი, სიმპათიური და შედეგიანი. კლუბი „თბილისი" მას მერე მოსუსტდა და გუნდიც დაიშალა. დევდარიანი კი საინტერესო მწვრთნელად დარჩა და ახლა ერთობ საპასუხისმგებლო საქმეს უძღვება.**

**რა თქმა უნდა, დევდარიანს ბავშვთა და ახალგაზრდული ასაკის ფეხბურთის საჭირბოროტო თემებზე ვესაუბრეთ.**



გიორგი დევდარიანი

## ფსიქოპორტრეტი

**- საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი ბოლო ადგილზე ჩაამთავრა. ბოლო ორ შეხვედრაში 0:4 და 0:5 დამარცხდა. როგორ ფიქრობთ, მიუხედავად არაერთი ხელის შემშლელი ფაქტორისა, ამის თავიდან აცილება შესაძლებელი არ იყო?**

- გააჩნია, რას ავირჩევთ ათვლის წერტილად. თუ ლაპარაკია ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პრეროგატივაზე, ასეთი შედეგის თავიდან აცილება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს ძალიან კატეგორიული აზრია?**

- წლევანდელი ზაფხული თითქმის არაფრის მომცემი იყო ქართული კლუბებისთვის, ჩვენი გუნდები კარგად ვერ მოემზადნენ და სწორედ ამ გუნდებში თამაშობდნენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები.

**- არსებობდა ასეთი შეხედულება - ახალგაზრდულ ასაკში ქართველი ფეხბურთელები დიდად არ ჩამოუვარდებიან თავიანთ თანატოლებს და მათთან დაპირისპირებაში უშანსოდაც არ უნდა იყვნენ. ეს მოძველებულ შეხედულებად მიგაჩნიათ?**

- ეს არ არის მოძველებული შეხედულება, თუ ამ ასაკში 14-15 წელს ვგულისხმობთ. ამ ასაკში განვითარებულ საფეხბურთო მეურნეობის მქონე ქვეყნები შედეგს ყურადღებას არ აქცევენ, ბავშვის ინდივიდუალური თვისებების განვითარებაზე ზრუნავენ, შედეგზე ორიენტირებას ამ ასაკის შემდეგ ახდენენ. მაგალითად, 14-15 წლის მოზარდს სათამაშო პოზიციასაც არ ურჩევენ, აძლევენ იმის საშუალებას, სადაც ურჩევნია, იქ ითამაშოს, ყველანაირად ცდილობენ, მასში შემოქმედებითი უნარი გაალვიძონ, ხელს უწყობენ მოზარდის უნივერსალიზაციას.

**- და რა ხდება ამის შემდეგ?**

- ამის შემდეგ იქმნება მოზარდის ფსიქოპორტრეტი, რის მიხედვითაც მას პოზიციას ურჩევენ. პასუხისმგებლობის გრძნობა, აგრესიულობა, რამდენად ყურადღებიანია ბავშვი, თავგანწირულია თუ ცოტა მშიშარა, აქვს თუ არა ავანტიურაზე წასვლის უნარი და მტაცებლური თვისებები. მაგალითად, ვისაც ავანტიურა უყვარს და მტაცებლური თვისებები აქვს, იმას შეტევაში ამწესებენ, ვისაც პასუხუმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა აქვს და ყურადღებიანია - დაცვაში.

**- ჩვენთან როგორ უდგებიან ამ საკითხს?**

- ჩვენთან ბავშვთა გუნდებში შედეგზე ფიქრობენ, რათა ბავშვის მშობლებს თავი მოაწონონ და რაც შეიძლება მეტი ბავშვი მიიზიდონ თავიანთ სკოლაში.

## რა ომზეა ლაპარაკი, როცა საწვავი არ გყოფნის

**- როგორც უნდა იყოს, რუსეთთან 0:4 ყველას გულზე შემოგვეყარა. რუსეთის ნაკრებმა ჩვენი ბიჭები აშკარად დაჩაგრეს მოძრაობაში, არადა საქართველოს ნაკრებში არცთუ ცოტაა ისეთი ფეხბურთელი, ნორმალურ გუნდში რომ თამაშობს და შესაბამისად ნორმალურად უნდა იყოს მომზადებული...**

- რუსეთის ჩემპიონატი გახურებული იყო, მისი ახალგაზრდულ ნაკრების ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა არ აკლდათ და საერთო მომზადების დონითაც ჩვენზე მაღლა აღმოჩნდა. რუსული პრემიერლიგა რა დონისაა, ამაზე აღარ ვილაპარაკებ. გასაგებია, თუ რა დატვირთვა ჰქონდა ამ თამაშს. ბურთი იყო იარაღი, მოედანი კი ბრძოლის ველი, ომი, რომელიც 90 დღე უნდა გაგრძელდეს, მაგრამ როცა 15 დღე გყოფნის საწვავი ტექნიკის გადასაადგილებლად, რომელ სტრატეგიასა და მწვრთნელის მიერ დაშვებულ შეცდომებზეა ლაპარაკი?

**- შესაძლოა, თქვენი შეხედულება ბევრმა გაიზიაროს, მაგრამ რა ვუყოთ, კონკრეტულ, უამრავ შეცდომას? იქნებ, შემადგენლობა ვერ შეირჩა კარგად რუსეთთან და პოლონეთთან მატჩებისათვის?**

- თუ მე რაიმეთი ვარ განსაკუთრებული მწვრთნელი, პირველ რიგში იმით, რომ კონცენტრაციას დიდ ყურადღებას ვუთმობ. შედეგი კონცენტრაციის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული. მოედანზე აბსოლუტური ყურადღება სრულყოფილებაა. ჩვენთან ამაზე მუშაობა დასაწყებია. ჩვენს ნაკრებებში 90 წუთის განმავლობაში 5 წუთია მაღალი კონცენტრაციის ხარისხი, სხვათა შორის, კონცენტრაციის ასევე დაბალი ხარისხი შეინიშნება ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილშიც. როცა ფეხბურთელებში კონცენტრაცია იკარგება, ირღვევა სინქრონი - ფეხბურთელთა ჯგუფის შეთანხმებული მოძრაობა და ეს იწვევს სივრცის გაწყვეტას, ამ სივრცეში იხსნება მეტოქის ფეხბურთელი და შეცდომაზე გვიჭერს - როცა ჩვენი მეტოქე მაღალი კლასის გუნდია, ასეთ სიტუაციებს მაქსიმალურად იყენებს.

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან ფეხბურთელები, საშუალო და მოკლე დისტანციიდან ორივე ფეხით კარში დარტყმა რომ უჭირთ. ნუთუ, ამ პრობლემის მოგვარებასაც ფსიქოპორტრეტი და კონცენტრაციის მაღალი ხარისხი სჭირდება?**

- ყველაფერი ეს ბავშვთა ფეხბურთიდან მოდის. თუ ჩვენთან ბავშვი დღეში კარში 10-ჯერ ურტყამს, კარგ საფეხბურთო ქვეყანაში ამას 100-ჯერ აკეთებს, რადგან იქ ვარჯიშის, დასვენების და აღდგენის უკეთესი პირობები აქვს. უცხოეთში ბადეებით გადატიხრული მოედანიც კი ვნახე - ბადეებით შემოფარგლულ მოედნის მონაკვეთზე ბავშვს რამდენიმე ბურთი აქვს და ორივე ფეხით დარტყმაზე მუშაობს, ბურთის მოსატანად სირბილი არ უწევს, კომფორტულადაა. ჩვენთან კი ასეთები, აბა, სად ხდება? ძალიან მნიშვნელოვანია კვების საკითხიც. ფენოვან ხაჭაპურზე და „კოკა-კოლაზე" გაზრდილი ბავშვი კარგ შედეგს ვერ მიაღწევს.

## ჩემი შეხედულებები თანამედროვეა

**- 16-წლამდელთ ნაკრებში თქვენს საქმიანობაზე რას იტყვით, რამდენად ნაყოფიერად მიგაჩნიათ გაწეული სამუშაო?**

- 16-წლამდელთა ნაკრები ოფიციალურ ტურნირებში არ მონაწილეობს, თითქოს ჩრდილში ვართ მოქცეულნი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორედ 16-წლამდელთა ნაკრებია საფუძველი ასაკობრივი ნაკრებებისთვის. წლევანდელ ზაფხულში რვაკვირიანი შეკრება გვქონდა თბილისში ნაკრების ბაზაზე, ფეხბურთის ფედერაციამ კარგად მომზადებისთვის ყველანაირი პირობა შეგვიქმნა. ეროვნული სტადიონის სავარჯიშო ბილიკიც მოვითხოვეთ და არც ამაზე გვითხრეს უარი, სტადიონის დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილიც მხარში ამოგვიდგა და მისი მადლობელი ვარ. სარბენი ბილიკის საფარი ისეთია, რომ სპორტსმენისთვის სისწრაფის მომატებას უწყობს ხელს. ასეთი შეკრება 16-წლამდელთა ნაკრებს წელიწადში ორჯერ ექნება, პლუს საერთაშორისო მატჩები. 1993 წელს დაბადებულებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელთაც გულშემატკივარი ჯერ არ იცნობს. საერთოდ, ასაკობრივი ნაკრებისთვის ხანგრძლივი შეკრებები განსაკუთრებულად აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ნაკრებების ფეხბურთელებში საერთო ენა არ არის და ეს გამოსასწორებელია.

**- ისე გამოდის, რომ საორგანიზაციო საკითხების მხრივ ქართულ ფეხბურთში სასიკეთო ძვრებია...**

- რამდენიმე კარგი ტენდენცია მართლაც გამოიკვეთა, თუნდაც ის, რომ 16-კვირიანი შეკრებისთვის ფინანსები გამოჩნდა. მივესალმები ელიტლიგის შექმნასაც, სადაც ისეთი გუნდებიც ითამაშებენ, ბავშვთა ლიგის მიღმა რომ დარჩნენ. თუმცა, ყოველივე ეს არ არის საკმარისი, ძალიან მწვავედ დგას ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებული ხალხის, კადრების პრობლემა.

**- როცა 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნეთ, ალბათ ისიც გქონდათ გათვალისწინებული, რომ გარკვეული დროის შემდეგ უფრო სერიოზულ საქმეს შეეჭიდებოდით...**

- ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხარი, გენერლობაზე რომ არ ოცნებობს. თუმცა ახლაც ბედნიერი ვარ იმით, რა საქმესაც ვაკეთებ, კარგად მაქვს გააზრებული ამ საქმის მნიშვნელობა. მზად უნდა ვიყო იმ შანსისთვის, რომელიც აუცილებლად მოვა. ვმუშაობ საკუთარ თავზე, ექსპერიმენტებისთვის დრო და საშუალება მაქვს, შედეგზე ფიქრი, ასე ვთქვათ, არ მახრჩობს. ვრწმუნდები იმაში, რომ ჩემი შეხედულებები თანამედროვეა. საქართველოს სხვადასხვა ნაკრებში ჩემს ხელში გამოვლილი 14 ფეხბურთელია.

**დავით თავართქილაძე**



საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს გასულ შესარჩევში გამონათებაც ჰქონდა: რუსეთს შინ 2:0 მოუგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალბერტო ჯილარდინოსთან

# ჯილამ თავისი გუნდი იპოვა

## და მუნდიალს უმიზნებს



ალბერტო ჯილარდინო

„ფიორენტინაში" ალბერტო ჯილარდინო ძველებურად ათამაშდა და ის ჯილაგოლი გაგვახსენა, რომელიც თავის დროზე „პარმაში" ბრწყინავდა. მასზე კვლავ ალაპარაკდნენ, როგორც იტალიური ფეხბურთის იმედზე და სჯერათ, რომ მომავალში „სკუადრა აძურაშიც" იტყვის თავის სიტყვას. იქამდე კი ჯილა „ფიორენტინასთვის" ირჯება და გოლს გოლზე იტანს. ჩემპიონთა ლიგაში შესრულებულ დუბლს, სერია A-ში „ბოლონიას" კარში გატანილი გამარჯვების გოლი მიაყოლა და უმალ პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. „ლელოს" მიკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, რაზე ისაუბრეს ფეხბურთელმა და იტალიელმა ჟურნალისტმა.

**- „ფიორენტინაში" მეორე სუნთქვა გაგეხსნათ, რას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი?**

- მე სხვა კითხვაზე ვეძებ პასუხს, რას უნდა მივაწერო ის, რომ „მილანში" ბოლომდე ვერ გავიხსენი და საუკეთესო თვისებები ვერ წარმოვაჩინე. არადა, ამისთვის ყველა პირობა მქონდა შექმნილი, აუგს ვერავისზე და ვერაფერზე ვიტყვი.

**- „მილანში" გატარებულ წლებს დაკარგულად მიიჩნევთ?**

- არა, დაკარგულად ნამდვილად არ მივიჩნევ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თამაშით კმაყოფილი არ ვყოფილვარ, მილანიდან მაინც ბევრი კარგი მოგონება გამომყვა. რაც მთავარია, ძალიან ბევრი ვისწავლე, რაც სამომავლოდ დიდად წამადგება.

**- ყველაზე კარგად რა გახსენდებათ?**

- ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გატანილი გოლი. სან სიროზე ბრწყინვალე ატმოსფერი იყო შექმნილი და თამაში ერთი სიამოვნება გახლდათ. ინგლისელთა განადგურებაში საკუთარი წვლილის შეტანამ დიდი სიამოვნება მომგვარა. „მილანში" გატარებულ დროს მარტო იმიტომ ვერ ჩავთვლი დაკარგულად, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება შევძელი.

**- რა განსხვავებაა ჩვეულებრივ, თუნდაც ამბიციურ გუნდში თამაშსა და გრანდში ასპარეზობას შორის?**

- დიდი განსხვავებაა და ამაში ის ფეხბურთელებიც დამეთანხმებიან, რომლებსაც გრანდში უთამაშიათ. დიდ გუნდებში ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვენ და ამ ფსიქოლოგიური წნეხის გაძლება ძალიან რთულია. არის კიდევ სხვა პრობლემაც, რაც ჩემს მაგალითზეც კარგად ჩანს. „პარმაში" თამაშისას გუნდის ლიდერი ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ჩემზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და მწვრთნელისგანაც სრული ნდობა მქონდა გამოცხადებული. ეს ის შემთხვევაა, როცა იცი, რომ თუ 50-ე წუთამდე ვერაფერს გააკეთებ, არავინ შეგცვლის და შეგიძლია შენი მოედანზე ყოფნა მატჩის ბოლო წუთზე გაამართლო. „მილანში" კი თითქოს ნებისმიერი წუთი ბოლო შანსია და ასე თამაში ურთულესია.

**- დავუბრუნდეთ დღევანდელობას, „ფიორენტინაში" კვლავ იგრძენით რომ გუნდის ლიდერი ხართ?**

- ფლორენციაში ნათლად მაგრძნობინეს, რომ სათადარიგო სკამზე საჯდომად არ ჩამიყვანეს. ეს დიდი სტიმული იყო, ამით დამატებითი მოტივაცია მომეცა. ძალიან გამახარა, რომ კვლავ ჩეზარე პრანდელის ხელმძღვანელობით მიწევს თამაში, მას ჩემი ბოლომდე ესმის. ერთი სიტყვით, გაცილებით მშვიდ ატმოსფეროში მოვხვდი, წნეხი ნაკლებია, გუნდი კი ძალიან ამბიციური, ეს ის გარემოა, სადაც თავს იდეალურად ვგრძნობ.

**- როგორ შეაფასებდით „ფიორენტინას" ასპარეზობას სეზონის სტარტზე?**

- მგონი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არავინაა. მართალია, სერია A-ს მეორე ტურში „ნაპოლისთან" დავმარცხდით, მაგრამ ამისგან ტრაგედია არავის შეუქმნია. წინ დიდი გზა გვაქვს და ამ გზაზე მარცხსაც თავისი ადგილი ექნება, მთავარია, ბოლოს დავრჩეთ კმაყოფილები და ის შედეგი ვაჩვენოთ, რომელიც გულშემატკივარს გაახარებს.

**- გულშემატკივარმა კი უკვე შეგიყვარათ.**

- ისინი სითბოს აშკარად გამოხატავენ, რაც უდიდეს სიხარულს მგვრის. ფლორენციელი ტიფოზების შესახებ ბევრი რამ გამეგო, ამ ქალაქში სტუმრის რანგშიც არაერთხელ მქონდა ნათამაშები, მაგრამ ნანახმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი ცხოვრობენ ფეხბურთით და ბუნებრივია, მათთვის უდიდესი ენთუზიაზმით ვთამაშობ.

**- ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში ბრწყინვალედ ითამაშეთ და დუბლი შეასრულეთ, თუმცა გუნდმა მაინც ვერ მოიგო.**

- ძალიან დასანანი ქულები დავკარგეთ. „ლიონთან" გასვლაზე ფრე ერთი შეხედვით ცუდი შედეგი ნამდვილად არაა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობასაც ხომ აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ორი ბურთით ვიგებდით და რაც მთავარია, დროის უდიდესი ნაწილი სრულ სათამაშო უპირატესობას ვფლობდით. ბოლო 20 წუთში კი რაღაც დაგვემართა და უპირატესობა ქარს გავატანეთ. ვერ ვიტყვი, რომ საკუთარი წარმატების არ დავიჯერეთ, ეს არაფერ შუაშია, უბრალოდ კონცენტრაცია დავკარგეთ.

**- შეძლებს „ფიორენტინა" ამ კონტინგენტით ორ ფრონტზე ბრძოლას?**

- ჩვენი მიზანი ორივე ფრონტზე რაც შეიძლება კარგად თამაშია. ჩემპიონთა ლიგაც და იტალიის პირველობაც ერთნაირად მნიშვნელოვანი ტურნირები გახლავთ და მათგან რომელიმეს გამორჩევა არ ხდება. „ფიორენტინას" მართლაც არ აქვს იმხელა რეზერვი, როგორიც, ვთქვათ, მილანურ გუნდებს, „იუვენტუსს" ან თუნდაც „რომას", მაგრამ თუ მოვინდომებთ, ყველაფერს შევძლებთ. ჩვენი მთავარი იარაღი გუნდურობაა, შესანიშნავ ატმოსფეროში გვიწევს შრომა და ეს წარმატების მიღწევაში დიდად შეგვიწყობს ხელს.

**- მუტუს მხარდამხარ თამაში როგორ მოგწონთ?**

- თავად ნახავდით, რა დიდებული პასი მომცა „ლიონთან" შეხვედრაში, რასაც მოყვა კიდეც გოლი. რუმინელი ბრწყინვალე პარტნიორია, მან ჩემი იმედები ბოლომდე გაამართლა. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი დუეტი იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. იმაში, რომ ძველებურად ავთამაშდი და სეზონის სტარტზევე არაერთი გოლი დამიგროვდა, ადრიანის დამსახურება ძალიან დიდია.

**- კიდევ ვის გამოარჩევდით გუნდში?**

- მთლიანად გუნდია შესანიშნავი, თუმცა გამორჩევაც შეიძლება. ვფიქრობ შეტევის ხაზი მართლაც ჩინებული გვყავს. არ დაგავიწყდეთ, რომ „ფიორენტინაში" პაცინი და ოსვალდო ასპარეზობენ. ისინი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერები არიან და პრანდელის მათი დიდად ეიმედება. არ შემიძლია ორიოდე სიტყვა მონტოლივოზე არ ვთქვა, რიკარდო ძალიან ტექნიკურია და მოედნის უზადო ხედვა აქვს. როცა ბურთი მას აქვს, უმალ თავისუფალ ზონაში გასვლაზე ვფიქრობ, რადგან ვიცი, რომ აუცილებლად დამინახავს და ზუსტ პასს მომცემს. ანალოგიურად იქცევიან სხვა თავდამსხმელებიც, ასეთი გარემო თავად მონტოლივოსთვისაც მისწრებაა, ის პროგრესს არც მომავალში შეწყვეტს და ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბდება.

**- „ფიორენტინაში" გადასვლამ ნაკრებშიც გაგიხსნათ კარი, მხოლოდ ამიტომ ღირდა ფლორენციაში ჩასვლა, რას იტყვით?**

- რა თქმა უნდა. ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრით საკუთარ თავზე გავბრაზდი. დონადონისადმი სასაყვედურო არაფერი მქონდა, ჩემი სათამაშო კონდიციით ავსტრია-შვეიცარიაში არაფერი მესაქმებოდა. სამაგიეროდ მივხვდი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და „ფიორენტინაში" გადასვლით აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი გადავდგი. ნაკრებში თამაში ჩემთვის უმნიშვნელოვანესია და უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ლიპიმ კვლავ დამაბრუნა გუნდში.

**- ლიპის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება ალბათ დამატებითი სტიმულია.**

- მასთან ერთად იტალიას საკუთარი ნაკრებისადმი რწმენა დაუბრუნდა. ყველამ იცის, რომ მარჩელოს „აძურას" განსხვავებული ძალა აქვს და ამ ძალის დამარცხება ურთულესი საქმეა. ბევრი ამბობს, რომ ყისმათთან გვაქვს საქმე, მაგრამ არ შეიძლება სულ გიმართლებდეს, აქ საქმე ნამდვილ პროფესიონალიზმშია. თუნდაც შესარჩევის მატჩი ავილოთ კვიპროსთან, ბევრი ხარვეზის მიუხედავად ჩვენ გავიმარჯვეთ და ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა ლიპის იტალიის სიძლიერეში.

**- დაბოლოს, თქვენს მიზნებში თუ შედის კვლავ გრანდში დაბრუნება?**

- ჩემი მიზანი „ფიორენტინასთან" ერთად მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაა. სულ ახლო წარსულში ფლორენციული გუნდი გრანდებს არაფრით ჩამოუვარდებოდა და მჯერა, მალე კვლავ ასე იქნება. ჩემი კიდევ ერთი მიზანი ნაკრებში დამკვიდრება და 2010 წლის მუნდიალზე გამგზავრებაა. ამისთვის კი სწორედ „ფიორენტინაში" თამაშია მისწრება, ასე რომ, ფლორენციიდან არსად წასვლას არ ვაპირებ.

სერია A

# მოურინიომ, ჯობია, საქმეს მიხედოს

## იტალიაში სკანდალები არ აკლიათ



ჟოზე მოურინიო

**ჟოზე მოურინიო** სადაც კი ჩადის, ყველგან ყურადღების ცენტრში ექცევა და გამონაკლისი არც იტალია აღმოჩნდა. აპენინებზე პორტუგალიელს გამადიდებელი შუშით უყურებენ და ყველა მის მოქმედებას აფასებენ. მისდამი ასეთი ინტერესი, რა თქმა უნდა, შედეგითაცაა განპირობებული, ჟოზე ხომ ყველგან წარმატებით მუშაობს. გავიხსენოთ მისი „პორტო", რომელმაც ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, შემდეგ კი „ჩელსი" და ზედიზედ ორჯერ მოგებული პრემიერლიგა.

პორტუგალიელმა წარმატებით დაიწყო იტალიური ერაც, მისმა „ინტერმა" სერია A-შიც და ჩემპიონთა ლიგაშიც შთამბეჭდავი სტარტი აიღო და პრესა გუნდის უძლეველობაზე აალაპარაკა. მოურინიოზე კვლავაც ბევრი იწერება - გუშინდელ „გაძეტაში" მის შესახებ რამდენიმე ცნობილი საფეხბურთო მოღვაწის აზრი გამოქვეყნდა, ძნელი სათქმელია, რის მიხედვით შეირჩნენ ისინი, თუმცა ყველა შემთხვევაში მათი აზრები თქვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს. თავდაპირველად „ნერაძურის" პრეზიდენტის კომენტარს გაეცანით.

**მასიმო მორატი:** *„გუნდის თამაშით, ისევე როგორც ყველა, მეც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემპიონთა ლიგაშიც და სერია A-შიც შესანიშნავად ვასპარეზობთ, რაც მომავლის იმედს მაძლევს. რაც ყველაზე მთავარია, მატჩიდან მატჩამდე ვპროგრესირებთ და თუ ასე გავაგრძელეთ, უმაღლეს მწვერვალებს დავიპყრობთ. ეს შესავალი მოურინიოს პერსონას ყველაზე უკეთ ახასიათებს - რა უნდა ვთქვა მწვრთნელზე, რომელიც ყოველთვის მოგებულია. პირადად მე, ჯოზე მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტად მიმაჩნია. მისი საქმისადმი მიდგომა ჩემში აღფრთოვანებას იწვევს, მოურინიოს ვარჯიშების ყურება ერთი სიამოვნებაა. ვხედავ, რა ენთუზიაზმით უდგება სამუშაოს და მისი წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ეს გახლავთ".*

მოურინიოს შესახებ ჟურნალისტები ფედერკალჩოს პრეზიდენტს, ჯანკარლო აბატეს დაეკითხნენ: *„ჟოზე საინტერესო პიროვნებაა და მიხარია, რომ ჩვენს ჩემპიონატში მუშაობს. იმედი მაქვს, თავს შედეგებით წარმოაჩენს და არა მკვახე განცხადებებით. სიმართლე გითხრათ, არ გვაქვს სურვილი, ვინმეს მიმართ სანქციები გამოვიტანოთ და ჯოზესაც სიმშვიდისკენ მოვუწოდებ. ვფიქრობ, „ინტერთან" ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს, მათ შორის საერთაშორისო ასპარეზზე და ამით სერია A-ს პრესტიჟსაც მაღლა ასწევს".*

მოურინიოს შესახებ მის ორ კოლეგას: **რობერტო დონადონის და კარლო ანჩელოტისაც** დაეკითხნენ. იტალიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი მოკლე გახლდათ: *„ჟოზე მოურინიომ უნდა იცოდეს, რომ ურთულეს ჩემპიონატში მოუწევს მუშაობა. იტალიაში შედეგს ისე ითხოვენ, როგორც არსად. აქ ყოველ ტურში უნდა ამტკიცო, რომ მუშაობის ღირსი ხარ. მეორე მხრივ, პორტუგალიელს აქვს ყველა მონაცემი, თავი გაიტანოს და შედეგსაც მიაღწიოს, რადგან იგი შედეგზე ორიენტირებული სპეციალისტია. წარმატებები მინდა ვუსურვო".*

კარლო ანჩელოტიმ ვიზავიზე შემდეგი განაცხადა: *„მოურინიოს „ინტერში" დანიშვნა მხოლოდ ნაადგება იტალიურ ფეხბურთს. ის ემოციურია და ხშირად სკანდალურ განცხადებებს აკეთებს, ამით ინგლისურ პრემიერლიგას გარკვეულ პენსაც აძლევდა, მაგრამ მინდა ჟოზეს შევახსენო, რომ აქ სკანდალები არ გვაკლია და უმჯობესია მეტი დრო საქმეს დაუთმოს. ეს, ნახევრად ხუმრობით, ისე კი მასთან ჭიდილი ჩემთვის გამოწვევაა და ვნახოთ, ამისგან რა გამოვა. სულ მალე დერბია, დაუვიწყარი მატჩი იქნება და იმედი მაქვს დუელში ჩემი გუნდი გაიმარჯვებს".*

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

იტალია. სერია A. IV ტურის წინ

# ჯერ რეჯინაში მოგვაგებინეთ...

ღღეს

ატალანტა-კალიარი
ბოლონია-უდინეზე
კიევო-ტორინო
ჯენოა-რომა
ინტერი-ლეჩე
იუვენტუსი-კატანია
ლაციო-ფიორენტინა
ნაპოლი-პალერმო
რეჯინა-მილანი
სიენა-სამპდორია

იტალიაში დერბისწინა ტურია. ამ უიქენდზე "ინტერი" "მილანს" ხვდება. ამიტომ, ეს ტური ამ გუნდებისთვის ერთგვარი მოთელვის საშუალება იქნება, მაგრამ არის კი ახლა მოთელვებისა თუ რეპეტიციების დრო? თუმცა ორივე გუნდს იმხელა სათადარიგო სკამი აქვს, თავს უფლებას მისცემენ, როტაციას მიმართონ და საკვანძო ფიგურები "მადონინასთვის" შემოინახონ.

დღეს "ინტერი" "ლეჩეს" მასპინძლობს. "ტორინოსთან" გასვლითი გამარჯვების (3:1) შემდეგ პრესამ "ნერაძურის" მაღალი შეფასება მისცა. მართლაც, **ჟოზე მოურინიოს** ხელში "ინტერმა" საუკეთესო მატჩი ჩაატარა. პორტუგალიელმა მწვრთნელმა პირველად გამოსცადა **ადრიანოს, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **ამანტინო მანსინის** შემტევი ტრიო. აქედან, ორმა თითო გოლი გაიტანა, ადრიანო კი ჟოზემ გუნდური თამაშისთვის შეაქო, რითიც მასში რაღაც ახალი აღმოაჩინა. ალბათ, მოურინიო "მილანსაც" ამ "ტრიდენტეთი" (სამეული) შეუტევს, "ლეჩესთან" კი იბრაჰიმოვიჩსა და მანსინის დაასვენებს. "გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ამჯერად წინა ხაზზე ადრიანო, **რიკარდო კვარეშმა** და **მარიო ბალოტელი** გამწესდებიან, შუა ხაზში კი ტრავმის შემდეგ **დეიან სტანკოვიჩის** დაბრუნებაა მოსალოდნელი. მან **პატრიკ ვიეირა** უნდა შეცვალოს. ვიეირაც "მილანისთვის" იქნება საჭირო. ტრავმების გამო ჯერჯერობით ვერ ითამაშებენ **ლუიშ ფიგუ** და **მაქსველი**, რომლებიც ტრავმირებულები არიან, **სულეიმან მუნტარის** კი დისკვალიფიკაციის გამო კიდევ 2 მატჩის გამოტოვება მოუწევს. რაც შეეხება სერია A-ში დაბრუნებულ "ლეჩეს", **მარიო ბერეტას** საბრძოლო შემადგენლობის დაყენება შეუძლია.

"რეჯინასთან" მატჩის წინ **კარლო ანჩელოტის** რატომღაც მომავალ დერბიზე ჰკითხეს. "მილანის" თავკაცმა სულსწრაფი ჟურნალისტები ერთი წინადადებით მოიშორა - ჯერ "რეჯინასთან" მოგვაგებინეთო. ეს მატჩი იქნება ერთგვარი ტესტი იმის გასაგებად, მართლა უახლოვდება "როსონერი" ოპტიმალურ ფორმას, თუ "ლაციოსთან" შთამბეჭდავი გამარჯვება (4:1) "ყარაულის გასროლა" იყო. ასეთი რამ შარშანდელი სეზონიდანაც გვახსოვს, ამიტომ, დასკვნების გაკეთება არ უნდა ვიჩქაროთ...

თამაშის წინ ანჩელოტიმ იმაზეც უნდა იფიქროს, დააყენოს თუ არა "რეჯინასთან" **კაკას, ანდრეი შევჩენკოსა** და **რონალდინიოს** მაგიური ტრიო, თუ ეს ბიჭები ისევ "ინტერისთვის" შემოინახოს. ფაქტია, შევჩენკო და რონალდინიო ფორმაში არ არიან, მაგრამ საქმეც ისაა, რომ თუ სათამაშო პრაქტიკა არ ექნათ, საბრძოლო კონდიციების მიღწევა გაუჭირდებათ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერჯერობით, კარლეტო **ალეშანდრე პატოსა** და **მარკო ბორიელოს** თამაშითაც კმაყოფილია. მოკლედ, "მილანის" თავკაცის წინაშე დილემათა მთელი დასტაა.

ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ადრე დაშავებული **ალესანდრო ნესტა, ანდრეა პირლო** და **ფილიპო ინძაგი**, ტრავმა აქვს **პაოლო მალდინისაც**, თუმც არის შანსი, რომ "რეჯინას" წინააღმდეგ კაპიტანი ძირითადშიც კი ვიხილოთ. მასპინძელ **ლუკა ვიჯანის** ტრავმის გამო პრობლემა ნახევარდაცვაში ექნება. ბოლოსთვის კი ისტორიული "წიაღსვლაც": წლინახევრის წინ "მილანმა" კალაბრიაში 2:0 წააგო, გასულ სეზონში კი **ალბერტო ჯილარდინოს** კინკილა გოლის წყალობით გაიმარჯვა.

"იუვენტუსსა" და "კატანიას" მიმდინარე სეზონის ყოველ მატჩში თითო გოლი გააქვთ. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ მათი შარშანდელი მატჩებიც 1:1 დასრულდა. ახლა ის დროა, "იუვემ" ტრადიცია დაარღვიოს და შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვოსო, - ალბათ, ასე ფიქრობენ ამ გუნდის ფანები, რომლებიც მათი კერპების თამაშის ხარისხით, წესით, კმაყოფილნი არ უნდა იყვნენ. სხვათა შორის, უკმაყოფილებას არც **კლაუდიო რანიერი** მალავს. ტურინულ გრანდს თითოეული ქულა უდიდესი შრომის ფასად უჯდება. **ვალტერ ძენგას** "კატანია" კი, შარშანდელის არ იყოს, ახლაც "კერკეტი კაკალია" და ვინძლო, "იუვენტუსსაც" არ მისცემს სეირნობის საშუალებას. ამას ემატება ის პრობლემებიც, რომელიც რანიერის დაუგროვდა. თავად განსაჯეთ: ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **მაურო კამორანეზი, ჯანლუიჯი ბუფონი** და **დავიდ ტრეზეგე**. ამ უკანასკნელს გულშემატკივრები ახალ წლამდე ვერ იხილავენ. ბუფონს კი დღეს **ალექს მანინგერი** შეცვლის. თავდასხმაში, ალბათ, **კარვალიო ამაური** და **ალესანდრო დელ პიერო** იქნებიან, ხოლო ნახევარდაცვაში კამორანეზის ადგილს **მარკო მარკიონი** დაიკავებს. კატანიელთა დანაკლისად კი კვლავ რჩება ფორვარდი **ჯონათან სპინეზი**, რომელსაც **მიკელე პაოლუჩი** შეცვლის. ეს ის პაოლუჩია, რომლის გოლის წყალობითაც სიცილიელებმა წინა ტურში "ატალანტას" პირველი მარცხი აგემეს.

შაბათს "რომამ" მოჯადოებული წრე გაარღვია და "რეჯინას" 3:0 სძლია. სხვათა შორის, ეს იყო ამ სეზონში "ჯალოროსის" პირველი გამარჯვება ოფიციალურ მატჩში. მაგრამ "რეჯინასთან" აღებული 3 ქულა რომაელთა დღევანდელი ძალის საზომად ნამდვილად არ გამოდგება. **ლუჩანო სპალეტის** გუნდს გაცილებით სერიოზული გამოცდა ელის დღეს, "ჯენოას" გასვლით დაპირისპირებაში. შეგახსენებთ, რომ გენუელებმა მეორე ტურში "მილანს" 2:0 "ასიამოვნეს".

ჯერჯერობით, არ ჩანს იმის წინა პირობა, რომ სპალეტი "მარასიზე" **ფრანჩესკო ტოტის** დაყენებას შეძლებს. ტრავმები აწუხებთ **ჟუანს, მარკო კასეტის, მაქს ტონეტოსა** და ახალშეძენილ ფორვარდ **ჟულიო ბაპტიშტასაც**. ამიტომაც გაჰკიოდა სპალეტი ბოლო ხმაზე - ბაპტიშტა არ გვეყოფა, კიდევ ერთი ფორვარდი ან მინიმუმ შემტევი ნახევარმცველი გვჭირდებაო. ეს შემტევი ნახევარმცველი ფრანგი **ჟერემი მენეზია**, რომელიც სერია A-ს ჯერ ვერ შეეჩვია. თუმცა სპალეტის სხვა გზა არ აქვს და ფრანგს **მირკო ვუჩინიჩის** გვერდით გაამწესებს. მცირე შვებაა დაცვაში **ფილიპ მექსეს** დაბრუნება. რაც შეეხება "ჯენოას", **ჯან პიერო გასპერინის** ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლება. შეგახსენებთ, რომ შარშან "რომამ" გენუაში 1:0 (**პანუჩი**) მოიგო.


კარლო ანჩელოტის ჯერ დამშვიდების უფლება არ აქვს

"ლაციომ" სტარტზე ორივე თამაში მოიგო, მაგრამ კვირას აბსოლუტური უსუსურობა აჩვენა "მილანთან" შეხვედრაში. დღეს **დელიო როსის** შეგირდები "ფიორენტინას" მასპინძლობენ და ინტრიგის მხრივ, ეს მატჩი ტურში ნამდვილად გამორჩეულია. ბოლო უიქენდზე ფლორენციელთა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ ადრიან მუტუ** დაასვენა, მაგრამ დღეს ამხელა ფუფუნების უფლება აღარ აქვს. მუტუ თავდასხმაში **ალბერტო ჯილარდინოსთან** ერთად იქნება. "გაძეტას" ვერსიით, პრანდელი გეგმავს არგენტინელი გარემარბის **მარიო სანტანას** დაყენებასაც. როსი კი ჯერჯერობით ვერ იბრუნებს ტრავმირებულ ფორვარდ **ტომაზო როკის**, რომელსაც ბრწყინვალედ ცვლის **მაურო სარატე**. 21 წლის არგენტინელი 4 გოლით ბომბარდირთა სათავეშია. "ბიანკოჩელესტეს" დანაკლისი ნახევარდაცვაშიც აქვთ, **უსმან დაბოსა** და **ფაბიო ფირმანის** სახით.

საინტერესოა, რომ ამ გუნდებს შორის ბოლო 4 მატჩი ერთნაირი ანგარიშით 1:0 დასრულდა და ოთხივეჯერ გამარჯვებული "ფიორენტინა" დარჩა. ასე რომ, როსის გუნდს გამარჯვებისთვის რევანშის მოტივაციაც აქვს.

საინტერესო თამაში უნდა იყოს "ნაპოლი"-"პალერმოც". წინა ტურში სიცილიელთა მწვრთნელმა **დავიდე ბალარდინიმ ლევან მჭედლიძე** განაცხადში შეიყვანა. "გაძეტა" მას ახლაც 18-კაციან სიაში მოიაზრებს, მაგრამ ითამაშებს თუ არა საქართველოს ნაკრების ფორვარდი "სან პაოლოზე", ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. "პალერმომ", რომელსაც მთავარი ფორვარდი **ფაბრიციო მიკოლი** არ ეყოლება, ზედიზედ ორი მატჩი მოიგო, "ნაპოლი" კი იმ სამ გუნდს შორისაა, რომელსაც ჯერ თამაში არ წაუგია. ნეაპოლელებს არ ეყოლებათ მცველი **ფაბიო სანტაკროჩე**, რომელიც "უდინეზესთან" საკვირაო მატჩში მოედნიდან გააძევეს.

"ატალანტა" მასპინძლობს "კალიარის", ვისთანაც შინ ზედიზედ 3 მატჩი ფრედ აქვს ნათამაშები. ბერგამოელებს ჯერჯერობით ვერ ეხმარება ტრავმირებული **კრისტიან ვიერი**. "ბოლონიასთან" მნიშვნელოვან გასვლით მატჩში "უდინეზეს" არ ეყოლება ნაკრების ფორვარდი **ანტონიო დი ნატალე**, რომელიც ტრავმირებულია, მასპინძლები კი გამოცდილ მცველ **მარჩელო კასტელინის** ვერ დაიხმარენ. სერიოზული დანაკლისი ექნება "ტორინოსაც", რომელიც "კიევოს" თავდამსხმელ **ალესანდრო როზინას** გარეშე ეწვევა. ვერონელებს კი არ ეყოლებათ მცველი **ანდრეა მანტოვანი**. "სიენა"-"სამპდორიას" მატჩში მასპინძელთათვის სასიამოვნო სიახლე იქნება ფორვარდ **მასიმო მაკარონეს** დაბრუნება.

გიორგი გელაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 3. ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 4. პალერმო | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 5. კატანია | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 6. ატალანტა | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| 7. ნაპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 8. ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 9. რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 10. უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 11. სიენა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 12. ფიორენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 13. ლეჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 14. კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 15. მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 16. ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 17. ბოლონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 18. სამპდორია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 19. რეჯინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 20. კალიარი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

ნიუკასლი

# ეშლი ითხოვს დახმარებას

## ჯორდებს ის კაცი გაყიდის, რომელმაც თავის დროზე ჩელსისა და მანჩესტერ სიტის მდიდარი მფლობელები უშოვა...

**მაიკ ეშლი** "ნიუკასლის" გაყიდვას ცდილობს. მას ამ საქმეში ის ადამიანი დაეხმარება, რომელმაც **რომან აბრამოვიჩს** "ჩელსი" აყიდვინა. ლაპარაკია ინგლისის საფეხბურთო ლიგის ყოფილ თავმჯდომარე **კიტ ჰარისზე**. ეშლის სურს, ჯორდების სანაცვლოდ 450 მილიონი გირვანქა მოიხვეჭოს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მის სურვილს ასრულება არ უწერია. მათი აზრით, საეჭვოა, კრიზისში მყოფი გუნდის სანაცვლოდ ამხელა თანხა ვინმემ გადაიხადოს.


მაიკ ეშლი

მისტერ ჰარისი ლონდონის საინვესტიციო ბანკის, „სეიმურ პირსის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. აბრამოვიჩის გარდა, მან ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრ **ტაქსინ შინავატრასაც** ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა. სწორედ ჰარისის დახმარებით მოახერხა აზიელმა ბიზნესმენმა "მანჩესტერ სიტის" სარფიანად გაყიდვა.

"ნიუკასლის" გულშემატკივრებს მოთმინების ფიალა უკვე აევსოთ. ისინი ეშლისა და მისი თანამოაზრეების გუნდიდან წასვლას მოითხოვენ. ფანების აზრით, ჯორდების ყველა უბედურების სათავე თავმჯდომარეა. მან გულშემატკივართა საყვარელ მწვრთნელს, **კევინ კიგანსაც** კი კარისაკენ მიუთითა.

"ნიუკასლის" შესაძლო მყიდველების ვინაობა უცნობია. ამ კლუბით ჯერჯერობით არავინაა დაინტერესებული. მის საქმეებს დროებით მწვრთნელი **კრის ჰუტონი** უძღვება, თუმცა მისი ყოფნა-არყოფნა ერთი და იგივეა. საეჭვოა, ჯორდებს ამაზე უარესად ეთამაშათ, დროებითი დამრიგებელი საერთოდ რომ არ ჰყოლოდათ.

## რედნაპი გაამართლეს

**ჰარი რედნაპს** ბრალდებები მოუხსნეს. "პორტსმუთის" თავკაცი კორუფციულ გარიგებებში არ მონაწილეობდა. ბრიტანულმა სასამართლომ გამოცდილი სპეციალისტი ბრალდების ყველა მუხლში გაამართლა. ასეთი შედეგით დასრულდა პროცესი, რომელიც 10 თვის წინ დიდი სკანდალით დაიწყო. რედნაპს რომ ჰკითხოთ, თითიდან გამოწოვილმა ბრალდებებმა მას ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის შანსი დააკარგვინა.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ცდილობს გაარკვიოს, თუ ვინ არის „პორტსმუთის" ნამდვილი მფლობელი - **ალექსანდრ გაიდამაკი**, თუ მისი ბიზნესმენი მამა, **არკადი გაიდამაკი**, რომელიც მულტიმილიონერია და ისრაელის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, იერუსალიმის "ბეითარს" ფლობს. არკადი გაიდამაკი ისრაელშივე ცხოვრობს. საფრანგეთის სასამართლომ მის დასაკავებლად ორდერი გამოწერა. არკადი გაიდამაკს იარაღით უკანონო ვაჭრობაში ედება ბრალი და საფრანგეთში დაპატიმრება ემუქრება.

## ბუნიოდკორმა ზიკოც წაიყვანა

**ზიკო** უზბეკეთში იმუშავებს. ის "ბუნიოდკორის" მთავარი მწვრთნელი ხდება. ამ კლუბმა შუა ზაფხულში მიიქცია ყურადღება, როდესაც **სამუელ ეტოს** საარაკო კონტრაქტი შესთავაზა. კამერუნელმა თავდამსხმელმა ცდუნებას გაუძლო და "ბარსელონაში" დარჩა. სამაგიეროდ, უზბეკეთს მიაშურა **რივალდომ**. ბრაზილიელმა ისეთი შეთავაზება მიიღო, რომ უარის თქმა ვერ მოახერხა. ზიკო კლუბის დამრიგებლის პოსტზე **მირჯალოლ კასიმოვს** შეცვლის. ეს უკანასკნელი უზბეკეთის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაცია იმედს გამოთქვამს, რომ ზიკო არც ნაკრების მეორე მწვრთნელობაზე იტყვის უარს. ბრაზილიელ სპეციალისტს იაპონიის ნაკრებში, აგრეთვე თურქულ „ფენერბაჰჩეში" უმუშავია.

## მეტსიუმ არაბეთი დატოვა

**ბრუნო მეტსიუმ** დაკავებული თანამდებობა დატოვა - ფრანგი არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრების თავკაცი გახლდათ, გვამცნობს "როიტერი". მას სასტიკად არ მოეწონა ფეხბურთელების საქმისადმი დამოკიდებულება ბოლო შეხვედრებში. გუნდმა ჯერ ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთან წააგო, ხოლო შემდეგ საუდის არაბეთთან და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისკენ გზა ძალიან გაიმრუდა. მეტსიუს შეგირდებმა გამარჯვებისკენ ლტოლვა ოდნავადაც არ გამოამჟღავნეს. არადა, წლინახევრით ადრე საამიროების ნაკრებმა ევროპელი სპეციალისტის ხელში ისტორიულ წარმატებას მიაღწია, მოიგო რა სპარსეთის ყურის თასი. ეს ტურნირი 1970 წლიდან ტარდება და მასში ამ ქვეყნის ნაკრების საუკეთესო შედეგი მხოლოდ სამი ფინალური დაპირისპირება იყო. 2007 წლის 30 იანვარს კი მეტსიუმ ქვეყანას დიდი სიხარული მოუტანა.

## არგენტინიდან რუმინეთში

**რუმინული** "კლუჟის" ფორვარდს, ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის ერთ-ერთ უმთავრეს აღმოჩენა **ხუან კულიოს** რუმინეთის მოქალაქეობას სთავაზობენ, რათა მან ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშოს. 24 წლის ფეხბურთელი თანახმაა. კულიო 1984 წლის 30 აგვისტოს, პატარა ქალაქ მერსედესში (ბუენოს აირესთან ახლოს) დაიბადა. "კლუჟამდე" ის ძირითადად ნახევარდაცვაში თამაშობდა და ერთნაირი წარმატებით ასპარეზობდა როგორც შემტევ, ისე დაცვით ოპერაციებში. სამშობლოში მას უთამაშია მხოლოდ რიგი ცნობილი კლუბების დუბლებში - "ატლეტიკო ალმაგრო", 2004-2005; "ინდეპენდიენტე", 2005-2006; "რასინგი", 2006-2007; "დეპორტივო სერენა", 2007.

## ჩემპიონშიფის გუნდიც საინტერესო ყოფილა

**არაბეთის** გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთმა ნავთობკომპანიამ გამოთქვა სურვილი, რომ ინგლისის ჩემპიონშიფის გუნდი "ბარნლი" შეიძინოს. ამისკენ არაბებს მათი ფირმის მაღალი თანამდებობის პირმა, ინგლისელმა **ბრენდან ფლუდმა** უბიძგა. მათი გეგმით სტადიონ "ტარფ მურის" რეკონსტრუქციაში 50 მილიონი ევრო დაიხარჯება. საინტერესოა, რომ ეს არენა 1883 წელს გაიხსნა და მას მერე რემონტი რამდენჯერმე ჩაუტარდა, უკანასკნელად რამდენიმე წლის წინ. სამუშაოები კლუბს სულ 6 მილიონ გირვანქამდე დაუჯდა. "ბარნლის" საშინაო სტადიონი 22546 ადამიანს იტევს. სერიოზული რეკონსტრუქციის შემთხვევაში მისი ტევადობის სერიოზულად გაზრდაა გათვალისწინებული. გარდა სტადიონისა, კომპანია ფულს ჩადებს ტრანსფერებშიც. მოლაპარაკებები "ბარნლის" მესაკუთრე **ბარი კილბისთან**, წესით, მალე უნდა შედგეს. ეს უკანასკნელი კლუბში 1998 წელს მოვიდა, თუმცა მისი მომჭირნეობის ამბავი მთელმა ლანკაშირის საგრაფომ მალე გაიგო. სწორედ ამიტომ კლუბი ყოველთვის საშუალოთა შორის იმყოფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალში გაურკვევლობაა

# შუსტერს მწვავე საკადრო პრობლემის გადაჭრა მოუწევს

**დღეს**

ბარსელონა-ბეტისი
ვილიარეალი-რასინგი
ოსასუნა-დეპორტივო
ხეტაფე-ატლეტიკო
სევილია-ესპანიოლი

**ხვალ**

რეალი-სპორტინგი
მალაგა-ვალენსია
ვალიადოლიდი-ალმერია
რეკრეატივო-ბილბაო
მალიორკა-ნუმანსია

"რეალისა" და "სპორტინგის" წყვილში ფავორიტი ვინ იქნება, ძნელი მისახვედრი არ არის. მიუხედავად ამისა, სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონის დებიუტანტებთან სათამაშოდ მთელი სერიოზულობით ემზადებოდა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ბერნდ შუსტერს** უთხრა, "სპორტინგმა" შინ "ბარსელონასთან" 1:6 წააგო და ახლა თქვენ სადარდებელი არაფერი გექნებათო. ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, იმას გულისხმობდა, რომ ხიხონელები ძალიან სუსტად ასპარეზობენ, თუმცა შუსტერმა მადრიდული გაზეთის თანამშრომლის სულისკვეთება არ გაიზიარა და უპასუხა, ფეხბურთი მათემატიკა არ არის და ამ თამაშში გამზადებული ფორმულები არ არსებობსო. გერმანელი სპეციალისტი მართალია. მეტოქე რამდენადაც სუსტი უნდა იყოს, მის წინააღმდეგ საბრძოლველად მაინც სრული სერიოზულობით უნდა მოემზადო. ხიხონელები „სანტიაგო ბერნაბეუზე" ათწლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშებენ. ისინი, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებენ, რომ კიდევ ერთხელ არ შეირცხვინონ თავი, თუმცა ამ შეხვედრაში ყველაფერი მაინც "რეალზე" იქნება დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ სამეფო კლუბი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოამჟღავნებს, "სპორტინგს" ერთი ქულის მოპოვების შანსიც არ ექნება.

ბერნდ შუსტერი იძულებული გახდება, ძირითად შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს. გასულ ტურში **გუტიმ** ტრავმა მიიღო და **გაგოსა** და **სნეიდერის** მსგავსად ლაზარეთში ამოყო თავი. ესპანური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა ნახევარდაცვაში არსებული მწვავე პრობლემები როგორმე უნდა აღმოფხვრას. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ შუსტერმა გუტის პოზიციაზე **რუბენ დე ლა რედი** ათამაშოს. მოგეხსენებათ, მან წინა ტურში "რასინგს" გოლი გაუტანა. დე ლა რედს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი ნიჭი წარმოაჩინოს. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ **არიენ რობენსაც**, თუმცა სამეფო კლუბის კულუარებიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდიელ ნახევარმცველს მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. როგორც ამბობენ, ტრავმა სერიოზული არ არის და ექიმები რობენს თამაშის უფლებას მისცემენ.

მომდევნო ტურის მოახლოებასთან ერთად **რაულთან** დაკავშირებულმა ციებ-ცხელებამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი. მიმომხილველებს აინტერესებთ, რა ბედი ელის გონსალეს ბლანკოს. მოარული ხმების თანახმად, მას სათადარიგოთა სკამზე დასვამენ. **გონსალო იგუაინმა** წინა შეხვედრაში იმდენად კარგად ითამაშა, რომ შუსტერს მისი ამოგდება გაუჭირდება. სხვათა შორის, მადრიდელთა დამრიგებელმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, რაულს გოლები სჭირდებაო. ჰერ ბერნდს მიაჩნია, რომ კაპიტანმა, ცენტრფორვარდის ზურგს უკან უნდა იმოქმედოს. მოკლედ, ახლა რამდენიც უნდა ვივარაუდოთ, ზუსტად მაინც არ გვეცოდინება, როგორ შემადგენლობას გამოიყვანს ის.

"ბარსელონასთან" თავმოჭრილი "სპორტინგის" მთავარმა მწვრთნელმა, სენიორ **პრესიადომ** დაცვაში ცვლილებების განხორციელება გადაწყვიტა. მან **ხორხე, სასტრე** და **მატაბუენა** განაცხადიდან ამოაგდო. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეთი ინფორმაცია ვრცელდება. მათ ნაცვლად **ნერუ, დიეგო კამაჩო** და **პაბლო დე ლუკასი** იასპარეზებენ. სტუმართა მთავარი ამოცანა უკეთესი ფეხბურთის თამაში და საუკეთესო შემთხვევაში ერთი ქულის მოპოვება იქნება.

მორიგი ტურის მატჩისთვის "ბარსელონაც" სერიოზულად ემზადებოდა. კატალონიურმა გრანდმა "სპორტინგი" მიწასთან გაასწორა, მაგრამ **პეპ გვარდიოლა** ამით ეიფორიაში არ ჩავარდნილა. პირიქით, ახალგაზრდა სპეციალისტი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მის ფეხბურთელებს კონცენტრაცია არ დაეკარგათ. "ბარსას" გულშემატკივრებს კარგი ინფორმაცია ამცნეს. **ტიერი ანრი** ფარინგიტისგან განიკურნა და ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. ვეტერან ფორვარდს სისუსტე ეტყობოდა, თუმცა მას "ბეტისთან" თამაში არ უნდა გაუჭირდეს. გვარდიოლამ განაცხადიდან **პედრო როდრიგესი** ამოაგდო და მის ნაცვლად სწორედ ტიერი ანრი ჩაწერა. ძნელი სათქმელია, უშუალოდ შეხვედრის წინ პეპი როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს. გამორიცხული არ არის, მან **სამუელ ეტოო** და ანრი ერთად ათამაშოს. აი, **სილვინიოს** კი მოედანზე გასვლის შანსი არ ექნება. ახალ სეზონში ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მხოლოდ რამდენიმე წუთით იასპარეზა. ისიც, ჩემპიონთა ლიგაში ლისაბონის "სპორტინგის" წინააღმდეგ.

გვარდიოლას განაცხადში შემდეგი ფეხბურთელები მოხვდნენ: **ვალდესი, პინტო, პუიოლი, აბიდალი, დანი ალვეში, პიკე, კასერესი, მარკესი, ბუსკეტსი, კეიტა, იაია ტურე, ჩავი, გუდიონსენი, ინიესტა, კრკიჩი, მესი, ეტოო, ანრი.**

კატალონიაში გამგზავრების წინ "ბეტისის" დამრიგებელმა **პაკო ჩაპარომ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს მოახლოებულ შეხვედრაზე ესაუბრა. გაირკვა, რომ ანდალუსიელთა მწვრთნელს განაცხადში ერთი ცვლილებაც არ შეუტანია. სევილიურ დერბიში მისმა ბიჭებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და ალბათ, ხელშეუხებლობასაც ამიტომ მიაღწიეს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სენიორ ჩაპარომ ბარსელონაში ეს მოთამაშეები წაიყვანა: **რიკარდო, კასტრო, მელი, ვეგა, არსუ, სერხიო გარსია, მარკ გონსალესი, დამია, კაპი, მონსონი, პავონე, რივერა, ემანა, მეჰმედ აურელიო, ნელსონი, ხოსე მარი, ხუანდე, ხუანიტო.**

როგორც ხედავთ, განაცხადში "ბეტისის" წამყვანი ფეხბურთელები **ედუ, ხუანმა** და **ჩისკო** ვერ მოხვდნენ. სამივე მათგანი ტრავმირებულია. **რივასი, ბაბიჩი** და **ილიჩი** კი განაცხადში პაკო ჩაპაროს მოსაზრებების გამო ვერ მოხვდნენ.

პრიმერა დივიზიონის ლიდერი "ვალენსია" მორიგი გამარჯვებისთვის ემზადება. „ღამურებს" ანდალუსიაში "მალაგასთან" გასვლითი შეხვედრა ელით. ამ თამაშის წინ **უნაი ემერის ვისენტესთან** მუშაობის საშუალება მიეცა. პერმანენტული ტრავმებით დატანჯულმა ნახევარმცველმა სამშაბათს ნაყოფიერად ივარჯიშა. ამ სეზონში მას ძირითად გუნდთან ერთად მანამდე არ ემუშავა. ვალენსიელთა თავკაცს განაცხადი არ გაუმხელია, ამიტომ უცნობია, რა ბედი ელის ვისენტეს. სპეციალისტების უმრავლესობა აცხადებს, რომ ის ძირითადში ვერ ითამაშებს, რადგან სასურველი კონდიციების აღსადგენად დრო სჭირდება. სამაგიეროდ, **დავიდ ვილია** არაჩვეულებრივად გამოიყურება და ისევ ძირითადი შემადგენლობისთვის ემზადება. არადა, წინა ტურის წინ "ვალენსიის" ექიმები სრული სერიოზულობით აცხადებდნენ, რომ ვილიას ტრავმის გამო 2-კვირიანი იძულებითი შვებულება ელოდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს მათი მორიგი ფანდი იყო.

მადრიდის "ატლეტიკო" ფანტასტიკურად გამოიყურება. მესამე ტურში ამ გუნდმა "რეკრეატივო" მშობლიურ "ვისენტე კალდერონზე" 4:0 გაანადგურა. ამ სეზონში "როხიბლანკოშ" ამ ანგარიშით სამი საშინაო ორთაბრძოლა მოიგო. მართალია, **ხავიერ აგირეს** ბიჭები ამჯერად "ხეტაფეს" გასვლაზე ეთამაშებიან, მაგრამ ისინი ნებისმიერ შემთხვევაში სამი ქულისთვის იბრძოლებენ. საპასუხისმგებლო მატჩის წინ მექსიკელ სპეციალისტს **ჯონი ჰეიტინგა** დაუბრუნდა. აგირემ "ხეტაფესთან" საბრძოლველად 19 ფეხბურთელი შეარჩია: **ლეო ფრანკო, კუპე, ანტონიო ლოპესი, პერნია, პაბლო, პერეა, უიფალუში, სეიტარიდისი, რაულ გარსია, ლუის გარსია, მაქსი როდრიგესი, ასუნსაო, დე ლას კუევასი, მანიშე, სიმაო, ბანეგა, კამაჩო, აგუერო, სინამა.**



ბერნდ შუსტერი საკადრო პრობლემებს უნდა გაუმკლავდეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ესპანიოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 3. ალმერია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 4. ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 5. ატლეტიკო | 3 | 2 | 0 | 1 | 9-2 | 6 |
| 6. რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 7. სევილია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 8. ხეტაფე | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9. ბარსელონა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-3 | 4 |
| 10. დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11. ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12. ნუმანსია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 13. ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 14. რეკრეატივო | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 15. ოსასუნა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 16. რასინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 17. ბეტისი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 18. მალიორკა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 19. მალაგა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |
| 20. სპორტინგი | 3 | 0 | 0 | 3 | 5-12 | 0 |

ვალენსია

# რატომ არ გადავიდა ვილია რეალში?

## დავიდის მოწინააღმდეგე რაული ყოფილა...

გუშინ "რადიო მარკაში" სკანდალური გადაცემა გავიდა. საფეხბურთო ჟურნალის წამყვანი, **პაკო გარსია დავიდ ვილიასა** და მადრიდის "რეალის" ურთიერთობას შეეხო. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ გასული სეზონის მსვლელობისას **რამონ კალდერონმა** ღიად განაცხადა, ვილია ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეაო. "რეალი" ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საოცნებო გუნდია. თანაც, მაშინ "ვალენსიას" სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გუნდი პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა. ამის გათვალისწინებით დავიდს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასასვლელად ბევრი არ უნდა ეფიქრა, მაგრამ მან "ღამურებთან" თანამშრომლობის 2014 წლამდე გაგრძელება გადაწყვიტა. ერთი შეხედვით ეს სრულიად გაუგებარი გადაწყვეტილება იყო, რადგან სამეფო კლუბის მესვეურები ასტურიელ ფეხბურთელს არაჩვეულებრივ ხელფასსა და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, ვილიას დათანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა. "რადიო მარკას" ჟურნალისტი პაკო გარსია შეეცადა საამისო მიზეზი დაედგინა და ერთობ უცნაურ დასკვნამდე მივიდა. ჩვენმა კოლეგამ პირდაპირ განაცხადა, ვილია "რეალში" გადასვლის სურვილით იწვოდა, მაგრამ ტრანსფერისგან **რაულის** გამო შეიკავა თავიო.




დავიდ ვილია

ალბათ, გაინტერესებთ, რაული რა შუაშია. ბატონი გარსიას მტკიცებით, ვილიაზე საუბრის დაწყების შემდეგ გონსალეს ბლანკო ეჭვიანობამ შეიპყრო და დავიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლას ყოველმხრივ შეეწინააღმდეგა. „რადიო მარკას" ეთერში ჟურნალისტმა სამეფო კლუბთან დაახლოებული ადამიანის ინფორმაცია მოიშველია და მსმენელებს უთხრა, რომ თითქოს რაულმა ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა, თუ ვილიას შეიძენთ, მე სხვა გუნდში გადავალო. დაგვეთანხმებით, ძალიან ხმაურიანი განცხადებაა. ეს თემა ესპანურმა პრესამ აიტაცა და შეეცადა უშუალოდ "რეალის" კაპიტნის მოსაზრება გაეგო, მაგრამ გონსალეს ბლანკოსთან დაკავშირება ვერავინ შეძლო...

დავიდ ვილია უფრო იოლად ხელმისაწვდომი რესპონდენტი აღმოჩნდა. ის "დიარიო მარკას" ამ და სხვა თემებზე დიდხანს ესაუბრა. ესპანეთის ნაკრებისა და "ვალენსიის" წამყვანი ფორვარდი რაულსა და მას შორის ყოველგვარ დაპირისპირებას გამორიცხავს: *"ეს სიცრუეა. ალბათ, პაკო გარსია ვილაცამ მოატყუა ან თავად მოიგონა სკანდალური ისტორია. რაული არაფერ შუაშია. "რეალში" პირადი მოსაზრებების გამო არ გადავედი. დავინახე, რომ წარუმატებელი სეზონის შემდეგ გუნდში სერიოზული ცვლილებების ეპოქა დაიწყო. მოვლენებს გაფაციცებით ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი, რომ ხარვეზები მალე აღმოიფხვრებოდა. მგონი, სწორი არჩევანი გავაკეთე. როგორც ხედავთ, ჩემმა კლუბმა სეზონი არაჩვეულებრივად დაიწყო. ახლა პრიმერა დივიზიონის ლიდერები ვართ."*

"დიარიო მარკას" კორესპონდენტმა ვილიას უხერხული კითხვა დაუსვა. რის საფუძველზე ამტკიცებთ, რომ რაულს ხელმძღვანელობისთვის ულტიმატუმი არ წაუყენებია, თქვენ რა იცით, "რეალში" რა ხდებოდაო. პასუხის გაცემისას დავიდი აშკარად დაიბნა: *"რა თქმა უნდა, სამეფო კლუბში მიმდინარე მოვლენების შესახებ უტყუარ ინფორმაციას არ ვფლობ. მე სხვა გუნდის ფეხბურთელი ვარ, მაგრამ რაულს ძალიან კარგად ვიცნობ. ის ნამდვილი პროფესიონალია. პროფესიონალები კი კოლეგებს ეჭვითა და შიშით არ უყურებენ. არ მესმის, გონსალეს ბლანკო "რეალში" ჩემი გადასვლის წინააღმდეგი რატომ უნდა ყოფილიყო. დიახ, მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში კონკურენცია გაიზრდებოდა, მაგრამ "რეალის" კაპიტანს ამის არასოდეს შეშინებია."*

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# კრიზისი ინგლისურ სამწვრთნელო სკოლაში

გაგრძელება

არცთუ დიდი ხნის წინ, ინგლისელ ჟურნალისტებს შორის გაიმართა სერიოზული ლაპარაკი ბრიტანული სამწვრთნელო სკოლის პრობლემებზე. ისინი შემაშფოთებელ დასკვნამდე მივიდნენ: ქვეყანაში არ მოიძევება იმ დონის მწვრთნელი, რომელსაც ინგლისის ნაკრებს უშიშრად ჩააბარებდნენ. დასკვნას ყველა არ დაეთანხმა, მაგრამ პრობლემის არსებობა ვერავინ უარყო. ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა ისიც კი თქვა, რომ კრიზისზე საუბარი ზედმეტი იყო. მან საკუთარი მოსაზრების დასაბუთება სცადა, მაგრამ არგუმენტები მალე გამოელია. ამ პიროვნებამ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მაინც გამოყო: რა კეთდება პრემიერლიგაში საიმისოდ, რომ ადგილობრივმა სპეციალისტებმა სათანადო გამოცდილება დააგროვონ?

მოგეხსენებათ, პრემიერლიგის წამყვან კლუბებს უცხოელები უდგანან სათავეში ("მანჩესტერ იუნაიტედი" გამონაკლისია). ცნობილია ისიც, რომ საფეხბურთო ასოციაციამ **სტივ მაკლარენის** შემცვლელად ადგილობრივი სპეციალისტი ვერ გამონახა. გასაკვირია, მაგრამ პრემიერლიგაში ცოტა ბრიტანელი მუშაობსო, ვერ ვიტყვით. მოდი, თვალი გადავავლოთ: "სანდერლენდში" **როი კინი**, "მიდლსბროში" **გარეთ საუტგეითი**, "ბლექბერნში" **პოლ ინსი**, "ფულჰემში" **როი ჰოჯსონი**, "სტოკ სიტიში" **ტონი პულისი**, "ბოლტონში" **გარი მეგსონი**, "ასტონ ვილაში" **მარტინ ონილი**, "ჰალ სიტიში" **ფილ ბრაუნი**, "ევერტონში" **დევიდ მოიესი**, "პორტსმუთში" **ჰარი რედნაპი**, ხოლო "ვიგანში" **სტივ ბრუსი**. ბოლო სამი კვირის განმავლობაში "მანჩესტერ სიტიში" განვითარებული მოვლენების გამო ეს კლუბი ცალკე აღნიშვნის ღირსია. იქაც ბრიტანელი მუშაობს - **მარკ ჰიუზი**, ლიდერებში გარევის შანსი ამ გუნდსაც აქვს და რას მიაღწევს, მალე გამოჩნდება.

ბრიტანელთა სიმრავლის მიუხედავად, მწვერვალზე მხოლოდ უცხოელები დგანან. იმთავითვე აღვნიშნოთ, რომ ფერგიუსონის "იუნაიტედი" მარადიული ლიდერია. ამიტომ ჩვენ დანარჩენებზე ვლაპარაკობთ. დანარჩენებში კი საუკეთესო ბრიტანელი შარშან დევიდ მოიესი იყო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გუნდები, სადაც ბრიტანელი მწვრთნელები მუშაობენ, ნაკლებად შეძლებულნი არიან. შესაბამისად, ამ სპეციალისტებს უმაღლესი კლასის ვარსკვლავებთან მუშაობის საშუალება არ აქვთ.

საინტერესოა, რატომ იწვევენ გრანდებში უცხოელებს? "არსენალთან" დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია. **არსენ ვენგერი** ლონდონში, დიდი ხანია, მოღვაწეობს და აქ შეკითხვის დასმა უადგილოა. ფრანგმა დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. რაც შეეხებათ "ჩელსისა" და "ლივერპულს" - გუნდებს, რომელთაც პრემიერლიგის მოგებაზე სერიოზული პრეტენზია აქვთ... "არისტოკრატებში" უცხოელი მწვრთნელი ბოლო წლების ტრადიციაა - **რუუდ გულიტი** (1996–1998), **ჯანლუკა ვიალი** (1998–2000), **კლაუდიო რანიერი** (2000-2004), **ჟოზე მოურინიო** (2004–2007), **ავრამ გრანტი** (2007–2008), ახლა **ლუიშ ფელიპე სკოლარი.** გულიტის სექსუალურ ფეხბურთზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ჰოლანდიელმა თავადაც ვერ გაიგო, რა სურდა. შემდეგ მოვიდა იტალიელი ვიალი და "სტემფორდ ბრიჯზე" პირველი ტიტული ჩაიტანა — თასების თასი. მაგრამ მაშინდელმა ბოსმა, **კენ ბეიტსმა** აპენინელს პრემიერლიგაში დაკავებული მესამე და მეხუთე ადგილები ვერ აპატია და დაითხოვა. მოვიდა მეორე იტალიელი რანიერი, რომელმაც გუნდში კიდევ უფრო გაუგებარი იდეები დანერგა. მერე ლონდონში "განსაკუთრებული კაცის" ეპოქა დაიწყო. მოურინიო კიდევ დიდხანს დარჩება მიმომხილველების განსჯის საგნად. მოურინიო გრანტმა შეცვალა. მისტერ ავრამისაგან სასწაულებს არავინ ელოდა, არადა, ჩემპიონთა თასის მოგებამდე **ჯონ ტერის** ფეხის ერთი გაქნევა დააკლდა.

მსოფლიოში ყველაზე კონსერვატიულ ქვეყანაში ერთი სამწუხარო ტრადიციაც ჩამოყალიბდა - არაბრიტანელი მწვრთნელების გარდა, გუნდებს უცხოელი მენეჯერებიც ჰყავთ, მათ კი ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ ბრიტანული ტრადიციები. როცა უცხოელ ინვესტორს თანხის ჩადებიდან მოკლე ხანში შედეგის ნახვა სურს, როცა თითოეული უტიტულო წელიწადი მას ძვირი უჯდება, ძნელად წარმოსადგენია, რომ მან მილიონები გამოუცდელ, მაგრამ პერსპექტიულ მწვრთნელს ანდოს და გუნდის ასაშენებლად დიდი დრო მისცეს. ამ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, სადღაც მართალი აღმოჩნდება ის ადამიანი, ვინც ფიქრობს, რომ ბრიტანულ ფეხბურთში სამწვრთნელო კრიზისზე საუბარი გადაჭარბებულია.

მაგრამ არც ისეა საქმე, ყველა უბედურება კლუბის მესაკუთრე მდიდარ და სულსწრაფ ადამიანებს გადავაბრალოთ. "მანჩესტერ სიტის" მაგალითი გავიხსენოთ: ახალბედა **სტიუარტ პირსის** ადგილზე მისულმა **სვენ-გორან ერიქსონმა** თამაშის ხარისხი ნამდვილად გამოაკეთა. დავუშვათ, პირსს გამოცდილება აკლდა. საკმაოდ გამოცდილი **მარტინ ონილის** გუნდს რაღა ემართება? ონილის "ასტონ ვილას" არ ჰყოფნის სტაბილურობა, რათა ლიდერებს ჯეროვანი კონკურენცია გაუწიოს, განსაკუთრებით სეზონის მიწურულს. რატომ? იმიტომ, რომ მწვრთნელს სტრატეგია არ უვარგა, ფეხბურთელები ფორმის პიკში ნაადრევად შეჰყავს და მარათონის ბოლოს გუნდი გადაღლილია, თუ იმიტომ, რომ ონილს არ ჰყავს მოთამაშეები, რომლებიც შარშანდელზე უკეთეს შედეგს (მე-6 ადგილი) აჩვენებენ?

"ევერტონსა" და "ასტონ ვილაში" სამწვრთნელო ოსტატობის ამაღლება ნამდვილად შეიძლება. ონილი და მოიესი ამას დიდი ხანია, ამტკიცებენ. მაგრამ რატომღაც არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს სპეციალისტები, შეიძლება, გრანდებში დაინიშნონ. შეძლებს კი ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში საშუალო კლასის ფეხბურთელებთან მუშაობდა, ვარსკვლავებთან საერთო ენის გამონახვას? ინგლისური გრანდები ამ სპეციალისტებით არასოდეს დაინტერესებულან. როგორც ჩანს, მათ ექსპერიმენტებისათვის არ სცალიათ. არავის სურს მარჩიელობა, თუ როდის შეძლებს ასეთი კატეგორიის მწვრთნელი გუნდის აშენებას. ამიტომაც უკვე გამზადებულ ჩემპიონებს, ჟოზე მოურინიოსა და **რაფა ბენიტესს** ნიშნავენ. მათ შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება.



მარკ ჰიუზი, ბრიტანული სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთი იმედი

ბენიტესთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელმა მოიგო ტიტული (ჩემპიონთა თასი), რომელსაც არ ელოდნენ. სამაგიეროდ, ვერაფერს გახდა საშინაო ფრონტზე (პრემიერლიგაში), სადაც მას წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. "ლივერპულს" ინგლისის პირველობა შორეული 1990 წლის (მთავარი მწვრთნელი **კენი დალგლიში** იყო) შემდეგ არ მოუგია. 18 წლის წინ მერსისაიდელებმა მე-18-ედ და ჯერჯერობით უკანასკნელად დაისაკუთრეს ოქროს მედლები. საინტერესოა, რას იზამს გუნდი წელს. როგორც მიმომხილველები წერენ, ბენიტესი აქცენტს პრემიერლიგაზე გადაიტანს. დღეს "ლივერპული" მე-3 ადგილზეა. ბოლო, მეხუთე ტურში ორი ქულა რომ არ დაეკარგა, ლიდერი იქნებოდა.

გაამართლა თუ არა ბენიტესის დანიშვნამ? ამ თემაზე მსჯელობა "ლივერპულის" გულშემატკივრებისთვის დაგვითმია, მაგრამ სენიორ რაფა რომ წარმატებული მწვრთნელის იმიჯით სარგებლობს, ამაზე დავას არ ვაპირებთ. ახლანდელ საფეხბურთო სამყაროში კი იმიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო მეტი ფული ჩაიდება ფეხბურთში, მით უფრო გაიზრდება დადებითი იმიჯის როლი, რადგან სადაც წარმატების მოლოდინია, იქ მეტი ფულია. აზრი იმის თაობაზე, რომ ასეთი მიდგომა გაუმართლებელია, უადგილოა. უცნაური ისაა, რომ ათეული წლების განმავლობაში ბრიტანელები ფეხბურთში მარტო ტიტულებსა და ფულს კი არ ეძებდნენ, არამედ მათთვის თავად პროცესი იყო საინტერესო. ბრიტანელებს ყოველთვის ყველაზე დიდი მწვრთნელები ჰყავდათ: **სერ ბობი რობსონი, სერ ალფ რემსი, სერ ალექს ფერგიუსონი, ჯოკ სტეინი, ბრაიან კლაფი, ბობ პეისლი, ბილ შენკლი, სერ მეტ ბასბი...** ფეხბურთის ისტორიას ეს ადამიანები წერდნენ (ერთი მათგანი დღესაც წერს). ისინი ეძებდნენ და პოულობდნენ. მათთვის მთავარი საფეხბურთო სულისკვეთება იყო.

დღეს კი რა ხდება? ფეხბურთის ტოტალურმა კომერციალიზაციამ ის მოიტანა, რომ მთავარია, იშოვო ფული, რომ ხარჯები გაისტუმრო, უფრო მნიშვნელოვანია, მოხვდე ჩემპიონთა ლიგაში, ვიდრე, ვთქვათ, მოიგო ინგლისის თასი, რადგან პირველი ფულის შოვნის საშუალებას გაძლევს, ხოლო მეორე უფულო უეფას თასზე გასვლისას. სწრაფი შედეგისა და ფულის ძიებაში დაიკარგა მთავარი, რითაც ფეხბურთი ცოცხლობდა - ფეხბურთელების აღზრდის პროცესი.

და რა მოხდება ხვალ, როცა გრანდები დადგებიან რეალობის წინაშე, რომ გუნდის თავკაცები უნდა გამოცვალონ? განა ასე ადვილია მუდმივად ფორსმაჟორში მუშაობა? რა მოხდება, როდესაც სერ ალექს ფერგიუსონი პენსიაში გასვლასა და მხოლოდ საკუთარი ცხენების მოვლას გადაწყვეტს? განა ეს დღე ძალიან შორია? რა ელის "არსენალს", როცა ვენგერი მშობლიურ სტრასბურში დაბრუნდება?

მაშინ ალბათ ისევ დადგება მარკ ჰიუზის (თუ იქამდე უელსელმა "სიტი" თავად არ აქცია გრანდად და სამუშაოს შეცვლა არ ისურვა), სტიუარტ პირსის, მარტინ ონილის და მათი თაობის მწვრთნელების დრო.

მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა



ვერდერი

# ბრემენში ახალი ერა იწყება

## ბაიერნის განადგურების შემდეგ: მუსიკოსები წელში გაიმართნენ


თომას შააფსა და მის „მუსიკოსებს" დიდი ამბიციები აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფრანკ ბაუმანი** ისევ ის ფრანკ ბაუმანია, წლების წინ რომ იყო – კაპიტანი, რომელსაც ბოლო დროს დაბერებას „აბრალებდნენ". **კლაუდიო პისაროც** ისევ ის კლაუდიო პისაროა, თავის დროზე ბრემენელ ფანებს თავისი გოლებით რომ აღაფრთოვანებდა. როგორც გამოჩნდა, არც **მარკუს როზენბერგი** ყოფილა ცუდი თავდამსხმელი, თურმე მასაც შეძლებია გოლების გატანა, თანაც თვით „ბაიერნის" კარში. „ვერდერიც" ისევ ის „ვერდერია" და თურმე, **თომას შააფსაც** არ გასვლია ბრემენული კლუბის მწვრთნელობის ვადა. მოკლედ, „ბაიერნის" განადგურების (5:2 მიუნხენში) შემდეგ, „ვერდერი" წელში გაიმართა!

*„ჩვენ მიუნხენში ვაჩვენეთ, რომ „ვერდერი" ძალიან ძლიერი და საშიში გუნდია. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ძალიან გვინდა. „ბაიერნთან" პირველიდან ბოლო წუთამდე ისე ვითამაშეთ, როგორც თავმოყვარე, ძლევამოსილ გუნდს შეეფერება,"* – ეს სწორედ კაპიტნის სიტყვებია, ბაუმანი ძველ როლს დაუბრუნდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „მუსიკოსებმა" ბავარიული გრანდი ზედ „ოქტობერფესტის", ტრადიციული ბავარიული ლუდის ფესტივალის სტარტზე გაანადგურეს. რაც შეეხება საფეხბურთო ასპექტს: ბრემენელთა მთავარ მწვრთნელ თომას შააფს ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ შაბათს მისი გუნდი აღარ იყო დამოკიდებული მხოლოდ **დიეგოს** დრიბლინგებსა თუ პასებზე, არამედ კოლექტიურად იბრწყინა და გერმანიის საუკეთესო გუნდი კოლექტიური სულისკვეთებით დაამარცხა. თანაც, „ვერდერის" თამაშს ისევ ეტყობოდა ის ხალისი, რის გამოც ეს გუნდი ძალიან ბევრს უყვარს. როცა საჭირო იყო, "მუსიკოსები" რეკორდმაისტერს კონტრშეტევებით „კბენდნენ", რამდენჯერმე საკუთარ საჯარიმოსაც მიაჯაჭვეს და ერთ მომენტში, „ვერდერის" სამმა ფეხბურთელმა ქუსლით სამმაგი კომბინაცია გაითამაშა, თანაც სულ მაღალი პასებით. ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი" არა მარტო განადგურდა, არამედ პირწმინდად შერცხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ „მუსიკოსებმა" ეს ისტორიული გამარჯვება ისეთი ფეხბურთელების გარეშე იზეიმეს, როგორებიც არიან **ტორსტენ ფრინგსი, კლემენს ფრიტცი, დანიელ იენსენი, უგო ალმეიდა და პეტრი პასანენი**. აქედან ფრინგსი და ფრიტცი ულაპარაკოდ ძირითადი შემადგენლობის წევრები არიან. დანარჩენები კი, უდავოდ მნიშვნელოვანი ფიგურები.

ფრინგსი ამ შეხვედრაში **იურიცა ვრანიეშმა** შეცვალა და ეს უკანასკნელი ამ სეზონში პირველად იყო სასტარტო შემადგენლობაში. და ამ უკანასკნელმა მართლაც იდეალური შთაბეჭდილება დატოვა. ნამატჩევს კი ისეთი სიტყვები „წამოსცდა", ბრემენელ ფანებს დიდად რომ ასიამოვნებდა: *„მიუნხენში გამარჯვება ისტორიულია და ეს „ვერდერისთვის" ახალი ერის დასაწყისი უნდა იყოს."* კაპიტანი ბაუმანი კი ხშირად იმეორებს, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ რეკორდმაისტერი ტყუილად არ გავანადგურეთ, ნამდვილი სეზონი სწორედ ახლა იწყებაო.

„ვერდერმა" „ბაიერნთან" პირველ რიგში მენტალური სიძლიერე დაამტკიცა. იგივე ითქმის პისაროზეც, რომელმაც ყოფილ გუნდს გოლი გაუტანა. როგორც იცით, პერუელს უკვე ძალიან აკრიტიკებდნენ, იმედებს ვერ ამართლებსო. და პისარომ სწორედ მიუნხენში დაამტკიცა, რომ მის შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ისე, პისაროც ძალიან თავისებური ფეხბურთელია. კარგად თამაშობს მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ უნდა, გოლებიც მაშინ გააქვს, როცა მონდომებულია, მაგრამ ის ყოველთვის მონდომებული არ არის.

თუმცა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების სროლა კი იცოცხლეთ, ეხერხება. 5:2-ის შემდეგ მან თქვა: *„ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონი უნდა გახდეს!"* განსაკუთრებით შაბათის შემდეგ მას ამაში ბევრი ეთანხმება...

პორტრეტი

# ცუდ დროს, ცუდ გუნდში

## რობერტ ენკეს უსიამოვნებანი...


რობერტ ენკე

**რობერტ ენკემ** კარიერის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ნახა და გამოსცადა. ის გერმანელი ფეხბურთელების იმ მცირერიცხოვან სიაშია, რომლებიც ფაქტობრივად თავიდანვე გასცდნენ გერმანიის საზღვრებს. ენკემ პორტუგალიით დაიწყო, ბენფიკა ესპანეთით (ბარსელონა) გააგრძელა, მერე თურქეთში წავიდა (ფენერბაჰჩე), ხოლო "ჰანოვერში" 2004 წლიდან თამაშობს. იმ ფეხბურთელისგან, რომელიც "ბარსელონაში" მოხვდება და მერე "ჰანოვერში" აღმოჩნდება, წესით, ხეირს აღარავინ ელის ხოლმე. მაგრამ ნახეთ, მას მერე, რაც **იენს ლემანმა** სანაკრებო კარიერა დაასრულა, 31 წლის რობერტს ჩინებული შანსი გაუჩნდა, "ამ სიბერეში" გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე გახდეს. მისი კონკურენტი კი "ლევერკუზენის" ახალგაზრდა კიპერი **რენე ადლერია**.

"ჰანოვერში" ენკე შეუცვლელი ფიგურაა, 2007 წლიდან გუნდს კაპიტნობს და „წითლებთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. ბუნდესგუნდში კი ის **იოახიმ ლიოვმა** მიიწვია და კონკურენტად ზემოთ ხსენებული ადლერი დაუსვა. თუმცა ჯერჯერობით ენკეს ანიჭებს უპირატესობას. მიზეზი: რობერტი უფრო გამოცდილია. ერთი შეხედვით, ენკეს საქმეები ძალიან კარგად მისდის და ის ბედნიერი უნდა იყოს (შეგახსენებთ, რომ 2006 წელს მას ორი წლის შვილი გარდაეცვალა).

მაგრამ შაბათის შემდეგ რობერტისთვის ყველაფერი ისე აღარ არის, როგორც შაბათამდე იყო. რა მოხდა შაბათს? "ჰანოვერმა" "ლევერკუზენთან" 0:4 წააგო! დააკვირდით: "ლევერკუზენთან"! ამ გუნდის მეკარე კი ადლერია. სწორედ ის ადლერი! შესაბამისად, მას „ლევერკუზენის" ფანები მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდნენ. არცაა გასაკვირი, რომ ერთ ეპიზოდში ენკემ წონასწორობა დაკარგა, ნერვები ველარ მოთოკა და თანაგუნდელი **იან შლაუდრაფი** (სწორედ ამ უკანასკნელის ბრალი იყო ერთ-ერთი გოლი) კინაღამ მოედანზე შემოელახა. თუმცა შლაუდრაფთან ჩხუბი არ გაუგრძელებია და როგორც ამბობს, ეს ამბავი უკვე წარსულს ჩაჰბარდა. სამაგიეროდ, გულში ჩარჩა ოთხი გაშვებული გოლი!

ენკე კარგი მეკარეა. მართალია, ის არ არის არც ლემანი და მით უმეტეს, არც კანი და ზოგადად, ასეთი მეკარეების შემდეგ ბუნდესმეკარეობა უმძიმესი ტვირთი და უდიდესი პასუხისმგებლობაა, მაგრამ რობერტი ამასაც გაართმევდა თავს, რადგან მენტალურად ძლიერი პიროვნებაა. აუცილებლად გაართმევდა, რომ არა ერთი პრობლემა: ის "ჰანოვერში" თამაშობს. ეს კი ის გუნდია, რომელიც ყოველთვის გაუშვებს გოლებს. ცხადია, არა იმიტომ, რომ ცუდი მეკარე ჰყავს.

მიზანი შემდეგია: იმისათვის, რომ ენკემ ადლერს აჯობოს და ლემანის მემკვიდრეობა ერგოს, "ჰანოვერი" აუცილებლად უნდა გავიდეს თუნდაც უეფას თასზე. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს აბსოლუტური უტოპიაა. ბუნდესლიგა და გერმანიის თასი გერმანიის ეროვნული ნაკრების ძირითადი გოლკიპერის საზომი იქნება იქნება. ამისათვის ბუნდესგუნდს ზედმეტად დიდი ამბიციები აქვს.

ფაქტია, რომ რობერტი ცუდ დროს ცუდ გუნდში მოხვდა. "ჰანოვერში" შესაძლებლობების დამტკიცება ძალიან ძნელია. რამდენად დიდია იმის შანსი, რომ სეზონის ბოლოს ენკემ გუნდი გამოიცვალოს?

*"როდესაც დღენიადაგ მხოლოდ ის გესმის, რომ ევროტურნირებზე არ თამაშობ, რის გამოც ბუნდესნაკრებში თამაშის ღირსი არ ხარ, ცხადია, გუნდის გამოცვლაზე სერიოზულად დაფიქრდები. არადა, წელს არც ადლერი თამაშობს ევროტურნირებზე. თუმცა მის შემთხვევაში ეს რატომღაც ყველას ავიწყდება ხოლმე. ცხადია, ეს ადლერის ბრალი არაა, მაგრამ არც ჩემი ბრალია,"* – ამბობს ენკე "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ის არ მალავს, რომ "ჰანოვერში" შესანიშნავად გრძნობს თავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ "წითლებში" დარჩება: *"სად ვითამაშებ მომდევნო სეზონში, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს."*

თუმცა რობერტისთვის ახლა ყველაზე მთავარი ის უნდა იყოს, რომ ლიოვი მას ენდობა. თანაც, ენკეს ლობირებს გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე ლემანიც, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ისე იასპარეზა, რომ ფაქტობრივად მთელი სეზონის განმავლობაში სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია. ფინეთთან 3:3-ის შემდეგ, ლიოვმა ენკეზე თქვა, რაც გასაკეთებელი იყო, უპრობლემოდ გააკეთაო.

მოკლედ, ლიოვი ჯერჯერობით მისკენ იხრება, მაგრამ თუ "ჰანოვერმა" გოლების გაშვება გააგრძელა, ენკეს საქმე ცუდად იქნება. აი, მაგალითად, ბუნდესლიგის მომდევნო ტურში "ჰანოვერი" "შალკეს" ხვდება და დიდი შანსია, რომ ამ შეხვედრაშიც ორზე მეტი ბურთი გაუშვას. მით უმეტეს, რომ "წითლები" გელზენკირხენში სავარაუდოდ 14 ფეხბურთელით ჩავლენ (გუნდში ტრავმების ეპიდემიაა) და აქედან სამი მათგანი მეკარე იქნება...

სკანდალი

# ჰოპი დორტმუნდის ფანს უჩივის

## მილიარდერს ამდენი შეურაცხყოფა ყელში ამოუვიდა


დიტმარ ჰოპი

გერმანიაში „ჰოფენჰაიმის" ყველას შურს. ამ გუნდს მილიარდერი პატრონი ჰყავს, რომელსაც ფული არ ენანება. ეს კი, მეტოქეებში შურს იწვევს. *„დიტმარ ჰოპ, შენ ბოზის შვილი ხარ!"* – ეს და სხვა ამგვარი გამონათქვამები „ჰოფენჰაიმის" გასვლით თუ საშინაო მატჩებში თანდათან ხშირდება. კვირას, „ჰოფენჰაიმისა" და დორტმუნდის „ბორუსიის" მატჩის დროს, ერთ-ერთმა დორტმუნდელმა ფანმა უდიდესი პლაკატი აღმართა, სადაც **ჰოპის** სურათს თავზე სნაიპერის მიზანი ჰქონდა „ასტა ლა ვისტა, ჰოპ". 68 წლის მილიარდერს ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოუვიდა და სწორედ ამიტომ, „ბორუსიის" 19 წლის ფანის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღძრა. გულშემატკივარი მატჩის შემდეგ პოლიციამ დააკავა!

*„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. სასამართლოს მივმართე. გინება ავიტანე, სიკვდილის მუქარას კი ველარ ავიტან. ყველაფერს ვილონებ, რომ ის გულშემატკივარი სამაგალითოდ დაისაჯოს. ამას იმისთვის ვაკეთებ, რომ ყველამ გაიგოს: ასეთი ფაქტები ყელში ამომივიდა!* – აცხადებს ჰოპი და იქვე ამატებს, *- ეს იყო ყველაზე სამარცხვინო საქციელი. თანაც, „დორტმუნდის" ფანისგან. ეს ის გუნდია, რომლის ხელმძღვანელებმაც წლების წინ კლუბი გაკოტრების პირას მიიყვანეს."*

ჰოპის ადვოკატის, დოქტორ **იოჰანეს კნორცის** თქმით, დიტმარმა სარჩელი იმ მიზნით შეიტანა, რომ ასეთი გამოხდომების მოთმენას აღარ აპირებს. *„ჰერ ჰოპს ამით რაიმე სარგებლის ნახვა კი არ სურს, არამედ უნდა, ყველას დაანახვოს, რომ მისი მოთმინების ფიალა აივსო,"* – ამბობს კნორცი.

"დორტმუნდის" ხელმძღვანელებმა ჰოპს უკვე ოფიციალურად მოუბოდიშეს. "ბორუსიის" გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ფანის საქციელი დაგმო და მას „დორტმუნდისთვის" შეურაცხმყოფელი პიროვნება უწოდა. ვატცკე პირობას დებს, რომ "ბორუსიის" არც ერთი ფანი ასე აღარასოდეს მოიქცევა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**



„მშვიდობით, ჰოპ" - მუქარის შემცველი პლაკატი დორტმუნდელი გულშემატკივრების ტრიბუნაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ზურაბ ტომარაძე

ლეგიონერები. ტრანსფერები

# სანიკიძემ გადაწყვიტა: ტარტუ როკი!

**ვიქტორ სანიკიძე** 2008-09 წლების სეზონს ესტონეთის ჩემპიონ "ტარტუ როკში" გაატარებს. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ გუშინ შუადღისას თავად კალათბურთელმა გვითხრა.

- საფიქრალი მართლაც მქონდა, "ტარტუ როკთან" ერთად კარგ პირობებს მთავაზობდა საბერძნეთის აეკ-ი, რომელსაც შვედეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კოსტას ფლევარაკისი** წვრთნის, მაგრამ კარიერის ესტონეთში გაგრძელება გადავწყვიტე. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი უფრო სწორი აღმოჩნდება, - აღნიშნა ვიქტორმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ კლუბის შერჩევამ შვება მოჰგვარა.

ალბათ, ბევრს აინტერესებს, ვიქტორმა რატომ არჩია ბერძნულ კლუბს ესტონური. ამ კითხვაზე სანიკიძეს ახლა უკვე ამომწურავი პასუხი აქვს:

- ტრავმის შემდეგ ბევრი გამიცდა და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას ვუჩიოდი. ახალი გუნდის შერჩევისას, პირველ რიგში, სწორედ ამ კრიტერიუმით ვიხელმძღვანელე. "ტარტუ როკი" ესტონეთის ჩემპიონატში, ულების თასსა და ბალტიის ლიგაში ასპარეზობს. ბერძნული აეკ-ი კი 2008-09 წლების სეზონში საბერძნეთის ჩემპიონატის გარდა არც ერთ საერთაშორისო ტურნირში არ მონაწილეობს. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

რადგან საბერძნეთის პირველობაზე თამაშობს, შეიძლება ბევრს ეგონოს, რომ აეკ-ი "ტარტუ როკზე" გაცილებით ძლიერი გუნდია. რეალურად ასე არ არის. "როკერებმა" შარშანაც დაამტკიცეს, რომ საბერძნეთის პირველობის გუნდებს არაფრით ჩამოუვარდებიან – ევროთასზე პაოკ-ი შინაც დაამარცხეს და სტუმრადაც.



ესტონური კლუბის ხელმძღვანელობამ წლეულს გუნდი კიდევ უფრო გააძლიერა და მიზნად ბალტიის თასის ფინალურ ოთხეულში გასვლა დაისახა. ესტონეთის ჩემპიონობა მიზნებში თავისთავად ითვლება, ხოლო ულების თასი ევროლიგის შემდეგ სიძლიერით მეორე ტურნირია და იქ წარმატების მიღწევა ევროგრანდებსაც უჭირთ. ამიტომ, "როკი" ულების თასზე თავისუფლად ითამაშებს და საბოლოოდ რას მიაღწევს, სეზონის მსვლელობისას ვნახავთ.

სანიკიძის გარდა ტარტუელთა რიგებში ჩაირიცხა გამოცდილი **ტანოკა ბირდი**, რომელიც სხვადასხვა დროს მადრიდის "რეალში", თურქეთის "ულქერში", ესპანეთის "ვალენსიასა" და ლიტვის "ჟალგირისში" თამაშობდა.

კიდევ ერთი ნიუანსი, რამაც ვიქტორ სანიკიძეს "როკში" გადასვლა გადააწყვეტინა – ამ კლუბში ევროპული დონის გამთამაშებლად ჩამოყალიბდა **გიორგი ცინცაძე**, რომელსაც ამ ზაფხულს სხვა კარგი კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ კიდევ ერთი წლით ესტონეთში დარჩენა გადაწყვიტა. ბუ (ცინცაძის მეტსახელი) ვიქტორის უახლოესი მეგობარია და მოედანზეც კარგად ესმის მისი. ამის დასტური, თუნდაც, შვედეთთან მატჩი იყო, რომლის ბოლო წუთებზე სწორედ ცინცაძე-სანიკიძის მწყობრი თამაშის წყალობით 16-ქულიანი ჩამორჩენა 2 ქულამდე შევამცირეთ. მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ ისინი ერთმანეთის გვერდით კადეტთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშობდნენ და ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ.

ვნახოთ, ეს ორი ქართველი "როკერთა ანსამბლში" როგორ დაუკრავს...

გუნდთან სანიკიძის იოლად შეწყობის იმედი აქვს "ტარტუს" მთავარ მწვრთნელ **ულარ კერდეს**. აი, რას ამბობს იგი ქართველ ფორვარდზე:

- წლევანდელ სეზონში "ტარტუ როკი" მაღალ მიზნებს ისახავს, რის მისაღწევადაც ძლიერი კალათბურთელები გვჭირდება. ვიქტორ სანიკიძე 22 წლისაა, თუმცა ძლიერი მოთამაშეა და ჩვენი გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ქართველის მთავარი პლუსი ისაა, რომ სხვადასხვა პოზიციაზე თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში.

ვიქტორმა ახალ გუნდთან კონტრაქტი გუშინ გააფორმა და საბუთების მოწესრიგებას უკვე შეუდგა. იგი ვარაუდობს, რომ სექტემბერში ყველაფერს მოაგვარებს და 1-ელ ოქტომბერს "ტარტუ როკს" შეუერთდება. სხვათა შორის, გუნდთან უკვე ვარჯიშობს გიორგი ცინცაძე, რომელმაც ესტონეთს 18 სექტემბერს შვედეთიდან მიაშურა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ვითა წავა და სამი მოვა?

## ერთ კვირაში ყველაფერი გადაწყდება

19 ოქტომბერს, საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. სამწუხაროდ, ბოლო წლების უსიამოვნო ტრადიციის გაგრძელება ამჯერადაც რეალური ჩანს – კიდევ ერთი კლუბი იშლება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, რამდენიმე წლის განმავლობაში არსებობაშეწყვეტილი და შარშან აღდგენილი "ვითა" ისევ "ტკბილ მოგონებად" დაგვრჩება. გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე არ უარყოფს, რომ პრობლემები არის.

- ჩვენი გუნდის სპონსორი აღარ აპირებს დაფინანსების გაგრძელებას, რის გამოც გაჩნდა საფრთხე, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ველარ ვითამაშებთ. ერთ კვირაში შევხვდებით საქართველოს კალათბურთის ხელმძღვანელობას და ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდება.

**- ასიდან რამდენი პროცენტია იმის შანსი, რომ "ვითა" არ დაიშალოს?**

- ასეთი გამოთვლა რთულია. ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ, ანუ ან ნული პროცენტი გვაქვს, ანაც - ასი. ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა.

ვიმედოვნებთ, „ვითა" არსებობას გააგრძელებს. ამასობაში კი გაჩნდა სასიამოვნო ამბებიც. კონკრეტულად, ეროვნულ ჩემპიონატში სამი ახალი კლუბი აპირებს ჩართვას. ერთი გუნდი აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე ყალიბდება, მეორეს ნუგზარ კანდელაკი აარსებს, მესამის შექმნა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა.

აგრარული უნივერსიტეტის კლუბს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მიხეილ კობეშავიძე** უთავკაცებს, რომელმაც გუშინ ასეთი რამ გვითხრა:

**- ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის გადაწყვეტილი, რომ აგრარულ უნივერსიტეტში მოვემზადებით, სადაც მშვენიერი საკალათბურთო დარბაზია. ფინანსური მხარის, გუნდის დაკომპლექტებისა და სახელის საკითხებს კი ერთ კვირაში გადავწყვეტთ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სურს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში საკუთარი კლუბი ჰყავდეს.**

ჯერჯერობით, უცნობია შინაგან საქმეთა სამინისტროს გეგმები. რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელ **ნუგზარ კანდელაკს**, კობეშავიძისა და ტომარაძის მსგავსად, მანაც ერთი კვირის შემდეგ აღგვითქვა დეტალურად საუბარი.

- დიახ, ნამდვილად არის იდეა, რომ ახალი კლუბი ჩამოვაყალიბოთ. თუმცა, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია და თუ შეიძლება, ახლა დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებ. ერთ კვირაში ჩამოვყალიბდებით და მერე ჯობია საუბარი. შესაძლოა, გუნდის მთავარი მწვრთნელი ვიყო ან კონსულტანტი...

**- ჩვენი ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან აპირებთ კალათბურთელების ჩამოყვანას...**

- ხომ გეუბნებით, ჯერ საბოლოოდ გარკვეული არაფერია.

**- სამწვრთნელო კარიერა საკმაოდ წარმატებულად დაიწყეთ, მაგრამ ბოლო წლებში აღარ ჩანხართ. არ მოგენატრათ დიდი კალათბურთი?**

- რა თქმა უნდა. ბავშვთა კალათბურთში კი ვმუშაობ, მაგრამ დიდი კალათბურთი მართლაც მომენატრა და ვიმედოვნებ, ხალხისთვის თავის შეხსენების საშუალება მალე მომეცემა.

**დასასრულ, ალბათ უპრიანი იქნება ერთგვარი რეზიუმეს გაკეთება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შარშანდელი ექვსის ნაცვლად, წლეულს ეროვნულ ჩემპიონატში ორი-სამით მეტი კლუბი გვეყოლება. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ძალიან ცუდია ფინანსური პრობლემების გამო, ყოველ წელს მინიმუმ ერთი გუნდის დაშლის საფრთხე რომ არსებობს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ რუსთავის გარდა, რეგიონებში დიდი კალათბურთი, ფაქტობრივად, არ არსებობს. მხოლოდ თბილისური კლუბებით კი შორს ნამდვილად ვერ გავფრინდებით...**

**კობა ხატისაშვილი**

# ბოისა ბალეარის კუნძულებზე

## ესპანეთს ევროპის საუკეთესო ლიგა აქვს



ვლადიმერ ბოისა

**ხმელთაშუა** ზღვაში ბალეარის კუნძულები საუკეთესო დასასვენებელ ადგილად მიიჩნევა. მის შემადგენლობაში შედის კუნძული პალმა დე მალიორკა, იბიცა, მენორკა...

სწორედ მენორკაში ჩავიდა **ვლადიმერ ბოისა** საქართველოს ნაკრების შვედეთთან მატჩის შემდეგ. ოღონდ, არა დასასვენებლად, არამედ ოფლის საღვრელად – 2008-09 წლების სეზონში იგი ესპანეთის ჩემპიონატში "მენორკას" ღირსებას დაიცავს.

- საქართველოს ეროვნულ გუნდთან ერთად საკვალიფიკაციო ტურნირი დავასრულე. ნაკრებიდან კმაყოფილი და ამასთან, მომზადებილი ჩამოვედი, ახლა ესპანეთის ჩემპიონატზე უნდა გადავერთო. "მენორკაში" დიდი ენთუზიაზმით მოვედი და ბევრი უნდა ვიმუშაო, რომ კლუბის ხელმძღვანელობის იმედები გავამართლო, - განაცხადა ვლადიმერ ბოისამ.

**სლოვენიური პასპორტის მფლობელი ქართველი "მენორკას" უკვე შეუერთდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. კლუბი ჯერ საბოლოოდ არ შევსებულა, ამ კვირაში ელიან ვრბიცა სტეფანოვს, რომელიც მაკედონიის ნაკრების ღირსებას იცავდა და ექსიუგოსლავიელებს ევროპის ჩემპიონატის საგზური მოაპოვებინა. გარდა იმისა, რომ სტეფანოვი ქართველ ქომაგს საქართველო-მაკედონიის 2005 წლის მატჩიდან ემახსოვრება, შეგახსენებთ, რომ მაკედონიელი 2007 წელს ვლადიმერ ბოისას თანაკლუბელი იყო. ისინი იტალიურ "მონტეპასკიში" ირიცხებოდნენ.**

მენორკული გაზეთები წერენ, რომ საქართველოს ნაკრებმა 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა და იქვე დასძენენ: ეს დიდი სიურპრიზი იყოო. ბოისა ნაკრებში საშუალოდ 8.5 ქულასა და 3.8 მოხსნას აგროვებდა. მას იმედი აქვს, რომ "მენორკასთან" შეგუება არ გაუჭირდება და სტატისტიკას კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

- ვიცი, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ჩემგან ისეთ თამაშს ელის, როგორც სამიოდე წლის წინ სლოვენიის "ოლიმპიაში". მას შემდეგ ქულათა შთამბეჭდავი მონაგარი ნამდვილად არ მქონია, მაგრამ იმედი, მაქვს, რომ "მენორკას" ყველა კომპონენტში სათანადოდ დავეხმარები.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ვოვამ ევროლიგაზე "ოლიმპიას" მაისურით თამაშით გაითქვა სახელი. იგი გუნდის ლიდერი იყო და არაერთი მატჩის ბედი გადაწყვიტა. 2005 წელს ბოისა იტალიურ "მონტეპასკიში" გადავიდა, სადაც ორი წელიწადი გაატარა, იტალიის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ამ წარმატებას მხოლოდ სათადარიგო კალათბურთელის რანგში მიაღწია. 2007 წელს იგი რუსულ "სპარტაკ-პრიმორიეში" აღმოჩნდა, სადაც მხოლოდ 3 თვე გაძლო. 2008 წლის იანვარში ვოვა **გორდონ ჰერბერტის** "არისში" ჩაირიცხა და ვერც იქ იქცა წამყვან კალათბურთელად. ვნახოთ, რა ფუნქციები დაეკისრება "მენორკაში".

**- ვიცი, რომ ევროპის საუკეთესო ლიგაში მომიწევს თამაში, მაგრამ ნნეხის არ მეშინია. საკმარისი გამოცდილება მაქვს საიმისოდ, რომ გარეშე ფაქტორებმა ჩემს გამოსვლაზე არ იმოქმედონ, - ამბობს საქართველოს ნაკრების ფორვარდი.**

ვიდრე სამი ლეგიონერი, ბოისა, სტეფანოვი და ივანოვი (ბულგარელი) სანაკრებო ამბებით იყვნენ დაკავებულნი, "მენორკამ" საკონტროლო მატჩები არადამაჯერებლად ჩაატარა – ექვსი შეხვედრა წააგო. ამ ამბავს ვოვა მშვიდად გამოეხმაურა:

- ექვსი წაგება ნამდვილად არაფერს ნიშნავს, როცა საქმე მოსამზადებელ ეტაპს ეხება. სწორედ დამარცხებისას ჩნდება გუნდის მინუსები, რომლებზეც ოფიციალურ მატჩებამდე უნდა ვიმუშაოთ. თუკი ვარჯიშები სწორად წარიმართება, ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე თამაშის გამოსწორებას მოვახერხებთ და იმ მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ დაგვისახა.

ალბათ, გაინტერესებთ, რა მიზნებზეა საუბარი. ჯერ გეტყვით, რომ "მენორკა" ესპანეთის პირველობის უმაღლეს ლიგაში მეოთხე სეზონია თამაშობს და აქამდე საუკეთესო შედეგი მე-15 ადგილი იყო. შარშან ბოისას ახალმა კლუბმა მე-16 ადგილი დაიკავა და ლიგიდან გავარდნას გადაურჩა. 2008-09 წლების სეზონის დასაწყისში ხელმძღვანელობამ სახსრების მობილიზება და საპლეიოფო გუნდის შექმნა გადაწყვიტა.

"მენორკაში" ერთმანეთის მიყოლებით ჩაირიცხნენ ამერიკელები **უილიამ ელი** (ბოისას უშუალო კონკურენტი), **დანი სტორი** და **პუხ ჯეტერი**, რომელიც გასულ სეზონში **მანუჩარ მარკოიშვილის** გვერდით უკრაინულ "კიევში" თამაშობდა.

მათთან ერთად "მენორკას" დაემატნენ ხორვატები **მარინო ბაზდარიჩი** და **მარიო სტოიჩი**, რომლებიც სხვადასხვა დროს "ოლიმპიაში" ბოისას გვერდით თამაშობდნენ. მაკედონიელ ვრბიცა სტეფანოვსა და ბულგარელ **კალოიან ივანოვზე** უკვე გესაუბრეთ. განაცხადში დარჩენილი ოთხი ადგილი ესპანელებმა შეავსეს.

**ბოლოს დავძენთ, რომ ვლადიმერ ბოისა ბალეარულ კლუბში მისი საყვარელი შვიდნომრიანი მაისურით იასპარეზებს.**

ესპანეთის ჩემპიონატი 4 ოქტომბერს დაიწყება. სადებიუტო ტურში "მენორკა" ესპანურ გრანდ ტაუ-ს უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამბო

### საქართველოს ჩემპიონატი

# მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან



ალექსი დავითაშვილი

სამბოში მსოფლიოს ჩემპიონატის წინ საქართველოს პირად ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლა. რა თქმა უნდა, სურვილი ყველას აქვს თავის წონაში მოიპოვოს უძლიერესის სახელი და ადგილი დაიმკვიდროს ეროვნულ ნაკრებში. ამიტომაც იყო, რომ დედაქალაქში საასპარეზოდ თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი შეიკრიბა ჩვენი ქვეყნის ქალაქებიდან და რაიონებიდან. სულ სარბიელზე 180 ფალავანი გამოვიდა.

*„ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ეროვნული ნაკრები, რომელიც, თუ მშვიდობა იქნა, პეტერბურგში ნოემბრის მეორე დეკადის დასაწყისში გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ნაკრებს მსოფლიომდე საწვრთნელი შეკრებაც აქვს დაგეგმილი"* - უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს სამბოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **სოლომონ ჩიტაშვილმა.**

გაგაცნობთ საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

**52 კგ**

1. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო)
2. დიმიტრი მულაძე (ხაშური)
3. თამაზ ნოზაძე (ხაშური)
3. ნუკრი ბერაია (ფოთი)

**57 კგ**

1. ილია პაპინაშვილი (აგარა)
2. ავთანდილ ცინცაძე (მცხეთა)
3. თემურ ნასყიდაშვილი (ზესტაფ.)
3. გიორგი ნასყიდაშვილი (ზესტაფ.)

**62 კგ**

1. გელა ბარათაშვილი (ქარელი)
2. ნუკრი პავლიაშვილი (მცხეთა)
3. ნიკო ნეფარიძე (ქუთაისი)
3. მინდია ლილუაშვილი (ზესტაფ.)

**68 კგ**

1. გელა სანიკიძე (ქუთაისი)
2. ნოდარ მჭედლიშვილი (საგარეჯო)
3. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა)
3. ბექა იმერლიშვილი (გარდაბანი)

**74 კგ**

1. ვანო ბერიძე (ფოთი)
2. დათო კოზერიძე (თბილისი)
3. ოთარ ახალაია (ზუგდიდი)
3. გიორგი ქაცარიძე (ზესტაფონი)

**82 კგ**

1. ნიკა კუცია (ფოთი)
2. ლევან გოზეჯიშვილი (საგარეჯო)
3. სოსო წელაური (თელავი)
3. გიორგი ჭაბუკაშვილი (გორი)

**90 კგ**

1. მინდია გოდაველი (თბილისი)
2. ლაშა გურული (ქუთაისი)
3. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა)
3. ზვიად გოგოჭური (ახმეტა)

**100 კგ**

1. გიორგი გოლოთაშვილი (გორი)
2. ფრიდონ აბულაძე (ახმეტა)
3. ჯემალ განჯელაშვილი (გორი)
3. გიორგი პირველაშვილი (ზესტაფ.)

**+ 100 კგ**

1. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა)
2. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი)
3. დავით გოჭორიშვილი (ქუთაისი)
3. ვახტანგ ზოიძე (აჭარა)

## ჭადრაკი

### შესარჩევი ტურნირი. მეორე წრე. მეორე ტური

# გუშინ მშვიდობით გაიყარნენ

**სალომე მელია-მაია ლომინეიშვილი 0,5:0,5**
**ნინო ხურციძე-სოფიო გვეტაძე 0,5:0,5**

ჭადრაკის სასახლეში გუშინ შესარჩევი ტურნირის მეორე წრის მეორე ტური გაიმართა და საყაიმო შედეგები დაფიქსირდა. საერთოდაც, ამ ტურნირზე გამარჯვებები ძალიანაც ძვირია - აქამდე ნათამაშები თოთხმეტი პარტიიდან მხოლოდ ოთხში შეძლეს გამარჯვების მიღწევა მონაწილეებმა, თუმცა მოგება მხოლოდ ორის ანგარიშზეა - **სოფიკო ხუხაშვილმა** და **ნინო ხურციძემ** დაამარცხეს მეტოქეები: სოფომ სამჯერ მოიგო, ნინომ კი - ერთხელ. ასეთი სტატისტიკა ცოტა გასაკვირი კია, მით უფრო ისეთი შეცდომების ფონზე, როგორსაც ქალბატონები უშვებენ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ლამის ერთმანეთის ჯიბრზე ცდებიან და ბოლოს რომ მოსაგებად გზა აღარ რჩება, ყაიმზეც თანხმდებიან.

გუშინ ერთპიროვნული ლიდერი ხუხაშვილი ისვენებდა; **სალომე მელია მაია ლომინეიშვილს** ხვდებოდა, ნინო ხურციძე კი - **სოფიო გვეტაძეს**. შედეგი უკვე მოგახსენეთ და სიმართლე გითხრათ, სხვა რამ საინტერესო ამჯერად არ მომხდარა: ლომინეიშვილმა შავებით სწრაფად გაათანაბრა დებიუტში და შემდეგ ვერც მან შეძლო მეტის გაკეთება და ვერც მელიამ. ასეთივე სურათი იყო ხურციძე - გვეტაძის შეხვედრაშიც... მოკლედ, მშვიდობით გაიყარნენო, რომ იტყვიან, ამ შემთხვევაში ზედმიწევნით შეესაბამება ვითარებას. ფინიშამდე სამი ტურილა დარჩა და არა მგონია, დღეს ასეთივე სიმშვიდე ვიხილოთ დაფებზე, - კარგა გვარიანი დაკადაკა უნდა ატყდეს და ვისი აჯობებს, გამოჩნდება. სატურნირო მდგომარეობა დღეისთვის ასეთია: **1. სოფიკო ხუხაშვილი - 4 (5); 2. ნინო ხურციძე - 3 (6); 3. სალომე მელია - 2,5(6); 4. სოფიო გვეტაძე - 2,5 (6); 5. მაია ლომინეიშვილი - 2(5).**

ზვიად შათირიშვილი

# არაბიძე მდევრებს მოსწყდა

ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე რამდენიმე მედალს რომ ველით, არახალია, მაგრამ ოქრო ყველაზე მეტად გვსურს და როგორც კი პირველობის შანსი მოგვეცემა, სუნთქვაც გვეკვრის - გადავდგამთ საჭირო ბოლო ნაბიჯს თუ ფეხი დაგვიცდება. მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური დარჩა და ამ გადასახედიდან კი ჩანს, ვის რა შეუძლია. საბედნიეროდ, ძალიან კარგად თამაშობს **მერი არაბიძე**, რომელმაც მეშვიდე ტურშიც იმარჯვა და უახლოეს მდევრებს ერთი ქულით გაასწრო. ორი ტურით ადრე ასეთი ჰანდიკაპი რთულად დასაძლევია და იმედი გვაქვს, რომ ვერც ვერავინ შეძლებს, თუმცა იმ ასაკში, სადაც მერი თამაშობს, კიდევ ორი ჩვენებურია და ორივეს კარგი შედეგები აქვს: **ნათია ჯალაბაძეს** 5,5 ქულით მეორე ადგილი უკავია და უპირველესი კონკურენტია არაბიძისთვის, **ნანი უნაფქოშვილს** კი 5 ქულით მეექვსე ადგილი უჭირავს. გავთამამდებით და აქ არაბიძის პირველობას ვიწინასწარმეტყველებთ, და მინიმუმ ერთ საპრიზოსაც „გავიმეტებ" ქართველისთვის...

ასეთივე ჰანდიკაპის შექმნის ჩინებული შანსი ჰქონდა თექვსმეტწლამდელებში მოთამაშე **ქეთი წაწალაშვილს**, მაგრამ სენსაციურად დამარცხდა დაბალრეიტინგიან ჰოლანდიელ მოჭადრაკესთან. მიუხედავად ამისა, ქეთის შანსი არ დაუკარგავს და პირველ ადგილზე მყოფ უკრაინელ გოგონას ნახევარი ქულით ჩამორჩება. წაწალაშვილის მარცხი გამარჯვებით დაგვიამა **ნაზი პაიკიძემ** და მასაც 5,5 ქულა გაუხდა, რაც დღეისათვის მესამე ადგილისთვის არის საკმარისი. დარჩენილ ორ ტურში ნაზიც გვეიმედება და ქეთიმაც უნდა გამოიღოს ხელი, - ამ ასაკშიც შეგვიძლია ჩემპიონობა.



მერი არაბიძე

ტოლს არაფერში უდებს სამი წლით უფროსებს **მარიამ დანელია** - გუშინდელი გამარჯვების შემდეგ პირველი ადგილისთვის ერთ-ერთი მთავარი მებრძოლი და კანდიდატი შეიქნა. მარიამს 5,5 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა. როგორც ჩანს, დანელიამ საბოლოოდ დაძლია უფროსებთან პაექრობის ფსიქოლოგიური პრობლემები და თამამად მიიწევს მიზნისკენ.

გვახარებს თორმეტწლამდელ ვაჟებში მოასპარეზე **ირაკლი ბერაძე** - მეშვიდე ტურში შავებით იმარჯვა და 6 ქულას მოუყარა თავი. ცხრილში ბერაძე მესამეა და იმედია, რომ ჩემპიონობისთვისაც გაიბრძოლებს. თუმცა კი გაუჭირდება - რუსი **დანიილ დუბოვი** 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს და ცხადია, კოეფიციენტითაც ჯობნის როგორც ქართველს, ისე - ყველა დანარჩენს...

ცხრილის სათავეში შეგვეძლო **დეა გოგიშვილიც** გვეხილა, მაგრამ დამარცხდა და ჩემპიონობაზე ფიქრს უნდა შეეშვას, რადგანაც რუსი **ანა სტიაშკინა** 6,5 ქულით ლიდერობს; დეას კი ხუთი ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. სამაგიეროდ, დეას საპრიზოზე გასვლა ნამდვილად ხელეწიფება და იმედია, შეძლებს კიდეც წარმატების მიღწევას.

წააგო **დავით ბენიძემაც** და მეცამეტე ადგილამდე ჩამოქვეითდა. რომ მოეგო, ჩემპიონობის შანსიც კი ჰქონდა. **ლევან ბრეგაძემ** კი გაიმარჯვა გუშინ, მაგრამ იქამდე ჰქონდა იმდენი დაკარგული, რომ ჩემპიონობაზე აღარც კი ფიქრობს, - მისი მიზანიც რომელიმე საპრიზო ადგილის მოპოვებაა.

ზვიად შათირიშვილი

## ჩოგბურთი

# საქართველოს ლიტვა ერგო




„დევისის თასის" მატჩი ბელარუსსა და საქართველოს შორის ახალი დასრულებულია, საქართველოს ნაკრები დაემშვიდობა ევროპა-აფრიკის პირველ ზონას და გაისად მეორე ზონაში ითამაშებს. გუშინ, „დევისის თასის" საგაისო კენჭისყრა გაიმართა ყველა ზონაში მეორე ევროაფრიკულ ზონაში 16 ნაკრები ითამაშებს, მათში ყველაზე კარგი რეიტინგი ჩვენს გუნდს აქვს, ასე რომ, საქართველო პირველ ნომრად განთესეს. რვა განთესილი და რვა გაუთესავი ნაკრები სხვადასხვა კალათში მოხვდნენ. საქართველოს მეტოქედ პირველ ეტაპზე ლიტვის გუნდი ერგო. პირველი წრე 6-8 მარტს გაიმართება თბილისში, კორტის საფარის არჩევის უფლება სტუმრებს ექნებათ. თუკი მოვიგებთ, მეორე წრეში ჩვენი მეტოქე სლოვენიისა და ეგვიპტის ნაკრებთა მატჩის გამარჯვებული იქნება.

წარმოგიდგენთ მეტოქეს: ლიტველებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში სულ სამი ჩოგბურთელი ჰყავთ, მათი პირველი ჩოგანი **რიკარდას ბერანკისია** (433), 18 წლის მზარდი ჩოგბურთელი. ბერანკისი მსოფლიოს პირველი ჩოგანია ახალგაზრდებში. 24 წლის **გვიდას საბეცკისი** მსოფლიოს 603-ე ჩოგანია, ხოლო **ლაურინას გრიგელისი** – 1542-ე. „დევისის თასის" განახლებული რეიტინგის მიხედვით საქართველო 615 ქულით მე-40 ადგილზეა, ჩვენები ბელარუსთან მარცხმა ხუთი საფეხურით დახია უკან. ლიტველები რეიტინგში 76-ე ადგილზე არიან.

ამასობაში მსოფლიოს კორტებზე გრძელდება საერთაშორისო ტურნირები, სადაც ქართველებიც თამაშობენ. ამერიკული ემლენდის ტურნირის (50 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ვერ ითამაშებს **სოფიო მელიქიშვილი**, რომელმაც მეორე საკვალიფიკაციო წრეში დათმო ამერიკელ **ლენა ლიტვაკთან** – 4:6, 2:6. ამასობაში გაირკვა ჩვენი პირველი ჩოგნის, **ანა ტატიშვილის** მეტოქე ძირითადი ბადის პირველ წრეში - ამერიკელი **კარლი გალიქსონი** (218). ანა გალიქსონს პირველად ორი წლის წინათ შეხვდა კვებეკში და სამ სეტში მოუგო. იწყება იტალიური ლეჩეს ტურნირიც (25 ათასი დოლარი), სადაც **მაკა ჩახნაშვილი** მე-4 ნომრად განთესეს. მისი პირველი მეტოქე ფრანგი **კენი ლაისნე** (331) იქნება. გრანადას (ესპანეთი) ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ბრძოლით ორიდან ერთმა ქართველმა გააღწია. მე-7 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში იოლად მოუგო მე-12 ნომრად განთესილ პორტუგალიელ **დემი-მანუელა ბარაუს** – 6:0, 6:4. მე-6 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** კი მე-10 ნომრად განთესილ ესპანელ **ანა სალასარ-ლოზანოსთან** დამარცხდა – 2:6, 3:6. საბედნიეროდ, სოფიოს „იღბლიანი წაგებულის" სტატუსი ერგო და ის ძირითად ბადეში დაუშვეს. მისი მეტოქე კიდევ ერთი „იღბლიანი წაგებული" იქნება - გორგოძის მიერ დამარცხებული ბარაუ. თავად გორგოძე პირველ წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ ესპანელ **კარმენ ლოპესს** შეხვდება. ბულგარეთში, სოფიას ტურნირის (10 ათასი დოლარი) ბოლო საკვალიფიკაციო წრეც მოიგო ურეიტინგო **ანა ჯიქიამ**, რომელმაც მე-3 ნომრად განთესილი მასპინძელი **ჟაკლინ ალავი** გამოთიშა ასპარეზობას – 6:3, 7:6. ძირითად ბადეში ანა უნგრელ **ალექსანდრა ფილიპოვსკის** ეთამაშება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



დავით გურგენიძე

# ბრინჯაოც გაიორა

ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორს **დავით გურგენიძეს** ჭადრაკის გულშემატკივარი კარგად იცნობს. იგი ეტიუდების შედგენაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და ერთხელაც ბრინჯაო ერგო. ჩემპიონატები რეგულარულად ტარდება და რახან თავისებური სპეციფიკა გააჩნია, გამარჯვებულთა და პრიზიორთა გამოვლენა გარკვეულ ვადებს მოითხოვს. ძირითადად, ორწლიანი ციკლია და ამ ვადაში გამოქვეყნებული ნაშრომების მიხედვით დგება ჟიურის განაჩენი. პირველად ჩემპიონობა ბატონმა დავითმა 1997 წელს მოიპოვა, მეორედ - 1998-2000 წლებში, ხოლო 2001-2003 წლებში ბრინჯაოს მფლობელი გახდა.

ამ დღეებში ლატვიის ქალაქ იურმალაში გაიმართა საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიოს კონგრესი. ფიდესთან არსებულმა საჭადრაკო კომპოზიციის მუდმივმა კომისიამ დაამტკიცა საჭადრაკო კომპოზიციაში 2004-2006 წლების მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონატის შედეგები.

სპეციალურმა ჟიურიმ განიხილა და ოთხბალიანი სისტემით შეაფასა ექვსექვსი ნაწარმოები. გამარჯვებული გამოვლინდა ექვსიდან ოთხი საუკეთესო ნაწარმოების ქულათა ჯამის მიხედვით.

ჩემპიონატი საჭადრაკო კომპოზიციის რვა განყოფილებაში იმართება (ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანები, თვითშამათი, ნადიშამათი, რეტრო და ეტიუდები). ყველაზე პრესტიჟული ეტიუდების ჟანრია, რადგანაც იგი ძალზე ახლოსაა პრაქტიკულ ჭადრაკთან.

წლევანდელი ფინალი ძალზე საინტერესო და დრამატული აღმოჩნდა. სამმა ეტიუდისტმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა: მოსკოველი **ოლეგ პერვაკოვის**, სანკტ-პეტერბურგელი **ალექსეი სოჩნევის** და დავით გურგენიძის აქტივში 39,5-39,5 ქულა აღმოჩნდა. მედლები დამატებითი მაჩვენებლის მიხედვით განაწილდა: პერვაკოვის ოთხეული ასე შეფასდა: 11; 9,5; 9,5; 9,5. სოჩნევის - 10,5; 10,5; 10; 8,5. გურგენიძის - 10,5; 10; 10; 9.გადამწყვეტი აღმოჩნდა ჟიურის რუსი წევრის შეფასება - მისგან პერვაკოვმა მაქსიმალური, ოთხივე ეტიუდში 4 ქულა მიიღო; სოჩნევმა კი ოთხიდან სამ ეტიუდში დაიმსახურა უმაღლესი შეფასება.

იურმალაში გამართულ კონგრესზე ამ ფაქტზე ყურადღება გამახვილდა, რადგანაც აშკარა იყო თანამემამულისადმი მისი სიმპათია. შესაბამისად, შესაძლოა მომდევნო ჩემპიონატის დებულებაში სააპელაციო ჟიურის შექმნის აუცილებლობის საკითხი დასვან.

ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა კიდევ ერთმა ქართველმა საჭადრაკო კომპოზიტორმა, თბილისელმა **იური აკობიამ** - 37,5 ქულით მან საკმაოდ მაღალი - მეხუთე ადგილი დაიკავა. წინა ჩემპიონატში იგი მეექვსე იყო. აკობიას სტაბილური შედეგები მის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

საერთოდ კი, ეტიუდების განყოფილებაში 47 საჭადრაკო კომპოზიტორის ნაწარმოებები იყო წარმოდგენილი.

ორსვლიანი ამოცანების განყოფილებაში 62 ავტორთან კონკურენციაში რუსთაველი პედაგოგი **გივი მოსიაშვილი** მეათე ადგილზე გავიდა, რაც ასევე დიდი წარმატებაა.

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ზოგი ფავორიტი კვარცხლბეკზე, ზოგიც მის მიღმა

## სპეციალისტებს თავი დებიუტანტებმაც დაამახსოვრეს

თბილისის არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა 23 წლის ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის ყველა რეგიონის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საერთო გუნდური პირველობა კახელებმა მოიპოვეს, უფრო საპრიზო ადგილების ხარჯზე, რადგან მათ მსგავსად ორ-ორი ოქროს მედალი ქვემოქართლელებმა და მცხეთა-მთიანეთის წარმომადგენლებმაც დაიმსახურეს.

ასპარეზობის პირველ დღეს გამართულ ორთაბრძოლებზე გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით. გუშინ ჩემპიონები და პრიზიორები ოთხ წონაში გამოვლინდნენ. 81 კილოში **გია ნიკლაურმა** პირველსავე წუთზე იპონით მოუგო **ნოდარ მებალიშვილს**. მართალია, ამ წონაში საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა, მაგრამ ლამაზი ჭიდაობით სპეციალისტებს თავი დაამახსოვრა **არჩილ შინჯიკაშვილმა**, რომელსაც კვარცხლბეკზე ასასვლელად გამოცდილება არ ეყო. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ჯემალ ნათელაშვილმა** მითხრა, რომ 81 კილოში ერთი კარგი ბიჭიც გვეზრდება - **გიორგი მერმანიშვილი**, რომელმაც წლეულს ჭაბუკთა ევროპის პირველობა მოიგო. ფინალში გადაზრდილ მახაჩყალელ ძიუდოისტს რომ სძლია სუფთად, გამწარებულმა რუსეთის გუნდის ნევრმა, თურმე, სულ კედელს ურტყა თავი. ამ წონაზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ (მაშინ **სოსო ლიპარტელიანი** მესამე ადგილზე გავიდა) 81 კილოში მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებზე ხელშესახებ წარმატებას ვერ მივაღწიეთ.

90 კილოში **გიორგი ეპიტაშვილმა** ჯერ ვაზარი აართვა **თამაზ მუთოშვილს**, შემდეგ კი იპონით გაიმარჯვა. საგულისხმო ის არის, რომ ორივე მოჭიდავე ისე მივიდა ფინალამდე, რომ მეტოქეებთან ქულაც არ დაუკარგავს.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში **დავით ლორიაშვილმა** გაიბრწყინა, რომელიც უფროსთა ნაკრების წევრია და სპეციალისტები მასზე გარკვეულ იმედებსაც ამყარებენ. ფაქტობრივად, იგი უფრო დაბალ წონაში უნდა გამოსულიყო, მაგრამ რეგიონის ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, მაღლა აინაცვლა. არც იქ დაალალატა მწვრთნელები - უპრობლემოდ სძლია ფინალში **მალხაზ ნიჟარაძეს** და პირველი ადგილი დაიკავა.

მძიმე წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებულმა **ადამ ოქრუაშვილმა** მიაღწია წარმატებას, თუმცა გადამწყვეტი პაექრობა **ვახტანგ ზოიძესთან** არც ისე იოლი გამოდგა. გამოცდილებით აჯობა მეტოქეს და ბოლო წუთზე შებოჭა იგი.

- ოცდასამწლამდელთა საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიც იყო, - მითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბორის ფირცხელიანმა**. - ამ ასპარეზობის შედეგებით შევარჩევთ ბიჭებს ნოემბრის დასაწყისში ორკვირიანი შეკრების გასავლელად. შემდეგ კი დავასახელებთ ნაკრების წევრებს, რომლებიც 20 ნოემბერს ზაგრებში (ხორვატია) ოცდასამწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. რუსეთთან გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო აქედანვე უნდა ვიზრუნოთ, ვიზების პრობლემა თურქეთის, უკრაინის ან სხვა ქვეყნის დახმარებით მოვხსნათ. ამ ასაკში კონტინენტის ზედიზედ ორ პირველობაზე არ გვიასპარეზია, ამდენად, წლევანდელი შეჯიბრების ჩაგდება არაფრით შეიძლება.

**- ტურნირის მონაწილეებზე რას იტყვით?**

- ბევრ წონაში, მართალია, ფავორიტებმა იმარჯვეს, მაგრამ იმის თქმაც შეიძლება, რომ პროცენტულად 18-19 წლის მოჭიდავეებმა უფროსები დაჩაგრეს. შედეგად - ბევრი უწინდელი ჩემპიონი და პრიზიორი კვარცხლბეკს მიღმაც აღმოჩნდა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო გია ნიკლაური, რომელსაც ორი წელიწადია, წონის პრობლემა აწუხებს. როგორც იქნა, 73-დან 81-ში აინაცვლა. თავდაუზოგავად ვარჯიშობს და გარჯაც დაუფასდა. იგივე ითქმის გიორგი ეპიტაშვილზეც. სამი თვის წინ 20-წლამდელებში მან მესამე ადგილი დაიკავა. ერთხელ გვყავდა შეკრებაზე და აი შედეგიც - სამი წლით უფროსებში ჩემპიონი გახდა. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 90 კილოში არ მონაწილეობდა ამ წონის ფავორიტი ვალერი ლიპარტელიანი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ამჟამად იგი ბორჯომშია საწვრთნელ შეკრებაზე და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადება მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის, რომელსაც ოქტომბრის პირველ დეკადაში იაპონია უმასპინძლებს. ოქტომბრის მიწურულს კი ვალერი თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობაზეც გამოვა.

ყველა ნიჭიერ ძიუდოისტს ვერ ჩამოვთვლი, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. ტალანტები გვყავს. მთავარია, მუყაითად ივარჯიშონ და კონკურენციას გაუძლონ...

სკა-ს დარბაზში გამართულ შეჯიბრებას ესწრებოდა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ყოფილი ფალავანი **დავით ბერძენიშვილი**, რომელიც ახალგაზრდების მომზადებით კმაყოფილი დარჩა.

- ამ მოჭიდავეებში ბევრი მომავალი ოლიმპიელია, ამიტომ უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ მათზე, - გვითხრა მან. - ძიუდო საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება და საერთაშორისო სარბიელზე მიღწეული წარმატებებიც ამის შედეგია. ეს ტენდენცია არ უნდა შენელდეს. საამისოდ ჩვენი ფედერაცია მზად არის. თუმცა, ერთიც უნდა ვთქვა - საქართველოს პირველობები და ჩემპიონატები უფრო მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ. მით უმეტეს, რომ სათანადო გამოცდილება არ გვაკლია.

ვაჟა დანელია

**81 კგ**

1. გია ნიკლაური - სამცხე-ჯავახეთი
2. ნოდარ მებალიშვილი - კახეთი
3. გოჩა ლომთაძე - იმერეთი
3. ვახტანგ სარაჯიშვილი - კახეთი

**90 კგ**

1. გიორგი ეპიტაშვილი - ქვემო ქართლი
2. თამაზ მუთოშვილი - კახეთი
3. ზვიად გოგოჭური - კახეთი
3. ლაშა გურული - იმერეთი

**100 კგ**

1. დავით ლორიაშვილი - ქვემო ქართლი
2. მალხაზ ნიჟარაძე - იმერეთი
3. რევაზ მიქაბერიძე - იმერეთი
3. სანდრო თევდორაშვილი - თბილისი

**+100კგ**

1. ადამ ოქრუაშვილი - მცხეთა-მთიანეთი
2. ვახტანგ ზოიძე - აჭარა
3. მირიან გონჯილაშვილი - კახეთი
3. ვანო გოგოლაშვილი - თბილისი

სუმო. სექტემბრის ბაშო



ტოჩინოშინი

# პირველად ტოკიოში: ქართველი ქართველის წინააღმდეგ

## ვისი იორიკირი აჯობებს

დღეს ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში", რომელიც 13 ათას მაყურებელს იტევს და ბაშოს დროს პირთამდე ავსებული სავსეა, პირველად, კარიერაში კი მეორედ, ერთმანეთის პირისპირ ორი ქართველი სუმოისტი – მე-16 მაეგაშირა **კოკაი** მე-10 მაეგაშირა **ტოჩინოშინის** წინააღმდეგ წარდგება. ორი ლევანი პირველად ელიტაში დაუპირისპირდა ერთმანეთს, ეს ივლისის ბაშოზე მოხდა, მანამდე კი მათ ვარჯიშზეც არ უჭიდავიათ ერთად. ივლისში კოკაიმ იმარჯვა. მათ შორის, ასაკში სხვაობა 7 წელი კოკაის მიღწევებთან ტოჩინოშინი ჯერ ვერ მოვა, თუმცა ამჟამად ის გამოცდილ თანამემამულეზე წინაა რეიტინგში.

აკი ბაშოს დაწყებიდან ორი მესამედი გაილია და ჩვენები კვლავ დიდებულად ასპარეზობენ. გუშინ ორივემ იმარჯვა – ჯერ კოკაიმ დაამარცხა მონღოლი დებიუტანტი **ტამავაში**, კოკაიმ დაჯახების მერე უკან დაიხია, მაგრამ კიდესთან მისულმა ქართველმა შეძლო მეტოქის დაგდება. კოკაის ბალანსი 7-3-ია, რაც ერთ-ერთი საუკეთესოა ბაშოზე, თუმცა მისთვის უმთავრესი ამოცანა ჯერ მე-8, გადამწყვეტი მოგების მოპოვებაა, საკმარისია მხოლოდ თანამემამულეს მოუგოს..

კოკაი თუ მოუგებს ტოჩინოშინს, მაშინ მას ხუთმატჩიან მოგებათა სერიას შეუწყვეტს – 20 წლის ქართველმა 1-4 სტარტის შემდეგ, შეუძლებელი შეძლო და ახლა 6-4 ბალანსით ლიდერებს კვალში უდგას. გუშინ ტოჩინოშინმა მე-8 მაეგაშირა **მასაცუკასა** დაამარცხა. სხვათა შორის, ქართველმა ბაშოზე ყველა ორთაბრძოლა ერთი ილეთით – იორიკირით მოიგო. მეტოქის მავაშის ხელთ გდებას და შემდეგ მიწოლას (იორიკირი) ამ ბაშოზე კოკაიც ხშირად იყენებს წარმატებით. ვნახოთ, დღეს ვისი იორიკირი აჯობებს.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** მეორე მარცხი განიცადა ბაშოზე, მისი ბალანსი 3-2-ია. გაგამარუს ორი ორთაბრძოლა დარჩა გასამართავი.

აკი ბაშო დიდი ჩემპიონის, **ასაშორიუს** გარეშე დარჩა, იმპერატორის თასის 20-გზის მფლობელი ბაშოს მეათე დღეს დოჰიოზე აღარ გამოჩნდა, მის მოწინააღმდეგე **გოეიდოს** კი მოგება უბრძოლველად ჩაეთვალა. თუმცა მითქმა-მოთქმა არ გამართლდა – ასაშორიუ ჯერ ახალგაზრდაა იმისთვის, რომ სუმოდან წავიდეს, მან ტურნირი მარცხენა იდაყვის ტრავმის გამო დატოვა. სექტემბრის ბაშოს 9-9 მოგებით დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და გოეიდო ლიდერობს. 8-8 მოგება აქვთ **კოტომიცუკის** და **ამას**. 7 გამარჯვება ბაშოზე კოკაის გარდა კიდევ 4 რიკიშის აქვს მოპოვებული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**აკი ბაშო**
**(სექტემბრის სუპერტურნირი)**
**14-28 სექტემბერი. ტოკიო (იაპონია)**

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 16)-ტამავაში (მ 15) 1:0 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 10)-მასაცუკასა (მ 8) 1:0 (იორიკირი); გოეიდო (მ 5)-ასაშორიუ (ი) 1:0 (უბრძოლველად); ჰაკუჰო (ი)-ამა (ს) 1:0; კაიო (ო)-კოტოოშუ (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 1)-ტოიონოშიმა (ს) 1:0; ასასეკირიუ (კ)-მიაბიამა (მ 1) 1:0; ბარუტო (კ)-კისენოსატო (მ 2) 1:0; კაკურიუ (მ 5)-კიოკუტენჰო (მ 3) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 9-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა); გოეიდო (მაეგაშირა 5). 8-2: კოტომიცუკი (ოძეკი); ამა (სეკივაკე). 7-3: კაიო (ოძეკი); ტოიოჰიბიკი (მ 6); ჰოკუტორიკი (მ 9); ფუტენო (მ 10); კოკაი (მ 16)... 6-4: ტოჩინოშინი (მ 10).

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 16)-ტოჩინოშინი (მ 10); ჰაკუჰო (ი)-გოეიდო (მ 5); ჩიოტაიკაი (ო)-კაიო (ო); კოტომიცუკი (ო)-ტოჩინონადა (მ 4); კოტოოშუ (ო)-ტოიოჰიბიკი (მ 6); ამა (ს)-ტოიონოშიმა (ს); ბარუტო (კ)-მიაბიამა (მ 1); ასასეკირიუ (კ)-კისენოსატო (მ 2); კოტოშოგიკუ (მ 1)-ამინიშიკი (მ 4).

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. U 19

# საქართველო-რუსეთი

პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტში, დღეს თბილისის დროით 18 საათზე საქართველოს ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრები რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ჩვენი მორაგბეების თამაშს ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი წმინდა სპორტული - ტურნირის გამარჯვებული მომავალ წელს კენიაში „ჩელენჯ ტროფიზე" გაემგზავრება. მეორე კი, მეტოქე უბრალოდ რუსეთია. ამით ყველაფერი ნათქვამია.

ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი ბიჭები გამარჯვებისთვის ემზადებიან. შემადგენლობაში პირველი, ჰოლანდიელების წინააღმდეგ გამართული მატჩისგან განსხვავებით ორი ცვლილებაა. მესამე ხაზში რვა ნომრის პოზიციაზე **გიგი გაბუნიას** (არმაზი) ნაცვლად **ბექა ნიკოლაიშვილი** (ყოჩები) ითამაშებს. ხოლო შუამარბ **დავით გრძელიშვილს** (ყოჩები) ლელოელი **გიორგი ლომინაძე** შეცვლის.

მეორე ნახევარფინალში რუმინეთის ნაკრები პორტუგალიელ თანატოლთა გუნდს დაუპირისპირდება.

**საქართველოს ნაკრები**

15. გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), 14. ვახტანგ კავთიძე (უნივერსიტეტი), 13. ზურაბ გოგლიჩაძე (აია), 12. გიორგი ლომინაძე (ლელო), 11. სანდრო ინაშვილი (ყოჩები), 10. ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), 9. ლევან გოგია (ლელო).

1. გიორგი ცირეკიძე (არმაზი), 2. გიორგი გაბელია (ლელო), 3. ვასილ კაკოვინი (უნივერსიტეტი), 4. მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია), 5. ერეკლე მეტრეველი (ყოჩები), 6. ირაკლი რევიშვილი (აია), 7. ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), 8. ბექა ნიკოლაიშვილი (ყოჩები).

16. მიხეილ ნარიაშვილი (აია), 17. თორნიკე ლომიძე (აია), 18. დავით ბარბაქაძე (ყოჩები), 19. ვასილ კვერნაძე (ლელო), 20. შალვა მახარაშვილი (ყოჩები), 21. გიგი გაბუნია (არმაზი), 22. დავით გრძელიშვილი (არმაზი), 23. გიგა კორკელია (ლელო), 24. გიორგი ნოზაძე (ლოკომოტივი); 25. რატი ხუციშვილი (უნივერსიტეტი).

ბესიკ ჯანგავაძე

პლაჟბურთი. მსოფლიო რეიტინგი

# ქართული წყვილები წინსვლას განაგრძობენ

ბრაზილიაში გამართული მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის შემდეგ FIVB-მ მსოფლიოს ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. პლაჟბურთის ქართული წყვილები წინსვლას განაგრძობენ.

ვაჟთა შორის ქართული დუეტი **გეორ-გია** ერთი საფეხურით დაწინაურდა. ჩვენი ფრენბურთელები მეთორმეტე საფეხურიდან მეთერთმეტეზე გადაბარგდნენ. გეორ-გიას ახლა 3360 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს, გერმანულ დუეტს **კლემპერერსა** და **კორენგს** მხოლოდ 20 ქულით სჯობნის. მეათე ადგილზე მყოფი ესპანელები **ჰერერა** და **მესა** ჩვენ ფრენბურთელებს 500 ქულით უსწრებენ.

გეორ-გიას მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვედრის თეორიული შანსი აქვს. წლის ბოლომდე კიდევ სამი ეტაპია დარჩენილი: დუბაი (5-10 ოქტომბერი), მანამა, ბაჰრეინი (27 ოქტომბერი-1-ელი ნოემბერი) და სანია, ჩინეთი (11-15 ნოემბერი). ჩვენი დუეტი სამივე ეტაპზე იასპარეზებს და წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში გამორიცხული არაა ათეულში შეაღწიოს.

ორი საფეხურით დაწინაურდა რეიტინგში, ქალთა შორის ქართული დუეტი **საქა-რთველო**. ჩვენს ფრენბურთელებს ამჟამად 2630 ქულა აქვთ და მე-16 ადგილზე იმყოფებიან. ავსტრიელი დები **შვაიგერები** საქა-რთველოს 50 ქულით უსწრებენ. ბრაზილიური ეტაპის შემდეგ ჩვენმა ქალებმა უკან ორი გერმანული წყვილი მოიტოვეს. **ბრინკსა** და **ჯურიჩს** საქა-რთველომ მხოლოდ 10 ქულით გაუსწრო. **კლაასენთან** და **როდერთან** სხვაობა კი 40 ქულას შეადგენს.

საქა-რთველო წლის ბოლომდე კიდევ სამ ეტაპზე იასპარეზებს: დუბაი (5-10 ნოემბერი), ფუკეტი, ტაილანდი (4-9 ნოემბერი) და სანია, ჩინეთი (11-16 ნოემბერი).

ბესიკ ჯანგავაძე

**მსოფლიო რეიტინგი.**

**ქალები.**

1.შელდა-ანა პაულა (ბრ)-6 980 ქულა, 2.ტალიტა-რენატა (ბრ)-5 100, 3.მარია კლარა-კაროლინა (ბრ)-4 250, 4.ტიანი-ჭანკი (ჩინ)-4 160, 5.ხუე-ხი (ჩინ)-4 100, 6.ბრენაგი-იუნგზი (აშშ)-4 060, 7.ანტონელი-ლეაო (ბრ)-3960 8.ჯულიანა-ლარისა (ბრ)-3 840, 9.ბოსი-რუსი (აშშ)-3 560, 10.ბარნეტი-კუკი (ავს)-3 160, 16.საქა-რთველო (საქ)-2 630.

**ვაჟები.**

1.ჰარლი-პედრო (ბრ)-7 260 ქულა, 2.ბრინკი-დიკერმანი (გერ)-5 440, 3.ვუ-ხუ (ჩინ)-5 340, 4.რიკარდო-ემანუელი (ბრ)-4 820, 5.რეკერმანი-ურბაცკა (გერ)-4 540, 6.ბარსუკი-კოლოდინსკი (რუს)-4 300, 7.როჯერსი-დალჰაუზერი (აშშ)-4 080, 8.არაუჟო-მაგალიაეში (ბრ)-4 040, 9.ნიმერდორი-შული (ჰოლ)-3 980, 10.ჰერერა-მესა (ესპ)-3 860, 11.გეორ-გია (საქ)-3 360.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# ფედერაციამ მაკლარენის სარჩელი არ განიხილა



პარიზში, საერთაშორისო სააპელაციო სასამართლო ორი დღის განმავლობაში იხილავდა "მაკლარენის" სარჩელს. ბრიტანული გუნდი ბელგიის გრანპრიზე **ლუის ჰემილტონისთვის** გამარჯვების ჩამორთმევას აპროტესტებდა. როგორც იცით, "სპას" ავტოდრომზე ჰემილტონი პირველი მივიდა ფინიშთან, მაგრამ რბოლის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ სტიუარდებმა ის 25 წამით დააჯარიმეს და ლუისი მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ ჰემილტონმა რბოლის დროს მოსახვევი მოჭრა და ამის წყალობით გაასწრო **კიმი რაიკონენს**.

განხილვის პირველ დღეს სასამართლომ მხარეების არგუმენტები მოისმინა. დაიკითხა მთავარი მოწმე - ლუის ჰემილტონი, რომელმაც განაცხადა, რომ იმ ინციდენტის დროს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, წინაალმდეგ შემთხვევაში რაიკონენთან შეჯახებას თავიდან ვერ აიცილებდა.

გუშინ საქმის განხილვა გაგრძელდა და სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოიტანა: ფორმულა 1-ის სპორტული რეგლამენტის 16.3 მუხლის თანახმად, მსგავსი ინციდენტების დროს პილოტისთვის დაწესებული სასჯელის გაპროტესტება არ შეიძლება. ამიტომაც ისე გამოვიდა, რომ "მაკლარენის" პროტესტი საერთოდ არ იქნა განხილული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკვე გამოეხმაურა "მაკლარენის" პილოტი. ჰემილტონის სიტყვებით, "მაკლარენის" აპელაციის უგულებელყოფა საჩემპიონო ბრძოლაში მის განწყობაზე არ იმოქმედებს.

*"შეიძლება ბევრს ჰგონია, რომ ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ეს ასე არ არის. უბრალოდ, მინდა ეს ინციდენტი დავივიწყო და შემდეგ რბოლებზე მოვახდინო კონცენტრაცია.*

*ყველა პილოტი ბრძოლისთვის არის განწყობილი, გვიყვარს გასწრება, სიამოვნებას ვიღებთ წარმატებული მანევრებისგან. რაც მთავარია, ამ ყველაფერს მაყურებლისთვის ვაკეთებთ.*

*სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამანაწყენა, მაგრამ ამას ჩემზე მორალურად არ უმოქმედია"*, - განუცხადა Autosport-ს ჰემილტონმა.

ასე რომ, ჰემილტონსა და "ფერარის" პილოტ **ფელიპე მასას** შორის ერთქულიანი სხვაობა შენარჩუნებულია.

# ტოიოტა ყველაზე მდიდარია



გამოცემა Formula Money-მ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ჰონორარები დაითვალა და გაარკვია, რომ თანამედროვე პელოტონში ყველაზე დიდი ბიუჯეტი იაპონურ საჯინიბო "ტოიოტას" აქვს.

ამ მაჩვენებლით იაპონელები ჩემპიონატის ლიდერებს - "მაკლარენსა" და "ფერარის" ასწრებენ, მაგრამ "ტოიოტამ" ფინანსური უპირატესობა მაღალ შედეგებში ვერ გარდასახა.

თუ გუნდების ბიუჯეტებს შევკრებთ, ჯამში 3 მილიარდ დოლარზე მეტს მივიღებთ. ეს ის თანხაა, რომელსაც გუნდები მთელი სეზონის განმავლობაში ხარჯავენ. ამაში შედის სასპონსორო თანხები, საპრიზოები და რა თქმა უნდა, საჯინიბოების მეპატრონეთა ინვესტიციები. 3 მილიარდი ძალიან დიდი თანხაა და გასაკვირი არ არის, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ფორმულა 1-ში ხარჯების შესამცირებლად ბევრს მუშაობს.

აი, როგორ გამოიყურება 2008 წლის სეზონისთვის გუნდების საბიუჯეტო თანხები:

| | |
|---|---|
| ტოიოტა | 445.6 მლნ |
| მაკლარენი | 433.3 მლნ |
| ფერარი | 414.9 მლნ |
| ჰონდა | 398.1 მლნ |
| რენო | 393.8 მლნ |
| BMW-ზაუბერი | 366.8 მლნ |
| რედ ბული | 164.7 მლნ |
| უილიამსი | 160.6 მლნ |
| ტორო როსო | 128.2 მლნ |
| ფორს ინდია | 121.85 მლნ |
| საერთო თანხა | 3,027.85 მლნ |

თუ შარშანდელ სეზონში გუნდების ბიუჯეტებსა და მათ მიერ მოპოვებული ქულების რაოდენობას შევადარებთ, გამოდის, რომ ყველაზე უნარიანად ფულს "ფერარი" ხარჯავს. ეს კარგად ჩანს მეორე ცხრილში, რომელშიც 2007 წლის სეზონში ერთი ქულის ღირებულებაა მოცემული.

| | |
|---|---|
| ფერარი | 1.9 მლნ |
| BMW-ზაუბერი | 3.3 მლნ |
| უილიამსი | 4 მლნ |
| რედ ბული | 5.9 მლნ |
| რენო | 7.3 მლნ |
| ტორო როსო | 10.6 მლნ |
| სუპერ აგური | 19.4 მლნ |
| ტოიოტა | 34.2 მლნ |
| სპაიკერი | 52.95 მლნ |
| ჰონდა | 57.2 მლნ |
| მაკლარენი | უქულოდ |

ჩოგბურთი

# ფინალი კორდობაში?



გასულ უიქენდზე არგენტინის ნაკრები დევისის თასის ფინალში გავიდა. ახლა ამ ქვეყნის ჩოგბურთის ასოციაცია გადამწყვეტი მატჩის ჩასატარებელ ადგილს ეძებს. 21-23 ნოემბერს, ფინალში არგენტინამ ესპანეთის ნაკრებს უნდა უმასპინძლოს.

ასოციაცია ფინალის გამართვას ბუენოს-აირესში, "მარი ტერან დე ვაის პარკზე" აპირებს, სადაც არგენტინამ ნახევარფინალში რუსეთის ნაკრებს უმასპინძლა. მაგრამ ამ ვარიანტის უარყოფითი მხარე ის არის, რომ მოკლე დროში არენაზე სახურავის დამონტაჟება ვერ მოესწრება.

არგენტინის ნაკრების ლიდერმა **დავიდ ნალბანდიანმა** ასოციაციას ფინალის ჩატარების ადგილად თავისი მშობლიური ქალაქი - კორდობა შესთავაზა. იმ შემთხვევაში, თუ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) ამ ვარიანტს დათანხმდება, გადამწყვეტი მატჩი "ორფეოს" სტადიონზე გაიმართება, რომლის ტრიბუნები 9 ათას მაყურებელს იტევს. ITF-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ბარბარა ტრევერსმა** არგენტინულ მხარეს აუწყა, რომ "ორფეო" ფინალის გამართვისთვის სასურველი ვარიანტია და უახლოეს დღეებში მას ფედერაციის საინსპექციო კომისია შეამოწმებს.

არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **ალბერტო მანჩინიმ** თავისი გუნდის ლიდერის მხარე დაიჭირა და განაცხადა, რომ უმჯობესია ფინალი სწრაფსაფარიან კორტზე გაიმართოს. კორდობას ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ამ ქალაქს საერთაშორისო აეროპორტი არ გააჩნია.

# ფეტელი გერმანიის რჩეულია



წლევანდელი სეზონის დასრულებამდე კიდევ ოთხი რბოლაა დარჩენილი, მაგრამ გერმანიის საავტომობილო ასოციაციამ უკვე გამოავლინა ქვეყნის საუკეთესო პილოტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საპატიო პრიზი "ტორო როსოს" ნევრმა **სებასტიან ფეტელმა** მიიღო, რომელმაც ცოტა ხნის წინ იტალიის გრანპრი მოიგო. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია 6 დეკემბერს, ქალაქ ფრანკფურტში გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ ასოციაცია მეორედ აჯილდოებს ფეტელს. 2001 წელს, 14 წლის სებასტიანმა ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა პილოტის პრიზი მიიღო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბეისბოლი

# ლეგენდა დასრულდა



ორშაბათს, სამუდამოდ დაიკეტა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული არენის "იანკიზ სტედიუმის" კარი. ეს არენა 1923 წელს აშენდა და ამერიკის ტერიტორიაზე პირველ ნაგებობად ითვლებოდა, რომელსაც "სტადიონი" უწოდეს.

თითქმის 100-წლიანი ისტორიის განმავლობაში, 58-ათასიანი არენა ორჯერ მასპინძლობდა რომის პაპის ვიზიტს, იქ იმართებოდა პრესტიჟული საკრივო ორთაბრძოლები, აგრეთვე მატჩები ამერიკულ ფეხბურთსა და რა თქმა უნდა, ბეისბოლში.

უკანასკნელად ამ სტადიონის მინდორზე ბეისბოლის გუნდები - "ნიუ იორკ იანკიზი" და "ბალტიმორ ორიოლსი" გავიდნენ, რომელთა შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულდა (7:3). ამ შეხვედრის შემდეგ დაიწყო ბრონქსის ერთ-ერთი სიმბოლოს დემონტაჟი, მაგრამ ძალიან მალე, მის გვერდით ახალი, სუპერთანამედროვე სტადიონი აღიმართება. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო. ახალი ობიექტის ღირებულება 1.6 მილიარდი დოლარია, იმ დროს, როცა "იანკიზ სტედიუმის" მშენებლობა ინვესტორებს სულ რაღაც 2.5 მილიონი დაუჯდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# მოტოლამ კარიერა დაასრულა



2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დამთავრების შემდეგ, აქტიური კარიერის დასრულება გადაწყვიტა ფინეთის ნაკრების ლიდერმა **ჰანო მოტოლამ** (32 წლის, 209 სმ).

*"12 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ვთამაშობდი. ბოლო დროს გავაცნობიერე, რომ სამშობლოდან შორს ყოფნა სულ უფრო მიჭირდა. რამდენიმე წლის წინ ვაპირებდი კალათბურთისთვის თავის დანებებას, მაგრამ ვერ შევძელი. ახლა თავისუფალი ვარ და მთელ ჩემს დროს ოჯახსა და მეგობრებს დავუთმობ"*, - განუცხადა ფინურ გაზეთ Vartti-ს მოტოლამ.

ფინელი კალათბურთელი სამშობლოდან ამერიკაში 1996 წელს გადაბარგდა. დაამთავრა იუტას უნივერსიტეტი და 2000 წელს, დრაფტში მე-40 ნომრად "ატლანტამ" აირჩია. მოტოლა გახდა პირველი ფინელი, ვინც NBA-ში მოსინჯა ძალები. ოკეანის გაღმა გატარებული ორი სეზონის შემდეგ, ჰანო ევროპაში გადაბარგდა და იქ სხვადასხვა წლებში ექვსი გუნდის ღირსებას იცავდა: "ტაუგრესი" (2002-03), "სკიპერი" (2003-04), "სკავოლინი" (2004-05), "დინამო" (2005-06), "ქალგირისი" (2006-07) და "არისი" (2007-08).

## კრივი



# ლეილა ალი ბრუნდება

მეორე საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი **ლეილა ალი** რინგზე დაბრუნებას აპირებს.

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის **მუჰამედ ალის** ქალიშვილი აგვისტოში პირველი შვილის დედა გახდა. ლეილას თქმით, ის მომავალი წლის დასაწყისში განაახლებს ვარჯიშებს და ბრძოლებს მხოლოდ ცნობილ მოკრივეებთან ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ იმ წონით კატეგორიაში, რომელშიც ალი გამოდიოდა, დღეს რუსი **ნატალია როგოზინაა** ჩემპიონი, რომელსაც პროფესიულ კრივში დამარცხება არ აქვს.

## TV სპორტი

### 24 სექტემბერი. ოთხშაბათი

**იმედი**

00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სპორტინგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სტოკი.
14:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:40 საფეხბურთო პროგრამა.
18:45 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. რუბინი-ამკარი (LIVE).
21:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
07:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
09:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-პორტსმუტი.
12:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:15 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. დეტროიტი-პიტსბურგი.
16:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
16:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
17:55 პეკინი 2008. ტყვიის სროლა.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ჰამბურგი.
20:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
22:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ფიორენტინა (LIVE).
00:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-პალერმო.
02:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სტოკი.
03:05 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. დეტროიტი-პიტსბურგი.
05:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

10:30 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (23-წლამდელები). დროზე რბოლა. იტალია.
11:30 ფეხბურთი. ეროვნული თასი. დანონის თასი. ლიონი. საფრანგეთი.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. აზერბაიჯანი.
12:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 სნუკერი.
14:30 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (23-წლამდელები). დროზე რბოლა. იტალია.
16:00 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. დროზე რბოლა. იტალია (LIVE).
18:30 სნუკერი.
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. დროზე რბოლა. იტალია.
21:00 სპორტული მეგზური.
21:15 მულტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. სუპერლიგა. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
22:20 ცხენოსნობა. დევილი. საფრანგეთი.
23:20 პოლო. ოქროს თასი. ესპანეთი.
23:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:55 მულტისპორტი.
00:05 გოლფი. PGA-ის ტური.
01:05 გოლფ-კლუბი.
01:10 აფროსნობა. საფრანგეთი.
01:40 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
02:15 ახალი ამბები.
02:30 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. დროზე რბოლა. იტალია.
03:00 სპორტული მეგზური.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ხელბურთი. ჩემპიონთა პრიზი. ფინალი. უნგრეთი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
17:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჯეფ იუნაიტედი-ნაგოია.
18:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
22:15 პროფესიული კრივი. ნახევრადმძიმე წონა. მ. ბილაკი (ჩეხეთი)-ი. ველესკი (ჩეხეთი). ბრნო. ჩეხეთი.
00:00 მულტისპორტი.
01:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
05:00 ახალი ამბები.

## მხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი — კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-მენსფილდი | 1:0 |
| ებსფლიტი-ისტბურნი | 1:1 |
| ფორესტ გრინი-ტორკი | 1:2 |
| ჰისტონი-ლიუესი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-იორკი | 2:0 |
| ნორთვიჩი-ბაროუ | 2:1 |
| ოქსფორდი-კემბრიჯი | 3:1 |
| უეიმაუთი-ქროული | 2:2 |
| უოკინგი-სალისბერი | 1:0 |
| რექსჰემი-რაშდენი | 0:3 |

**ინგლისის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| არსენალი-შეფილდი | 6:0 |
| ბარნლი-ფულჰემი | 1:0 |
| ლიდსი-ჰარტლპული | 3:2 |
| როტერჰემი-საუთჰემპტონი | 3:1 |
| სტოკი-რედინგი | 2:2, პენ. 4:3 |
| სანდერლენ.-ნორთჰემპტ. | 2:2, პენ. 4:3 |
| სუონსი-კარდიფი | 1:0 |
| უოტფორდი-ვესტ ჰემი | 1:0 |
| ლივერპული-ქრიუ | 2:1 |
| მანჩესტერ იუნ.-მიდლსბრო | 3:1 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ანკონა-ბრეშია | 2:0 |
| აველინო-გროსეტო | 2:2 |
| ბარი-ლივორნო | 0:0 |
| ემპოლი-მოდენა | 3:1 |
| მანტოვა-ასკოლი | 0:0 |
| პარმა-ფროსინონე | 2:2 |
| პიაჩენცა-რიმინი | 0:0 |
| პიზა-ვიჩენცა | 0:2 |
| სალერნიტანა-ტრიესტინა | 0:1 |
| სასუოლო-ალბინოლეფე | 1:0 |
| ტრევიზო-ჩიტადელა | 0:1 |

**გერმანიის თასი**

| | |
|---|---|
| აინტრახტი-ჰანზა | 1:1, დ.დ. 1:2 |
| კოტბუსი-ბორუსია (მ) | 3:0 |
| აუე-ვერდერი | 1:2 |
| მაინცი-კიოლნი | 3:1 |
| აუგსბურგი-ლევერკუზენი | 0:2 |
| მიუნხენი-დუისბურგი | 0:0, პენ. 5:4 |
| შალკე-ჰანოვერი | 2:0 |

**საფრანგეთი — ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბასტია-შატორუ | 0:1 |
| ბულონი-ნიცა | 1:3 |
| კრეტეი-ნანტი | 1:0 |
| ვანი-ვალანსი | 2:2, პენ. 6:5 |
| ოსერი-ტულუზა | 1:1, პენ. 6:5 |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| რიინსბურგსი-როსენდალი | 2:1 |
| ეინდჰოვენი II-ეინდჰოვენი | 0:3 |
| ბე კუიკი-ვაალვიკი | 1:2 |
| კამბური-ცვოლე | 3:3, პენ. 3:0 |
| დენ ბოში-ჰაარლემი | 2:1 |
| დორდრეჰტი-ვეენდამი | 3:2 |
| EHC-ფორტუნა | 0:3 |
| HHC-იგლზი | 1:1, პენ. 5:3 |
| ჰელმონდი-ომნივორლდი | 2:2, პენ. 2:4 |
| ისელმეერფოგელსი-აპელდორნი | 1:3 |
| ლისე-ახილესი | 3:4 |
| კუიკ ბოისი-ვილემი | 0:1 |
| ალკმაარი-ჰერაკლესი | 3:0 |

**შოტლანდია — ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| სელტიკი-ლივინგსტონი | 4:0 |
| დანდი იუნ-ეირდრი | 2:0 |
| დანფერმლაინი-სტ. მირენი | 2:0 |
| ფალკირკი-ქუინი | 2:1 |
| მორტონი-ინვერნესი | 1:1, დ.დ. 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ნორჩოპინგი-მალმიო | 1:0 |
| ელფსბორგი-ჰამარბიუ | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ასირისკა | 2:0 |

**ფინეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატლანტისი-კაპა | 2:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რიდი-რაპიდი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია (ლ)-ვინერი | 0:3 |
| ადმირა-ლუშტენაუ | 3:1 |
| ტიროლი-ლეობენი | 4:1 |
| ზალცბურგი A-ფოკლაბრუკი | 2:1 |
| სტ. პოლტენი-გრატკორნი | 1:0 |
| გრიოდიგი-ავსტრია A | 0:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| გროსჰოპერსი-ბელინცონა | 3:1 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| ერმისი-აპეპ | 1:1 |
| ეთნიკოსი (ა)-ასილ | 0:0 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| ფულნეკი-პლზენი | 0:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრნავა-სლოვანი | 1:1 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| სტალი-ბელხატოვი | 1:0 |
| კატოვიცე-გურნიკი | 3:3, დ.დ. 3:4 |
| ლეჩნა-კრაკოვია | 2:2, დ.დ. 2:3 |
| ვაგროვეცი-პოლონია (ვ) | 0:3 |
| ოპოლე-პოლონია (ბ) | 2:0 |
| პლოცკი-ლეგია | 1:1, დ.დ. 1:2 |

**რუსეთის თასი**

| | |
|---|---|
| დინამო-სკა | 2:0 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ოიტა-საპორო | 3:2 |
| ნიიგატა-კობე | 3:2 |
| შიმიცუ-ვერდი | 1:0 |
| იოკოჰამა-კავასაკი | 1:1 |
| ტოკიო-ივატა | 5:1 |
| ჯეფ იუნაიტედი-ნაგოია | 2:1 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 2:3 |
| სიბირი-ბარისი | 0:0 |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 4:2 |
| ტრაქტორი-ლადა | 2:6 |
| ატლანტი-სკა | 4:1 |
| ტორპედო-სევერსტალი | 0:1 |
| მვდ-ლოკომოტივი | 2:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-კოშიცე | 2:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-კერპეტი | 1:3 |
| სეი პა-ილვესი | 5:1 |
| ტაპარა-ჰპკ | 3:3 |
| ტპს-კალპა | 0:1 |
| ესეტი-ჰიფკ | 7:3 |
| იუვიასკიულა-პელიკანსი | 4:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ბოლესლავი | 3:5 |
| ზნოიმო-კარლოვი ვარი | 1:3 |
| კლადნო-სპარტა | 1:4 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 0:4 |
| ლიტვინოვი-პლზენი | 2:4 |
| სლავია-ზლინი | 6:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ბერნი | 2:3 |
| ლანგნაუ-ჟენევა | 5:6 |
| ლუგანო-დავოსი | 3:3 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 2:4 |
| ფრიბურგი-ამბრი | 1:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-იურგორდენი | 1:4 |
| როგლე-მოდო | 1:3 |
| სიოდერტალე-ჰ371 | 3:3 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბანგკოკი**

| | |
|---|---|
| გაბაშვილი-ბერერი | 6:4, 6:3 |
| სიოდერლინგი-კიურეში | 6:2, 6:4 |
| შტადლერი-ბენეტო | 7:5, 6:1 |
| დლოუჰი-ბეკერი | 6:4, 7:6 |
| საფინი-პეტცშნერი | 4:6, 6:7 |
| კენდრიკი-ბასტლი | 6:3, 7:6 |
| მაუ-უდომჩოკე | 6:2, 6:7, 6:2 |

**ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| რობრედო-გარსია ლოპესი | 6:4, 7:5 |
| ფერერო-კუდრიავცევი | 6:4, 6:3 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| სკიავონე-ნა ლი | 6:1, 7:6 |
| ვოზნიაკი-რაზანო | 6:7, 7:5, 6:4 |
| ტანასუგარნი-სრებოტნიკი | 6:4, 7:5 |
| სუგიამა-იან ჟი | 6:3, 6:4 |
| კუდრიავცევა-პენგი | 7:5, 6:4 |
| კორნე-ჟანგი | 6:1, 3:6, 7:6 |
| ჩაკვეტაძე-ბენეშოვა | 6:4, 7:5 |
| შავაი-შვედოვა | 6:4, 6:3 |
| ა. რადვანსკა-ჟენგი | გადაიდო |

**WTA. სეული**

| | |
|---|---|
| მორიტა-რუსი | 6:4, 6:1 |
| საფაროვა-საუთი | 6:1, 6:0 |
| ჩანი-სანტანჯელო | 1:6, 6:3, 6:4 |
| დუბუა-პინი | 6:4, 3:6, 7:5 |
| კირილენკო-ვინეროვა | 6:2, 6:0 |
| მაკაროვა-პაჩეკი | 6:1, 6:2 |
| კრეიბასი-იუანი | 6:0, 6:0 |
| სტოსური-ერაკოვიჩი | 6:2, 6:0 |
| ზაკოპალოვა-სუარესი | 6:1, 6:7, 6:4 |
| კანეპი-ფუჯივარა | 6:2, 6:7, 6:0 |
| პივოვაროვა-ლი | 6:7, 6:3, 5:3 უარი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# მაიკლ ფელპსი ქალების ზღვაში

## პეკინის გმირმა სამი დღე ჯესიკას მკლავებში გაატარა



პეკინის თამაშებზე გმირული გამოსვლის შემდეგ ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** დამსახურებული არდადეგებით ტკბება. 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი არც ერთ ბოჰემურ საღამოს არ აკლდება და ყველგან საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა.

ამჯერად მაიკლი Playboy club-ის საღამოს სტუმარი იყო. იქ მყოფი გოგონები მზად იყვნენ მოცურავის გართობაზე ეზრუნათ, მაგრამ ფელპსი მხოლოდ ერთი ქერათმიანი გოგონათი დაინტერესდა. ის აღმოჩნდა კლუბის მოცეკვავე **ჯესიკა**, რომელმაც ფელპსთან სამი დღე გაატარა.

მაიკლმა მას თავიდანვე მიაქცია ყურადღება. ორი კათხა ლუდის მიღების შემდეგ, მოცურავემ თავისი ბუნებრივი სიმორცხვე გადალახა და გოგონას უკანალზე გამოსახული სვირინგის დათვალიერება სთხოვა. გაცნობა VIP-ზონის დივანზე დაიწყო და მოცურავის ნომერში გაგრძელდა.

როგორც ჩანს, ჯესიკას სვირინგმა ისე მოხიბლა სპორტსმენი, რომ მან კინაღამ თავის მშობლიურ ბალტიმორში ჩასვლა დააგვიანა, სადაც მაიკლს ახალი სახლის გასაღები საზეიმოდ ჩააბარეს. პეკინიდან დაბრუნებულმა მაიკლმა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გადაწყვიტა და 1.69 მილიონ დოლარად ბინა შეიძინა. სახლის არჩევისას, ფელპსის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის იყო, რომ ტერასიდან ხედი ოკეანეზე უნდა გასულიყო.

ფელპსს ჯესიკა ბალტიმორში არ მიუწვევია. ეტყობა, არ მოისურვა თავისი თანაგუნდელის, კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონის **ამანდა ბერდის** განაწყენება. ეს მოცურავე მსოფლიოს 100 ყველაზე სექსუალურ ქალს შორის შედის. მას ფელპსთან ხანმოკლე რომანი ჰქონდა, მაგრამ დაშორების შემდეგაც ისინი კარგი მეგობრებად დარჩნენ და ხშირად ერთად აწყობენ საქველმოქმედო ღონისძიებებს.



მძლეოსნობა

# პამელა, ცოლად გამომყევი!



გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს კენიაში ადგილობრივ მორბენალ **პამელა ჯელიმოს**. ეს მძლეოსანი ამ სეზონის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა - მას წელს 800 მეტრ დისტანციაზე არც ერთი გარბენი არ წაუგია. 18 წლის პამელა პეკინის თამაშების ჩემპიონი გახდა და გარდა ამისა, "ოქროს ლიგის" სერიის ექვსი ტურნირის მოგებით მილიონი დოლარი მიიღო.

კენიის დედაქალაქის აეროპორტიდან ჯელიმო ვერტმფრენით მშობლიურ პროვინცია რიფტ ველიში ჩავიდა, სადაც მას უამრავი ადამიანი დახვდა. განსაკუთრებით აქტიურები ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ, რომლებიც ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებს აფრიალებდნენ: *"პამელა, ცოლად გამომყევი!"*

პროვინციის ცენტრალურ ქალაქ ელდორეტიდან პამელას მშობლიურ სოფელ კაპსაბეტამდე უასფალტო მტვრიანი გზა მძლეოსანმა 200-მანქანიანი ესკორტით დაფარა. სოფელიც კარგად მოემზადა მილიონერის დასახვედრად. კაპსაბეტში ერთ-ერთ ქუჩას ჯელიმოს სახელი მიანიჭეს, არადა, როგორც წესი, კენიაში მსგავსი პატივით მხოლოდ პოლიტიკოსები არიან განებივრებულნი.

საინტერესოა, რომ 18 წლის პამელა მძლეოსნობისგან თავისუფალ დროს, პოლიციელად მუშაობს.

# ელენა და არტიომი

ქორწილ ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ელენა ისინბაევამ** საზოგადოებას თავისი ბოიფრენდი წარუდგინა. ეს გახლავთ დონეცკის ერთ-ერთი რადიოს დიჯეი, რომელსაც **არტიომი** ჰქვია.

წყვილის ურთიერთობა პეკინის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე დაიწყო და სწორედ ამის შემდეგ შეიტყო პრესამ დეტალები სპორტსმენის მეგობრის შესახებ. კერძოდ, არტიომი ელენაზე რამდენიმე წლით უმცროსია და სპორტით არასოდეს ყოფილა დაკავებული.

*"ჩემი ბოიფრენდი უკრაინიდანაა. მას არტიომი ჰქვია. გადავალ თუ არა მასთან საცხოვრებლად? ალბათ, მას ჩემთან, რუსეთში წავიყვან"*, - განაცხადა უკრაინულ პრესასთან საუბარში ელენა ისინბაევამ.



ჩოგბურთი

# ბეკერმა ორიენტაცია შეიცვალა





ცნობილია, რომ გერმანული ჩოგბურთის ლეგენდა **ბორის ბეკერი** უპირატესობას შავკანიან ქალებს ანიჭებდა. საკმარისია გავიხსენოთ მისი ყოფილი მეუღლე **ბარბარა** და ასევე ყოფილი საყვარელი **ანჯელა ერმაკოვა**. მაგრამ მათ ახლა არანაირი კავშირი არ აქვთ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონთან, ბორისმა კი გადაწყვიტა, რომ ფერს მნიშვნელობა არ აქვს და ამჯერად ქერათმიან ქალთან გააბა რომანი.

გერმანელი პლეიბოის რჩეული გახდა **ალესანდრა "სენდი" მეიერ-უოლდენი**. ის 24 წლისაა და ბორისს კარგად იცნობს - ალესანდრა ჩოგბურთელის ყოფილი მენეჯერის ქალიშვილია.

მათი რომანი დაახლოებით თვე-ნახევრის წინ დაიწყო. წყვილს ხშირად ხედავდნენ ბერლინის რესტორნებსა და ბარებში, აგვისტოში ერთად დაისვენეს ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, მოგვიანებით კი ამერიკაში გაემგზავრნენ.

*"ჩვენი ურთიერთობა ძალიან სერიოზულია"*, - აღიარა ალესანდრამ.

# აგასი ლეგენდა გახდა

22 სექტემბერს, ნიუ იორკის სასტუმრო "უოლდორფ-ასტორიაში" 23-ედ გაიმართა ცერემონია, რომლის სახელწოდებაა - "სპორტის დიადი ლეგენდები". ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომლის დროსაც წარსულის ვარსკვლავებს სპორტის ლეგენდებად აღიარებენ.

ამჯერად ღონისძიება არაკომერციულმა ორგანიზაცია "ბუონიკონტის ფონდმა" ჩაატარა, რომელიც მსოფლიოში ზურგის ტვინის გამოკვლევის უმსხვილეს ცენტრს აფინანსებს.

პრემიის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ანდრე აგასი**, რომელსაც კარიერაში "დიდი სლემის" 8 ტურნირი აქვს მოგებული. ცერემონიის დასრულების შემდეგ, ანდრემ სამახსოვრო სურათი გადაიღო **ნიკ ბუონიკონტისთან** და მის ვაჟ **მარკთან**, რომელიც ინვალიდის სავარძელსაა მიჯაჭვული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**